საერთაშორისო სეპარატიზმი A8

ბეწვის ხიდზე მარჯვედ მავალი სააკაშვილი A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 26 ივლისი, 2004 წელი. №175 (724)

ფასი 50 თეთრი

# ჯანდაცვა ახალი რეფორმის მოლოდინში



*გუდაუთელ მიშიკოს გულის მანკის ოპერაცია თბილისში გაუკეთეს.*

ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ახალი რეფორმის მოლოდინშია. მისი ხასიათის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს იქნება ძველის აუცილებელი ნგრევა და ჯერჯერობით სრულიად გაურკვეველი ახალი სისტემის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა იმისათვის, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის თეორიული მოდელი უახლოეს მომავალში შეიქმნას. ამას მიეძღვნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ "მეტეხში" გამართული ორდღიანი კონფერენცია თემაზე – "ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხები". იქვე გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა მსგავსი კონფერენციების სერიების სასწრაფოდ ჩატარება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ყველა უწყებისა და დონორის მონაწილეობით, რათა ყველაფერი ახალი ბიუჯეტის შედგენამდე მოესწროს.*

ზაზა ფარუაშვილი

ლადო ჭიპაშვილი: **"საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დღევანდელ მდგომარეობას შევადარებდი შუა ოკეანეში აბსოლუტური შტილის პირობებში მოტივტივე აფრიან ნავს. ყველაფერი მიშვებულია თვითდინებაზე, სამკურნალო დაწესებულებები მიტოვებულნი არიან ბედის ანაბარა და ვინც როგორ ახერხებს, ისე ცხოვრობს. ჩვენი ამოცანაა, აფრა სწორი მიმართულებით აღვმართოთ და ნიავმაც დაუბეროს".**

სანამ ხელისუფლება ჯანდაცვის ახალი სისტემის მოდელზე მსჯელობს, თავად სისტემა კოლექტივების ნებაზეა მიშვებული. ჯერჯერობით, სამედიცინო დაწესებულებების კოლექტივები სრულიად

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვბერდებით და ვკვდებით...

*საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების 2002 წლის ბიულეტენის მონაცემები.*

საქართველოს ამჟამინდელი დემოგრაფიული მდგომარეობის დახასიათება საკმაოდ რთულია, თუნდაც იმის გამო, რომ მოსახლეობის რაოდენობაც კი არ არის ზუსტად ცნობილი, რადგანაც არასრულფასოვნად ხორციელდება დაბადებათა, გარდაცვალებათა და გარე მიგრაციის არღიცხვა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა მნიშვნელოვანმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, სამოქალაქო ომმა, დევნილთა ნაკადმა, გაზრდილმა უმუშევრობამ, მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების პირობების გაუარესებამ და მიგრაციის ინტენსივობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, არამედ დემოგრაფიული განვითარების ძირითად ტენდენციებზეც, რის გამოც, უკვე მეოთხე წელია, მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი.

საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხვის, და რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, ბუნებრივი მატების მნიშვნელოვანი შემცირება - უკანასკნელ წლებში მეტ-ნაკლებად გამოხატული იყო ყველა რეგიონში. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით,

გაგრძელება A3 გვერდზე

## გადადებული პარტია ორმხრივი შესაძლებლობებით

ნიკა იმნაიშვილი

შაბათს თბილისის ცენტრში მდებარე რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბში (ანუ, ფაქტობრივად, რუსეთის კიდევ ერთ ბაზაზე) გაფორმდა "მიღება-ჩაბარების აქტი", რომლითაც ქართულმა მხარემ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაუბრუნა რამდენიმე ასეული უმართავი რაკეტა.

იარაღის უშუალო დაბრუნება კი განხორციელდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩრდილო ოსეთის მონაკვეთზე - ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან. კომპრომისი შესაძლებელი გახდა თავდაცვის მინისტრთა მოლაპარაკების შედეგად. რუსეთმა მოხსნა თავისი მოთხოვნა წართმეული იარაღის მაინც და მაინც "სამხრეთ ოსეთში" დაბრუნების თაობაზე. თუმცა, რასაკვირველია, არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ როკის გვირაბის გავლით ეს რაკეტები ისევ არ აღმოჩნდება ცხინვალში და მას სეპარატისტები არ გამოიყენებენ ტანკსაწინააღმდეგო იარაღად. ამისათვის ცხინვალის ქარხანაში დამზადებული სასროლი მოწყობილობაც საკმარისია – უბრალო რკინის მილითა და ორმოცთეთრიანი ბატარეით.

გაგრძელება A8 გვერდზე

## ქართულ-ოსური კონფლიქტის რუსული და ამერიკული ხედვა

რუსეთის სამხედრო უწყების წარმომადგენლები ქართული მხარის დასამცირებლად შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან. გუშინ საკმაოდ ცინიკური განცხადება გააკეთა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

**"სურვილის ქონა საზიანო არ არის** ("Хотеть не вредно")", - თქვა ივანოვმა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის, გივი იუკურიძის ამასწინანდელი განცხადების კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი თავის პოსტს მალე დატოვებს.

რუსი მინისტრი ქედმაღლურად შენიშნავს, რომ ნაბზდოროვი მხოლოდ მაშინ შეიცვლება, როდესაც ამას რუსეთის მხარე საჭიროდ მიიჩნევს. თუმცა, სერგეი ივანოვი არ უარყოფს, რომ სარდლის შეცვლა ნამდვილად იგეგმება.

რუსეთის სამხედრო უწყების შეფის თქმით, ოსეთის სამშვიდობო ბატალიონის ტექნიკის შეცვლის პროცესი უკვე დასრულებულია. **"ძველი ტექნიკის გატანა გამჭვირვალედ**

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

#### ვინ დაიკავებს „რესპუბლიკელების" გამოთავისუფლებულ პოსტს



ლევან ბერძენიშვილი: "პარლამენტის მუშაობის დასრულების შემდეგ იქ 200-კაციანი ფრაქცია აღარ იქნება".

A2

### უცხოეთი

#### ერაყის ახალი პრემიერი მეზობლებს სტუმრობს



ერაყის გარდამავალი მთავრობის მეთაური აიად ალავი ახლო აღმოსავლეთში ვიზიტების ფარგლებში ლიბანს ეწვია.

A5

### საზოგადოება

#### ამერიკელები კახელ ბავშვებზეც ზრუნავენ



ჩარლზ სტრომეს მისვლა თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში ყველას უხარია.

A6

### სამართალი

#### გიორგი სანაიას მკვლელობიდან სამი წელი გავიდა



გასული წლის ნოემბერში დაწყებული სასამართლო პროცესი კვლავ გრძელდება. მსჯავრდებული გრიგოლ ხურცილავა ბოლო სიტყვას კიდევ ერთხელ იტყვის და ახალ განაჩენს დაელოდება.

A7

### ამინდი

| | 26/7 | 27/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 35 |
| ქუთაისი | 36 | 38 |
| ბათუმი | 34 | 37 |
| სოხუმი | 31 | 34 |
| ფოთი | 33 | 36 |
| თელავი | 33 | 33 |
| ზუგდიდი | 34 | 37 |
| გორი | 31 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8950 |
| ევრო | 2.3155 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4809 |
| რუბლი | 0.0652 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განემარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მიწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმომწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მერიდიანი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## საზღვარზე ოქროს ნაკეთობათა გადატანა აღკვეთეს

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ზემო ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ მკალაშვილი, რომელიც ავტომანქანა "ვოლგით" 300 გრამამდე ოქროს ნაკეთობის რუსეთის ტერიტორიაზე გადატანას ცდილობდა. ნაკეთობანი ბრილიანტითა და ზურმუხტით არის მოჭედილი.

ამოღებულ ნივთებს ვლადიკავკაზში ექსპერტიზა ჩაუტარდება. როგორც რუსი სამართალდამცველები განმარტავენ, თუ მათი ღირებულება 250 ათას რუბლზე ნაკლები იქნება, მაშინ მკალაშვილს ადმინისტრაციული სასჯელი ელის, უფრო მეტი ღირებულების შემთხვევაში კი, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. **მედია-ნიუსი**

## ჩეჩნეთში კიდევ ერთი მაღალჩინოსანი მოკლეს

ჩეჩნეთში განხორციელებული ტერაქტის შედეგად, ჩრდილოეთ კავკასიის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის რეგიონული სამმართველოს ოპერატიულ-სამძებრო ბიუროს უფროსი, იარაგი ნიკაევი დაიღუპა.

ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ნიკაევი დილით, თავის კუთვნილ ავტომანქანა"ვაზ-2106"-ში ძრავის ამუშავებისას აფეთქდა. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა მისი მეუღლე, რომელიც მსუბუქად დაიჭრა.

ცნობისთვის: გასულ წელს ნიკაევის ვაჟი უცნობმა პირებმა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის წინ, სტუდენტების თვალწინ ჩაცხრილეს. **მედია-ნიუსი**

## კაზაკს სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ცხინვალის რეგიონში დაკავებულ კაზაკს, ვიაჩესლავ კუზნეცოვს საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმე საქართველოს უშიშროების სამინისტროშია აღძრული. წინასწარი ინფორმაციით, შესაძლოა კუზნეცოვს ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმდეს, რადგან არსებობს ეჭვი, რომ დაკავებული უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრი იყო.

ვიაჩესლავ კუზნეცოვი კეხვის საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს სამართალდამცავებმა 22 ივლისს დააკავეს. მას რამდენიმე დღის სამყოფი საჭმელი, ერთი ბოთლი არაყი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, კამუფლიაჟი და დანა აღმოაჩნდა.

თავად კაზაკის თქმით, იგი ცხინვალის რეგიონში მტყუან-მართლის გასარკვევად ჩავიდა.

კოკოითის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასულ პარასკევს საქართველოს ხელისუფლებას კუზნეცოვის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით მიმართა. **მედია-ნიუსი**

## 25 არასრულწლოვან პატიმარს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა

"ახალგაზრდული გაეროს საქართველოს ქსელის" წარმომადგენლებისა და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში, არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების 25 პატიმარს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა და სხვადასხვა დასახელების საჩუქრები გადაეცათ.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, პატიმრებს კარდიოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდათ და ყველა პასუხი დადებითი აღმოჩნდა.

არასრულწლოვანებს გამომცემლობა "თბილისისგან" მწერალ გოჩა მანველიძის წიგნები გადაეცათ. ფეხბურთის ფედერაციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, პატიმრებს რამდენიმე ბურთი გაეგზავნათ.

არასრულწლოვანებისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯგუფები "სთეისი", "DLS", "ღამურა", "ძებნილი და ჯერონიმო". კონცერტს რადიო ფორტუნას მუსიკალური წამყვანი აჩი ფურცელაძე უძღვებოდა. ღონისძიების დასასრულს პატიმრებსა და მომღერლებს შორის საფეხბურთო მატჩი გაიმართა. **ინტერ-პრესი**

## აჭარის განვითარების პროგრამის მხარდამჭერთა სემინარი ბათუმში მუშაობას შეუდგა

გუშინ ბათუმში მუშაობას შეუდგა აჭარის განვითარების პროგრამის მხარდამჭერთა სემინარი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ თბილისისა და ბათუმის მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენლები და ასევე, რამდენიმე საერთაშორისო დონორი საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციების ჩადებას აპირებს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ვიქტორ მეტრეველის განცხადებით, ორგანიზაცია, რომელსაც ის წარმოადგენს, მზადაა ბათუმში 10 მლნ-ლარიანი ინვესტიცია წყალკანალსისტემის მოწესრიგებისა და გზების რეაბილიტაციაში ჩადოს. პირველ ეტაპზე მსოფლიო ბანკი 2 მლნ ლარით დააფინანსებს პროექტს, რომელიც სულაბერიძის ქუჩაზე სავალი გზების და სანიაღვრე მილების რეაბილიტაციას და, ასევე, აბუსერიძის ქუჩაზე წყალკანალსისტემის აღდგენას ითვალისწინებს. ბათუმის მუნიციპალურმა სამსახურმა საერთაშორისო დონორი საფინანსო ორგანიზაციების წინაშე უნდა წარადგინოს სპეციალური პროექტები, რომელიც შავი ზღვისპირა ზოლის და, საერთოდ, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას შეეხება. კონფერენციას აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძეც ესწრებოდა. **ინტერ-პრესი**




# ქართულ-ოსური კონფლიქტის რუსული და ამერიკული ხედვა



*ალექსანდრ ვერშბოუ: "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა დაიცვას".*

**კონტროლის ქვეშ განხორციელდა,"** - უტიფრად ამტკიცებს ივანოვი, მაშინ, როდესაც როტაციის პროცესს ბოლომდე ქართული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელიც კი არ დაასწრეს.

არადა, სამხედრო ტექნიკის შეცვლის პროცესი სერიოზულ ეჭვებს ბადებს: შემოყვანილი 17-17 "ბეემპესა" და "ბეტეერის" სანაცვლოდ, კონფლიქტის ზონიდან ამავე ოდენობის ტექნიკა უნდა გასულიყო, დღეისათვის კი გაყვანილია მხოლოდ 12 "ბეემპე" და 4 "ბეტეერი". ეს ეჭვები, როგორც ჩანს, გივი იუკურიძესაც აწუხებს. **"რუსეთიდან ვითომ ჩასანაცვლებლად შემოყვანილი იქნა ქვეითთა საბრძოლო ავტომანქანების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ტექნიკა, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გასულიყო, ისევ კონფლიქტის ზონაში დარჩა,"** - აცხადებს გენშტაბის უფროსი.

სერგეი ივანოვის გამონათქვამებს კომენტარს უკეთებს, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე. იგი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ სვიატოსლავ ნაზდოროვი ცხინვალს პირველ აგვისტოს აუცილებლად დატოვებს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს რუსულ მხარეს. **"მე ვფიქრობ, სერგეი ივანოვი გამოსული უნდა იყოს იმ ასაკიდან, როდესაც საკუთარ კუნთებზე ყურება სიამოვნებთ,"** - მიიჩნევს თარგამაძე.

ამ დროს კი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი თვითკმაყოფილებას მისცემია და "იტარ-ტასსთან" ინტერვიუში სიამაყით აღნიშნავს, რომ **"საინფორმაციო პრესინგის პირობებში, რუსი სამშვიდობოები მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ".**

რუსი მინისტრისგან რადიკალურად განსხვავებულ განცხადებას აკეთებს აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ალექსანდრ ვერშბოუ. **"საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა დაიცვას. ბოლო 12 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სტატუს-კვო მუდმივში არ უნდა გადაიზარდოს, რადგან არსებობს ამ სადავო საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტის და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენის მექანიზმი,"** - აცხადებს ამერიკელი დიპლომატი. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მაღალ დონეზე მიმდინარეობს მოლაპარაკებების სერია სამხრეთ ოსეთის პრობლემასთან დაკავშირებით.

*24 საათი*

# ქართველმა და ოსმა ინტელიგენციამ ერთმანეთს კარგად გაუგო

გუშინ თბილისის საკრებულოში, იმის დასტურად, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერია, ქართველი და ოსი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა მოაწყო. საკრებულოს წევრები ორი ეროვნების მსახიობებსა და მწერლებს სხდომათა დარბაზში ოსური "სინდის" მუსიკის თანხლებით შეუძღვნენ. **"მსგავსი შეხვედრები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართველთა და ოსთა ურთიერთობის დასარეგულირებლად. ასეთი ღონისძიებები რამდენიმე წლის წინათ, კონფლიქტის პერიოდშიც რომ მოეწყოთ, უკეთესი იქნებოდა",** – განუცხადა სტუმრებს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ნანული ქაჩიბაიამ. ასევე "ნაციონალმა" გია მურღულიამ კი ქართველებისა და ოსების ჰარმონიული თანაცხოვრობის დასაწყისი იწინასწარმეტყველა.

ინტელიგენციის წარმომადგენელთა გამოსვლების მთავარ თემას საქართველოში მცხოვრები ოსებისთვის რუსეთის პოლიტიკის ვერაგობის შეხსენება წარმოადგენდა. **"რუსს რა უნდა და ბნელი ღამეო; რუსებმა ისე როგორ აგავსეს ოქროთი, რომ ცხინვალში შესულ ქართველს ხმას აღარ სცემთ; რუსეთის მიერ მოცემული ოქრო, უცებვე გაქრება",** – უთხრა სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებს მწერალმა მერაბ ელიოზიშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში ცხინვალში ცხოვრობდა. **"არ მინდა, ჩემი ხალხი ისტორიაში შევიდეს იმ ერის სახელით, რომელმაც ვერ გაიგო, რომ საქართველო მისი სამშობლოა",** - გამოეხმაურა ქართველ მწერალს ოსი ინტელიგენციის წარმომადგენელი მზია ხეთაგური.

ქართველმა და ოსმა ინტელიგენციამ მშვენივრად გაუგო ერთმანეთს, საკრებულომ კი შეხმატკბილებული შეხვედრა "ა ლა ფურშეტით" დაასრულა.

*ნანა ქადაგიშვილი*

# ვინ დაიკავებს „რესპუბლიკელების" გამოთავისუფლებულ პოსტს

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის ყველაზე აქტიური გუნდი - "რესპუბლიკური პარტია" სახელისუფლებო ძალას აუმხედრდა და საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ვაკანტური გახდა განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი, რომელიც აქამდე ლევან ბერძენიშვილს ეკავა.



ვახო ბესელიას ფოტო

*ლევან ბერძენიშვილი: "პარლამენტის მუშაობის დასრულების შემდეგ იქ 200-კაციანი ფრაქცია აღარ იქნება".*

იმის გარდა, რომ საერთოდ "რესპუბლიკელების" გაოპოზიციონერებამ გაურკვევლობა და გაორება გამოიწვია ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის, ახლა ხელისუფლების საპარლამენტო უმრავლესობაში უთანხმოებას კომიტეტის მომავალი თავმჯდომარის ვინაობა იწვევს.

როგორც პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტის უკვე ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, "ნაციონალური მოძრაობა" შეეცდება, საკუთარი წარმომადგენელი აირჩიოს ამ პოსტზე და გამორიცხული არ არის, ეს პარლამენტარი დავით ზურაბიშვილი იყოს, "რომელსაც ნაკლებად თუ ექნება მხარდაჭერა", მაჟორიტარები კი ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ბორჯომის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ნოდარ გრიგალაშვილს დაუჭერენ მხარს. **"რთულია იმის განსაზღვრა, როდის რა მოხდება, მაგრამ პარლამენტის მუშაობის დასრულების შემდეგ იქ 200-კაციანი ფრაქცია აღარ იქნება,"** – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობა კი ამ საკითხთან დაკავშირებით უთანხმოების არსებობას უარყოფს.

**"ფრაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო აზრს ჩამოაყალიბებს და ერთ კანდიდატურას დაასახელებს. "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერებს - ბერძენიშვილებს სურთ, უმრავლესობაში უთანხმოება არსებობდეს, მაგრამ არაფერი მსგავსი არ ხდება,"** - აღნიშნავს უმრავლესობის წარმომადგენელი დავით კირკიტაძე.

იგივეს ამტკიცებს ვასილ მაღლაფერიძე: **"არა მგონია, ეს საკითხი ვინმეს და, მით უმეტეს, ერთიანი გუნდის უკმაყოფილების საგანი გახდეს. მე როგორც ვიცი, ამ პოსტზე ნოდარ გრიგალაშვილის კანდიდატურა განიხილება. თავის დროზე, არც ლევან ბერძენიშვილის კანდიდატურის წინააღმდეგი ყოფილა ვინმე. არ მესმის, რაზე მიუთითებენ ბერძენიშვილები"**.

რაც შეეხება დავით ზურაბიშვილს, იგი აღნიშნავს, რომ ეს ისეთი საკითხია, რომელიც ფრაქციის შიგნით წყდება და კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მისი შესაძლო წარდგენის შესახებ არაფერი იცის.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას, რეგლამენტის შესაბამისად, უკვე ოფიციალურად, სამთავრობო უმრავლესობა ახლო მომავალში წარადგენს, მისი დამტკიცების საკითხი კი, სავარაუდოდ, აგვისტოში დაგეგმილ საგანგებო სხდომაზე გადაწყდება.

*ნინო გომართელი*

### კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეები დანიშნეს

კონტროლის პალატის თავმჯდომარის ოთხი ახალი მოადგილე - მაკა სხირტლაძე, გუგა ხელაია, იაკობ მესხია და რომან ბოკერია - მუშაობას 26 ივლისიდან შეუდგებიან.

მათ დანიშვნას პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ხელი უკვე მოაწერა.

მაკა სხირტლაძე პრეზიდენტის აპარატში მუშაობდა, გუგა ხელაია ეროვნული ბანკის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო, იგი "ნაციონალური მოძრაობიდან" პარლამენტის წევრის, გია ნაცვლიშვილის ცოლისძმაა; იაკობ მესხია ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობდა, რომან ბოკერია კი კონტროლის პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი იყო. მას, გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტარმა გიგა ბოკერიამ გაუწია რეკომენდაცია.

მათ ამ თანამდებობებზე ზურაბ დვალი, ზურაბ პატარიძე, თამარ ბიჭიკაშვილი და ზურაბ ზურაბიშვილი შეცვალეს.

კონტროლის პალატაში კვლავ ვაკანტურია დეპარტამენტისა და რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელთა თანამდებობები. **მედია-ნიუსი**

### თბილისში სომხეთის დელეგაცია ჩამოვიდა

თბილისს ეწვია სომხეთის სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარგარიანის ხელმძღვანელობით.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში განიხილება საქართველო-სომხეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები, შეიკრიბება ქართულ-სომხური სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია. მარგარიანი შეხვდება თავის ქართველ კოლეგასა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

სომხეთს პრემიერ-მინისტრი ენერგეტიკისა და სარკინიგზო მიმოსვლის საკითხებითაც დაინტერესდება. სტუმარი მოინახულებს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, ეწვევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მეომართა მემორიალს, სომეხ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, დაგეგმილია შეხვედრა სომხურ დიასპორასთან. **მედია-ნიუსი**

### ქართველი სამხედროების მომზადება დასასრულს უახლოვდება

ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ქართველი სამხედროების მომზადება მალე დასრულდება, - აცხადებს აშშ-ს ელჩი რუსეთში ალექსანდრ ვერშბოუ.

როგორც მან აღნიშნა, ამერიკელი ინსტრუქტორების ამოცანა იყო, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ საზღვრების უშიშროების დაცვა და ტერორიზმთან ბრძოლა უფრო ეფექტური გამხდარიყო.

ამერიკული მხარე არ თვლის, რომ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ მომზადებულმა ქართულმა ქვედანაყოფებმა რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბოლო დროს საქართველოში მომხდარ მოვლენებში, - განაცხადა მან.

მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია, თუ როგორ გამოიყენებს თავის შეიარაღებულ ძალებს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად, - აღნიშნა ელჩმა.

მისი აზრით, რუსეთს საფუძველი არა აქვს, ამერიკელების მიერ მომზადებულ ქართულ ქვედანაყოფებში საფრთხეს ხედავდეს. **პრაიმ-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა. შეხვედრიდან გამოსულმა ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტთან სამაჩაბლოს თემაზე იყო საუბარი, თუმცა სხვა კონკრეტული კომენტარისგან მან თავი შეიკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აცხადებს, რომ მას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების მზა რეცეპტი არ აქვს.

"ასეთი რეცეპტი რომ მქონდეს, მას აუცილებლად მივაწოდებდი მიხეილ სააკაშვილს და ვთხოვდი, ჩემი აზრი გაეთვალისწინებინა," - აღნიშნა შევარდნაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, უზენაესი საბჭოს წევრები და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის წარმომადგენლები ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქციების განახლებას 26 ივლისიდან კვლავ აპირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში 26 ივლისიდან ერთკვირიანი საშტაბო-სამეთაურო სწავლებები იწყება. როგორც სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ "მთავრობის" სხდომაზე განაცხადა, მათ ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული აგრესიული განცხადებების გამო მიიღეს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჯანდაცვა ახალი რეფორმის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

ხელშეუხებელი სუბიექტები არიან და, შეიძლება ითქვას, რომ მართვის სისტემაშიც ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენენ. მათ, ფაქტობრივად, შეუძლიათ გადააყენონ ძველი და დააყენონ ახალი სასურველი ხელმძღვანელობა, ვინაიდან ეს უფლება მათ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალმა მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა მიანიჭა. კოლექტივისთვის მიუღებელ პიროვნებას თანამდებობაზე არ დავტოვებთ და არც კოლექტივთან შეუთანხმებლად დავნიშნავთ ვინმესო, - განაცხადა მინისტრმა. ამ იდილიას ისიც აძლიერებს, რომ შეჩერებულია სტაციონარული ქსელის რესტრუქტურიზაცია-შერწყმა, დარგში მიმდინარე ოპტიმიზაცია და პრივატიზაცია; ასევე, უარყოფილია უწყვეტი სამედიცინო განათლების სიტემა. ეს პროცესები ექიმთა გარკვეულ ნაწილს შემცირებითა და პროფესიის გარეშე დარჩენით ემუქრებოდა. ამრიგად, შემცირებული თუ შესამცირებელი ექიმების მიერ მოწყობილი შარშანდელი საპროტესტო აქციები და სასამართლო პროცესები წელს ლადო ჭიპაშვილის ქება-დიდებაში და საყოველთაო-კოლეგიალურ სიყვარულში გადაიზარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი კმაყოფილი მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება შეუძლებელი გახდება. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს მისი ალმატებულების, საქართველოს სახალხო პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, - შემცირებები მოხდება უკლებლივ ყველა სფეროში, რომ ქვეყანა თავზე არ დაგვენგრესო, - და ბენდუქიძის ნათქვამი, - ჯანდაცვაში ფართო პრივატიზაცია უნდა ჩავატაროთო. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. სანამ ხელისუფლება ჩამოყალიბდება, მოკლედ გაგაცნობთ ჯანდაცვის სისტემისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დღევანდელ მდგომარეობას. ჩვენი ძირითადი რესპონდენტები არიან: პოლიტიკური მოღვაწე და პრაქტიკოსი ექიმი, ქვეყნის წამყვანი დაწესებულების უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ლაურ მანაგაძე და "ნაციონალი" პარლამენტარი, თსსუ-ს უცხო ენების კათედრის გამგე, ჯანდაცვის სფეროს ექსპერტი ლევან მეტრეველი.

### ცოტაოდენი სტატისტიკა

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ლიცენზირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში დღეისათვის ლიცენზირებულია 1560 სამედიცინო დაწესებულება და 27004 ექიმი. ლიცენზირებულ დაწესებულებებს შორის არის 279 სტაციონარი და 18290 საწოლი. ცნობარში პაციენტთა რაოდენობის შესახებ არაფერი წერია, მაგრამ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ციფრი 4 მილიონს აჭარბებს, თუმცა, 2002 წლის მონაცემებით, ექიმს მიმართა მხოლოდ 1.247.164 პაციენტმა; აქედან ჰოსპიტალიზებული იყო 213.700 ავადმყოფი. ყოველი ავადმყოფი სტაციონარში ერთი თვით რომ გაჩერებულიყო, 100-პროცენტიან დატვირთვას მივიღებდით, მაგრამ საწოლზე დაყოვნება, ძირითადად, 1-2 კვირის განმავლობაში ხდება, ამიტომ საწოლთა საერთო რაოდენობა სანახევროდაც არ იტვირთება. თუმცა, ამის მიზეზი სულაც არ არის ჩვენი ჯანმრთელობა. როგორც პროფესორი ნოდარ გიორგაძე ამბობს, - ექიმს დანატრებულ ხალხს ფული რომ ჰქონდეს, საწოლებისა და ექიმების დამატება დაგვჭირდებაო.**

**მის სიტყვებს ადასტურებს დიღომში გახსნილი პირველადი გადაუდებელი დახმარების სამსახური, სადაც, რამდენიმე ადგილობრივი ბიზნესმენის წყალობით, პაციენტებს უფასოდ ემსახურებიან. სიტყვამ - "უფასო" - მაგიურად იმოქმედა და განყოფილებას უამრავი ადამიანი მიაწყდა. თავდაპირველად მრავალი გაუგებრობაც წარმოიშვა და ბევრი გაწბილდა კიდეც, ვინაიდან უფასო მხოლოდ პირველადი დახმარება იყო და არა მკურნალობა, როგორც ეს პაციენტებს სურდათ.**

### კუთვნილების ფორმა და მომსახურების ხარისხი

ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებების დიდი ნაწილი პრივატიზებულია, მაგრამ მათ შორის არ არის არც ერთი საავადმყოფო, რომელთა მფლობელი 100- პროცენტიანი წილით სახელმწიფოა. პოლიკლინიკებიდან პრივატიზებულია მხოლოდ ქვესაუწყებო დაწესებულებები, დანარჩენები ისევ სახელმწიფოს მფლობელობაში რჩება. ასევეა ქალთა კონსულტაციები. კერძო სექტორმა, ძირითადად, ფეხი მოიკიდა დიაგნოსტიკაში, გინეკოლოგიაში (სამშობიარო სახლები და კაბინეტები) და სტომატოლოგიაში, რაც მომგებიანია.

სახელმწიფო საავადმყოფოებში ფუნქციონირებენ კერძო იურიდიული პირები – შპს-ები, რომლებსაც ფართობი არენდით აქვთ აღებული და თვალშისაცემ კონტრასტულ გარემოსაც ქმნიან; სახელმწიფო სექტორთან შედარებით, გამოირჩევიან სისუფთავით, მომარაგებით და აღჭურვილობით. ჩვენი რესპონდენტები მათი წარმატების მიზეზს სხვადასხვანაირად ხსნიან.

ლევან მეტრეველი: **"მაგ შპს-ებს მე ვეძახი წურბელებს, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობენ. გარკვეულ თანხას უხდიან დირექტორებს, მაგრამ ეს, რეალურთან მიმართებაში, უმცირესი თანხაა. რეალურ გადასახადებს კი თავად საავადმყოფო ანუ სახელმწიფო იხდის. ამიტომ აქვთ კერძო იურიდიულ პირებს უკეთესი პირობები. ისინი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ფულს ჰპარავენ".**

ლაურ მანაგაძე: **" კერძო კლინიკები წარმატებას კერძო ინიციატივების საფუძველზე აღწევენ. საუბედუროდ, ინვესტორების მხრიდან სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის დონე ყოველთვის ძალიან დაბალი იყო. მათი აზრით, სახელმწიფო დაწესებულებაში ჩადებული ფული ქვიშაზე დაღვრილი წყალივით ქრება.**

**მაგალითად, ლითოტრიფსიის (კენჭების დამშლელი) აპარატი ვერანაირად ვერ მოვიძიე უროლოგიის ინსტიტუტის სახელით. ვერც განვადებით გავაკეთე, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი თხოვნით, ბატონმა გოგი თოფაძემ გარანტად თავისი ქონება ჩადო.**

**ამიტომ, ჩვენ დავაარსეთ უროლოგიის განვითარების ფონდი, რომელიც უცხოელი ინვესტორისთვის აღმოჩნდა საიმედო პარტნიორი და იმის გარანტი, რომ ყოველი კაპიკი გამოყენებული იქნება მიზნობრივად. ამის შემდეგ ლითოტრიფსიის აპარატიც შევიძინეთ.**

**ასევე, გვიკარნახა ცხოვრებამ თავის დროზე, რომ შეგვექმნა შპს-ები. სხვანაირად უცხოელებთან პარტნიორობა და, შესაბამისად, განვითარება შეუძლებელი იყო.**

**თუ ჩვენი შენობის მერვე სართულზე ახვალთ, გერმანიაში გეგონებათ თავი, მეცხრე სართულზე – შვეიცარიაში; იმიტომ, რომ ფინანსები ამ ქვეყნებში მოვიძიეთ".**

ამრიგად, სამედიცინო მომსახურების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობაზე, მაგრამ რაც უფრო შორდები დედაქალაქს, მით უფრო იშვიათდება ასეთი თანამშრომლობა. შედეგად, რეგიონებში ელემენტარული სადიაგნოსტიკო აპარატურაც კი არა აქვთ.

ლევან მეტრეველი: **"რეგიონებში ძალიან რთული მდგომარეობაა. ერთადერთი, რაც გამოსწორდა, ისაა, რომ დროულად ჩადის დაფინანსება, თორემ რადიკალურად არაფერი შეცვლილა. დღეს სწორედ ამაზეა მსჯელობა - რა ვუშველოთ რეგიონებს".**

### რა ვუშველოთ რეგიონებს?

რეგიონებში მცხოვრები პაციენტების ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური გზა პირველადი ჯანდაცვის ქსელის აღდგენა და სათანადო დონეზე აღჭურვაა. ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე გადაწყდა და დაიწყო ამბულატორიული ქსელის რეაბილიტაციის ხუთწლიანი პროგრამა, რომელსაც უცხოელი დონორები აფინანსებენ. წინასწარი მონაცემებით, უნდა აღდგეს, გარემონტდეს და თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურით აღიჭურვოს 180-მდე ამბულატორია. იდეაში 5 წლის შემდეგ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 15-30 წუთის სავალზე უნდა ჰქონდეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა. წინა ხელისუფლების დროს მაღალმთიანი რაიონებისთვის მუშაობდა სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სოფლის მედპერსონალს უზრუნველყოფდა მეტ-ნაკლებად მაღალი ხელფასითა და პირველადი მოხმარების სამკურნალო საშუალებებით; მუშაობდა რეფერალური სისტემაც, რომელიც მძიმე ავადმყოფების სასწრაფო ტრანსპორტირებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, დაუფინანსებლობის გამო, სისტემა ნელნელა მოიშალა.

ორი თვის წინათ შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი იაპონიაში იმყოფებოდა. მიღწეული ხელშეკრულების თანახმად, იაპონური მხარე ჩვენი რეგიონული დაწესებულებებისთვის გამოაგზავნის ფონენდოსკოპებს, წნევის აპარატებს და გადასატან ექოსკოპებს. იაპონური ბიუროკრატიის გადამკიდე, როდის ჩამოვა ჩვენთვის ესოდენ საჭირო ტვირთი, უცნობია. მაგრამ, პირველადი ჯანდაცვის ქსელის სრულ აღდგენამდე ესეც დიდი შეღავათი იქნება.

### ბიუჯეტი და ავადობა

1990 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს საქართველოს ჯანდაცვის ბიუჯეტი 500 მილიონი მანეთი - ანუ, დაახლოებით ამდენივე მილიონი დოლარი იყო. ამის მიუხედავად, ჯანდაცვის საბჭოთა სისტემა ძვირადღირებული აპარატურისა და მედიკამენტების დეფიციტს მაინც განიცდიდა. დამოუკიდებელ საქართველოს 4 წელი დასჭირდა, რომ საკუთარი ბიუჯეტი ჰქონოდა. თუმცა, ეს მხოლოდ ბუტაფორია იყო. ჯანდაცვის ბიუჯეტი, მაგალითად, მხოლოდ 1.901.200 ლარს წარმოადგენდა. შემდეგ წლებში ჯანდაცვის ბიუჯეტი თანდათან იზრდებოდა, მაგრამ 25 მილიონ დოლარს არასოდეს ასცილებია და ისიც მხოლოდ სანახევროდ სრულდებოდა, რაც პირდაპირ აისახებოდა დაავადებების გავრცელებაზე.

ასეთი მწირი ბიუჯეტის პირობებში, ჯანდაცვის პრიორიტეტები ისე გამოიკვეთა, რომ ქვეყანას სოციალური დაავადებები თავიდან აეცილებინა. უფასოდ კეთდებოდა და კეთდება გეგმიური იმუნიზაცია მთელ რიგ ინფექციურ დაავადებებზე, თუმცა ეს ყველა პრობლემას ვერ აგვარებს.

უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა ტუბერკულიოზის გავრცელების მხრივ. ოფიციალური მონაცემებით, 1992-1996 წლებში საქართველოში მოხდა ტუბერკულიოზური ინფექციის ერთგვარი აფეთქება. შექმნილი მდგომარეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყანაში ე.წ. "ციხის" ტუბერკულიოზის გავრცელებასა და პატიმართა საკმაოდ დიდი რაოდენობის ამნისტიით გათავისუფლებასთან. მოგვიანებით, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, ტუბერკულიოზმა შეაღწია ქვეყნის მოსახლეობის იმ სოციალურ ფენებშიც, სადაც მისი გავრცელება წინა წლებში, ტრადიციულად, დაბალი იყო.

2002 წელს რეგისტრირებული იყო ტუბერკულიოზის 4220 ახალი შემთხვევა, რაც საერთო რაოდენობაზე ორჯერ მეტი იყო. ამ სენთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა 3 მილიონ ლარს არ აღემატება და უცხოელები წამლებით რომ არ გვეხმარებოდნენ, ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა.

სხვა ინფექციური დაავადებები შედარებით მართვადია და ასეთ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ჯანდაცვის წლევანდელი ბიუჯეტი რამდენიმე მილიონი ლარით გაიზარდა, მაგრამ პროგრამების რაოდენობა და მოცულობა არ შეცვლილა. უბრალოდ, სახელმწიფომ ძველი ვალების გასტუმრება დაიწყო.

ლადო ჭიპაშვილი: **"მთელი ბიუჯეტი წლევანდელ პროგრამებს რომ მოხმარებოდა, რა თქმა უნდა, ეფექტი უფრო შესამჩნევი იქნებოდა და, შეიძლება, პოლიტიკურად უფრო მომგებიანიც ყოფილიყო, მაგრამ ახალ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ვალები უნდა გაისტუმროს. ეს ნაბიჯი გამართლებულია იმიტომაც, რომ სამედიცინო დაწესებულებებს კრიზისის დაძლევაში ბევრად დაეხმარება".**

### მიმართვიანობა და ომბუდსმენი

ლაური მანაგაძე: **"მართალია, ჩვენთან, უროლოგიის ინსტიტუტში კეთდება ყველაფერი, რასაც მსოფლიოში აკეთებენ, მაგრამ ეს კვალიფიციური დახმარება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მიუწვდომელია. თუ ვიხელმძღვანელებთ საერთაშორისო სტატისტიკური ნორმებით, სადაც ნაჩვენებია ჩვენი მონაცემების მქონე ქვეყანაში რამდენ ადამიანს ესაჭიროება უროლოგიური დახმარება, სრულიად შემაშფოთებელ ციფრებს მივიღებთ. ჩვენთან შეუდარებლად მცირე რაოდენობის მომართვიანობაა და ყველამ ძალიან კარგად ვიცით ამის მიზეზი. პაციენტთა უმრავლესობა სრულიად უუნაროა, აანაზღაუროს საკუთარი მკურნალობის ხარჯები და მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს გადარიცხვის მიღებას სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიისაგან".**

ჯანდაცვის ომბუდსმენის ინსტიტუტი 2 წელია, ფუნქციონირებს და ცხელი ხაზის საშუალებით პაციენტებთან მუდმივ კონტაქტშია. როგორც აღმოჩნდა ხალხს, ძირითადად, ის აინტერესებს, ვის რა შეღავათი ეკუთვნის მკურნალობაში და სად მოემსახურებიან უფასოდ.

ცხელი ხაზის მენეჯერი მარინე დევსურაშვილი: **"ჩვენი ძირითადი ფუნქციაა, ადამიანმა იცოდეს თავისი უფლებები, რომელსაც ჩინოვნიკები, რატომღაც, მალავენ. ძირითადი პრობლემებია ინფორმაციის დეფიციტი. მოსახლეობამ არ იცის, ვინ მიეკუთვნება უმწეოთა კატეგორიას, რა შეღავათები აქვს თითოეულს და სად უნდა მიიღონ შეღავათიანი მომსახურება.**

**თბილისში არის მწვავე დაავადებების მუნიციპალური პროგრამა, რომლის თანახმად, ქალაქის მერია აფინანსებს მკურნალობის 75 პროცენტს, 25 – პაციენტმა უნდა გადაიხადონ; ამბულატორიაში უფასოა 15 წლამდე მოზარდებისა და 65 წლის ზემოთ ასაკის მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; უფასოა 7 ისეთი დაავადების მკურნალობა, რომელიც იწვევს ინვალიდობას (გულის იშემიური დაავადება, ასთმა, ეპილეფსია და სხვა); სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის გამო, ამჟამად შეჩერებულია პაციენტთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა".**

### რა ვქნათ?!

ლევან მეტრეველი: **"ამ ეტაპზე დღის წესრიგში დგას კითხვა – რა ვქნათ?! მე დავაყენე საკითხი, რომ შევიკრიბოთ – ჯანდაცვის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროები, პარლამენტის წევრები, დონორი ორგანიზაციები, რათა განვიხილოთ საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსების მოდელი. სანამ არ გვეცოდინება ახალი საგადასახადო კოდექსი, მანამდე ვერაფერს დავგეგმავთ. ჯანდაცვის ფინანსირების ფორმა უნდა მოვარგოთ ახალ საგადასახადო კოდექსს.**

**დეტალური განხილვა სჭირდება პრივატიზაციის საკითხსაც. ეკონომიკის სამინისტროს სიაში უკვე გამოჩნდა ორი საპრივატიზაციო დაწესებულება. ეს არის იმის სიმპტომი, რასაც ჩვენ თავის დროზე ვებრძოდით, მაგრამ შეუძლებელია, ქვეყნის მაკროეკონომიკა ერთი მიმართულებით მიდიოდეს, სოციალური სექტორი – სხვა მიმართულებით. ამიტომ, სასწრაფოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ!"**

# ფარმაცევტული ბაზარი

მედიკამენტების იმპორტი მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით



საქართველოში ლიცენზირებულია 1395 აფთიაქი, 53 ფარმაცევტული საწარმო და 73 ფარმაცევტული ბაზა. წამლების დეფიციტი, თითქმის, აღარ არის, მაგრამ მწვავე პრობლემები საკმარისზე მეტია.

აი, რას ამბობს ფარმაცევტულ საქმიანობაზე კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის ყოფილი უფროსი, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციის – "მოძრაობა ფარმაკოტერორიზმის წინააღმდეგ", ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ბარამიძე: " საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე საკმაოდ დიდი რაოდენობით არის ფალსიფიცირებული, გაუვარგისებული, ვადაგასული და არარეგისტრირებული წამალი. ეს არის უხარისხო საქონელი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენს. ნაწილი საზიანოა იმიტომ, რომ, წამლის მაგივრად, შხამს ვიღებთ, ნაწილს კი სათანადო მოქმედება არ გააჩნია, რასაც, შეიძლება, სავალალო შედეგი მოჰყვეს. ქვეყანაში არ არსებობს წამლის შესყიდვის, ანალიზისა და ამოღებული პროდუქციის განადგურების წესი.

თუ ქვეყანაში არ არსებობს მოქმედი კანონი და წესი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია უხარისხო მედიკამენტის ქსელიდან ამოღება და განადგურება, ერთ-ორ აფთიაქში დარღვევის გამოვლენა არაფრისმომცემია; თანაც, თბილისში რომ რეიდი დაიწყებოდა, უხარისხო საქონელი რეგიონებში გაედინებოდა და ისევ ქსელში ხვდებოდა.

უფრო მეტიც, ამოღებული წამალი ფორმდებოდა, როგორც განადგურებული, სინამდვილეში კი იყიდებოდა და ქსელში ბრუნდებოდა. თავის დროზე შსს-ს თანამშრომლებმა ამოიღეს ფალსიფიცირებული სუპრასტინი და ნოშპა. ინსპექციის ინფორმაციით, ესეც ქსელში დაბრუნდა. ასევე იქცეოდა "ლეგიონიც". ერთი სიტყვით, ამოღებისა და განადგურების წესი დღემდე არ არსებობს.

არ არსებობს წამლის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი და ლაბორატორიული ანალიზის ქსელი. გვაქვს წამლის ხარისხის კონტროლის ერთადერთი ლაბორატორია, მაგრამ არ შეიძლება, რომ მისი საშუალებით ხდებოდეს ყველა ჯგუფის პრეპარატის შემოწმება (დარეგისტრირებულია 5 ათასზე მეტი მედიკამენტი).

ფალსიფიცირების ერთ დამღუპველ მაგალითს მოგიყვანთ: რაციოცეფი არის მესამე თაობის ანტიბიოტიკი და გამოიყენება უძლიერესი ინფექციების დროს, როგორიცაა მენინგიტი, სეფსისი, პერიტონიტი და სხვა. შემოწმების შედეგად შეფუთვაში აღმოჩნდა ვადაგასული პენიცილინი.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით თვეში ხუთჯერ ვწერდი მოხსენებით ბარათს, მაგრამ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ერთიც კი არავის წაუკითხავს".

# ვბერდებით და ვკვდებით...

პირველი გვერდიდან

1989 წელთან შედარებით, მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირებულია 20 პროცენტით. ეს კლება ქალაქის მოსახლეობაში უფრო მეტადაა გამოხატული (24 პროცენტი), ვიდრე სოფლად (13,6 პროცენტი).

საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მცირდება შობადობა; გარკვეულწილად იზრდება სიკვდილიანობა ახალგაზრდა ასაკის ქალებში; მატულობს ერთი და ორშვილიანი ოჯახების რიცხვი. ამის შედეგად მცირდება ახალგაზრდა თაობის და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი, ე.ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში.

1989 და 2002 წ.წ. აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში შეცვლილია მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება. 24,9-დან 20,8-მდე შემცირდა 15 წლამდე ასაკის ბავშვთა პროცენტული შემადგენლობა, ხოლო 65 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობის რაოდენობა მომატებულია 8,9-დან 12,8 პროცენტამდე.

საპენსიო ასაკის მამაკაცთა (65 და მეტი წლის) რიცხვმა 215,5 ათასს, ხოლო ქალთა (60 და მეტი წლის) - 489,6 ათასს მიაღწია, რაც ჯამში 705,1 ათასის ტოლია. აღნიშნული მდგომარეობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის საზოგადოებას, ვინაიდან ამ კონტინგენტის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას.

2002 წელს რეგისტრირებული იყო გარდაცვალების 46446 შემთხვევა (2001 წელს - 46218),

მოსახლეობის სიკვდილიანობის სტრუქტურაში კი აღინიშნებოდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, მოიმატა სისხლის მიმოქცევის დაავადებებით, შარდსასქესო სისტემის დაავადებებით და ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებით სიკვდილიანობის მაჩვენებელმა.

სიკვდილიანობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი, ისევე როგორც წინა წლებში, ეკავა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს (71,6 პროცენტი) და სიმსივნეებს (10,7 პროცენტი); შემდგომ მოდის ტრავმები და მოწამვლები (3,2 პროცენტი); საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა (2,8 პროცენტი) და სუნთქვის ორგანოების (2,6 პროცენტი) დაავადებები. გაიზარდა გულსისხლძარღვთა დაავადებებით განპირობებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

ასე რომ, ჯერჯერობით, ვბერდებით და ვკვდებით, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

# დაზღვევა

ნონა მაისურაძე

*კერძო სამედიცინო დაზღვევით საქართველოს მოსახლეობის იმდენად უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს, რომ რაიმე სერიოზულ შედეგებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ლაური მანაგაძე: "საუბედუროდ, კერძო დაზღვევამ ჩვენს ქვეყანაში, ჯერჯერობით, ფეხი ვერ მოიკიდა. ხალხმა ვერ გაითავისა, რომ კერძო დაზღვევა სწორედ გაჭირვებული კაცისთვის არის საჭირო და არა მდიდრისთვის, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მკურნალობის ხარჯების გადახდა. ჩვენ ინსტიტუტის მაგალითი გვიჩვენებს, რომ რეალურად, კერძო დაზღვევით ფინანსდება პაციენტთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა. ეს არის 1%-ზე ბევრად ნაკლები". ამიტომ, ერთადერთი დამზღვევი ისევ სახელმწიფოა, რომელმაც ამისათვის შექმნა "სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი".*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*გამოსავალი ერთადერთია - მოხდეს მკვეთრი გამიჯვნა და ქვეყანამ იზრუნოს იმ კონტინგენტზე, ვისაც ნამდვილად სჭირდება დაცვა - ბავშვებზე, პენსიონერებსა და ინვალიდებზე.*

დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფო ერთ სულ მოსახლეზე სამედიცინო მომსახურებისთვის, საშუალოდ, 20 ლარს და 30 თეთრს იხდის; შეერთებულ შტატებში კი ეს მაჩვენებელი 14 000 დოლარს უდრის და მოსახლეობის მოთხოვნებს სრულად მაინც ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ვატო სურგულაძე: **"სამედიცინო დაზღვევის მიმრთულებით, რომელ ადგილზე ვართ მსოფლიოში, ვერ გეტყვით, ალბათ, ჩვენთვის ადგილიც აღარ არის. ჯანდაცვისთვის გამოყოფილი მწირი ბიუჯეტით მუშაობა წარმოუდგენელია. 2004 წლის ბიუჯეტში ჩვენი პროგრამებისთვის 76 მილიონი ლარია გათვალისწინებული; ამას ემატება 5 მილიონი, რაც ვალების დასაფარავად არის გამიზნული და რაც უკვე სრულად ავითვისეთ. 2003 წელთან შედარებით, თანხა 15 პროცენტით არის გაზრდილი, თუმცა მასში ძველი ვალების გასტუმრებაც მოიაზრება. საგულისხმოა ისიც, რომ 15-პროცენტიანი დანამატი, გასული წლის სეკვესტრირებულ ბიუჯეტთან შედარებით, აღინიშნება. ამიტომ, იმის თქმა, თითქოს, ჩვენს პროგრამებს თანხა დაემატა, არც შეიძლება".**

ყოველივე ამის ფონზე, გასაგებია, რომ სახელმწიფოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის თანხა, თითქმის, არა აქვს და, შეძლებისდაგვარად, აფინანსებს უმნიშვნელოვანეს და სასიცოცხლოდ აუცილებელ ნოზოლოგიებს. თუმცა, აქაც ორი მიმართულება გამოიკვეთება: სახელმწიფოს მიერ 100-პროცენტიანი დაფინანსება და თანაგადახდის პრინციპი. უფასოა 0-დან 3 წლამდე ბავშვთა სტაციონარული მომსახურება; ბავშვთა იმუნიზაცია; ანტირაბიული მომსახურება (ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით უზრუნველყოფა); ჰემოფილიით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; დიაბეტიანების – ინსულინზე მყოფი პაციენტების მომსახურება; მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება; ომის ვეტერანების, პირველი ჯგუფის ინვალიდების სტომატოლოგიური მომსახურება.

სახელმწიფო ფარავს, აგრეთვე, მეანობის პროგრამისთვის საჭირო თანხებს. ამ კუთხით, სასიამოვნო სიახლეა: მშობიარეები, რომლებიც დროულად მიაკითხავენ ქალთა კონსულტაციებს, წესისამებრ, აიღებენ პოლისს, ჩაუტარდებათ ფიზიოლოგიური (თუნდაც, გართულებული) მშობიარობა და მიიღებენ, დაახლოებით, 200 ლარის ოდენობის თანხას; უფასოა ფსიქიატრიული მომსახურება და ტუბერკულოზის პროგრამის ნაწილი.

ვატო სურგულაძე: **"ამ პროგრამებისთვის უფასოს დარქმევა სასაცილოა, რადგან აქ წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. პაციენტების იმ პირობებში ყოფნა, რაც დღეისათვის ფსიქიატრიულ კლინიკაშია, ყველა ზღვარს სცილდება. ტუბერკულოზის პროგრამაზე კი მხოლოდ ერთი მონაცემის აღნიშვნა კმარა და ყველაფერი ნათელი გახდება – აქ, პროგრამული დაფინანსებით, კვებაზე დღეში ერთ ლარამდე თანხაა გამოყოფილი.**

**რაც შეეხება თანაგადახდის პრინციპით დაფინანსებას, სახელმწიფომ ონკოლოგიურ პროგრამაზე 80 პროცენტის გადახდა ითავა. გასულ წელს ეს მაჩვენებელი 60 პროცენტი იყო, ანუ სახელმწიფომ თავის თავზე უფრო დიდი წილის გადხდა აიღო. თანაგადახდის პრინციპი მოქმედებს გულის იშემიური დაავადებების შემთხვევებზეც, აქ სახელმწიფოს წილი 60 პროცენტია, პაციენტი დანარჩენ 40 პროცენტს იხდის. შეღავათიანი მკურნალობა მენჯ-ბარძაყის პრობლემების დროსაც ვრცელდება. ენდოპროტეზირების შემთხვევაში 50 პროცენტიანი თანაგადახდა მოქმედებს. ეს არის იმ პროგრამების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც სახელმწიფო ჯანდაცვის კუთხით აფინანსებს. რაც შეეხება უწეოთა დამატებითი დახმარების პროგრამას, რომელიც სექტემბრიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადადის და იქ გაგრძელდება, ვფიქრობ, მისი არსებობა ასეთი ფორმულირებით გაუმართლებელია და უმჯობესია, თუ ეს პოგრამა აღარც იარსებებს".**

ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი კი ერთადერთია - მოხდეს მკვეთრი გამიჯვნა და ქვეყანამ იზრუნოს იმ კონტინგენტზე, ვისაც ნამდვილად სჭირდება დაცვა – ბავშვებზე, პენსიონერებსა და ინვალიდებზე. ყველა სხვა შრომისუნარიანი ადამიანი კი სადაზღვევო პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ამ პრინციპზე გადასვლას პირველი იწყებს და, სავარაუდოდ, პირველი სექტემბრიდან იგი ყველა თანამშრომელს კერძო სადაზღვევო კომპანიის სოლიდური პაკეტით სარგებლობის საშუალებას მისცემს. ჩატარდება ტენდერი, გამოვლინდება გამარჯვებული სადაზღვევო კომპანია, რომელიც ფონდის თანამშრომლების ჯანმრთელობაზე იზრუნებს. სახელმწიფო ფონდში იმედოვნებენ, რომ ამ წამოწყებას პირველი მხარს აუბამს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდეგ კი - სხვა უწყებები.

ვატო სურგულაძე: **"ჯანდაცვის ჭაობიდან ამოყვანის ერთ-ერთი რეალური გზა სადაზღვევო პრინციპებზე გადასვლაა. სხვა შემთხვევაში, ქვეყნის სრული ბიუჯეტითაც კი ვერ შევძლებთ ყველაზე ძვირადღირებული დარგის - ჯანდაცვის გადარჩენას".**

# ხალხი ჯანდაცვის შესახებ

თამარ დვალი

**მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი:** უნივერსიტეტის თანამშრომლებს სამედიცინო მომსახურება, ნაწილობრივ, უფასო გვაქვს, მაგრამ თუკი ქირურგიული ჩარევა დაგვჭირდა, დაუცველები ვართ. მე საკუთარი თავის მაგალითზე მოგახსენებთ და ვიცი, რომ ჩემი კოლეგების უმეტესობაც ასეთ მდგომარეობაშია. რამდენიმე დღის წინ ექიმთან მივედი და ოთხი წამალი გამომიწერა. იქვე აფთიაქში შევედი და ორის მეტი ვერ ვიყიდე. ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი ჯანმრთელობის დაცვა. თვალის ოპრაციაც გასაკეთებელი მაქვს და მითხრეს, რომ 600 დოლარი მჭირდება. გამოდის, ამ ოპერაციას ვერ გავიკეთებ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში დაზღვევა აქვთ. სამედიცინო დაზღვევისთვის თანხა ჯამაგირიდან ექვითებათ, თუმცა ჩვენი ჯამაგირით არსებობაც არ შეიძლება. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცრო მომსახურებას. მე პირადად 50 წელზე მეტ ხანს ვიმუშავე და რაღაც შევქმენი ჩემი ქვეყნისთვის, მაგრამ ხვალ რომ დამჭირდეს, ოპერაციასაც ვერ გავიკეთებ.

**ლეილა მესხი, ჩოგბურთელი:** ეს ძალიან რთული საკითხია. ის ხალხი, ვისაც ფული აქვს, უზრუნველყოფილია. სანამ ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევის სისტემა არ იარსებებს, მანამდე დაცულები ვერ ვიქნებით. დღეს სამედიცინო მომსახურება მხოლოდ მდიდარი ფენისთვისაა ხელმისაწვდომი. პენსიონერი მშობლები მყავს და ჩვენ რომ არ ვეხმარებოდეთ, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაუჭირდებოდათ. ალბათ, ეს პრობლემა შემდეგმა თაობებმა უნდა მოაგვარონ.

**ნანა ალექსანდრია, მოჭადრაკე:** დღეს სამედიცინო მომსახურება ხალხისთვის რომ მიუწვდომელია, ცხდია და ამ საკითხს ჩაღრმავებაც არ სჭირდება. როგორ უნდა გამოსწორდეს სიტუაცია, ვერ გეტყვით. ეს, ალბათ, პროფესიონალების პრეროგატივაა. ახლახან ბაკურიანიდან დავბრუნდი. დიაბეტით დაავადებული ბავშვებისთვის ბანაკი აქვთ შექმნილი და უფასოდ ასვენებენ. ეს უკვე კარგი ტენდენციაა. თუმცა, საერთოდ, მძიმე ვითარებაა ქვეყანაში. საზოგადობის უდიდესი ნაწილისთვის სამედიცინო დახმარება მიუწვდომელია.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:** ხელისუფლებაში არსებობს დიდი სურვილი, რომ სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს, თუმცა ეს სურვილია და არა შესაძლებლობა. დღეს ასეთი ტიპის მომსახურება ცოტასთვისაა ხელმისაწვდომი, ზოგი სოციალური შეღავათებით სარგებლობს. რაიონებში ამ პრობლემის მოგვარებაში ავტორიტეტულ პიროვნებებს ადგილობრივი ხელისუფლება ეხმარება, ჩვეულებრივი ადამიანისთვის კი სამედიცინო მომსახურება, ფაქტობრივად, მიუწვდომელია. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონებს: კოდორის ხეობას, პანკისს, ოსეთს… ამ რეგიონებში ძალიან ბევრი პროფესიონალი ადამიანი მოღვაწეობს, თუმცა სათანადო პირობები არ გააჩნიათ. მოსახლეობაც გადამხდელუუნაროა და, ამ მხრივ, უფრო მძიმე სიტუაციაა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს საკითხი პრიორიტეტად მიიჩნია და, იმედია, სიტუაცია მალე გამოსწორდება.

# წლევანდელი მისაღები დივიდენდები შარშანდელ მაჩვენებელს ერთი მეხუთედით ჩამორჩება

ეთერ მამულაშვილი

*გასულ ექვს თვეში სახელმწიფომ კუთვნილი საწარმოებიდან დივიდენდების სახით მხოლოდ 2 მილიონ 416 ათასი მიიღო. ამ დროისთვის ცენტრალურ ბიუჯეტში დივიდენდები 15-მდე საწარმოს აქვს ჩარიცხული. 11 მილიონი კი ის მაქსიმუმია, რაც წლის ბოლომდე შეიძლება მოგროვდეს. მაშინ, როცა სახლმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ციფრი ჯერ კიდევ 1800-ს აღწევს. აქედან ნახევარზე მეტი დივიდენდის გადამხდელი უნდა იყოს.*

ეს ციფრები დარჩენილი სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის დროულად გასხვისების საჭიროებას, ალბათ, ერთხელ კიდევ ადასტურებს. თუმცა მასობრივი პრივატიზაციის აუცილებლობას გასულ წლებში მაშინდელი საბიუჯეტო სტატისტიკაც მოწმობდა.

საწარმო, რომელსაც წლების განმავლობაში დივიდენდის სახით მხოლოდ 200 ლარის გადახდა ევალება და ამასაც ვერ იხდის, ცხადია, წამგებიანია და "თავიდან მოსაშორებელი". ასეთები კი არცთუ ისე ცოტაა.

დღეს სახელმწიფო საწარმოთა უმრავლესობაში არსებული მდგომარეობა თითქმის ერთმანეთის იდენტურია: წლიდან წლმდე სულ უფრო და უფრო მცირდება მათ მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული დივიდენდების რაოდენობა. წლის ბოლოს ძალიან ბევრი საწარმო მუშაობას ზარალით ამთავრებს, ან ასე აჩვენებს. ამ გზით კი ისინი დივიდენდების გადახდას თავს არიდებენ. საწარმოთა დიდი ნაწილი ბიუჯეტში დივიდენდის სახით მიზერულ თანხას, ან სულაც ვერაფერს იხდის. სახელმწიფოს მიმართ საწარმოთა დავალიანება ამ ნაწილში ამჟამად 10 მილიონ ლარს აღწევს, მევალეთა ძირითადი ნაწილი ენერგეტიკულ ობიექტებზე მოდის.

რეალური მოგების დამალვა ან შემცირება, მისი ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქცევა და წმიდა მოგების არამიზნობრივი რეინვესტირება – ეს კი სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელი პირებისადმი წაყენებული ის ძირითადი ბრალდებებია, რომლებსაც დამოუკიდებელი ექსპერტების გარდა, საწარმოთა მართვის სააგენტოც ეთანხმება.

წმიდა მოგებიდან დივიდენდების ბიუჯეტში გადახდას მოქმედი კანონმდებლობა ყველა იმ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოს ავალებს, რომლებმაც მიმდინარე წელი მოგებით დაასრულეს. ასეთი საწარმოების რიცხვი, როგორც სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში ირწმუნებიან, 1800-დან ნახევარზე მეტია. აქედან 360 საწარმო დივიდენდს ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა რიცხავდეს.

| საწარმოს დასახელება | 2004 წლის პროგნოზი | 2003 წლის ფაქტი |
|---|---|---|
| შპს. საქართველოს რკინიგზა | 6.300.000 | 8.650.000 |
| სს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია | 4.050.000 | 4.000.000 |
| სს. თბილავიამშენი | 450 | 0 |
| შპს. აეროსისტემები | 45 | - |
| სს. მადნეული | 118 | 138.824 |
| სს. საქართველოს ელექტროკავშირი | 180 | 110 |
| სს. საქნავთობი | 270 | 200 |
| სსიპ. ფოთის პორტი | 720 | 1.000.000 |
| სს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი | 225 | 100 |
| შპს. საქართველოს ტელეკომი | 135 | 32.723 |
| სს. ელმავალმშენებელი | 200 | - |
| ენერგეტიკის დარგის საწარმოები | 150 | - |
| სხვა დანარჩენი | 85 | - |
| სულ: | 13.125.000 | 16.555.538 |

წელს, პირველ ორ კვარტალში ცენტრალურ ბიუჯეტში დივიდენდები მხოლოდ თხუთმეტამდე საწარმომ გადარიცხა, რამაც ჯამში 2.415.000 ლარი შეადგინა. აქედან ძირითადი გადამხდელი იყო სს. "ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია" – 1.620.000, სს. "ელმავამშენებელი" – 240.000 და სს. "თბილავიამშენი" – 420.000 ლარი. ერთად აღებულმა დანარჩენმა საწარმომ კი გასულ ექვს თვეში 93.000 ლარზე ნაკლები ჩარიცხა.

იმ ფაქტს, რომ საწარმოების უმრავლესობას ამ დროისთვის ბიუჯეტში დივიდენდები არა აქვთ ჩარიცხული, საწარმოთა მართვის სააგენტოში საწარმოებში აუდიტორების მუშაობით ხსნიან. შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში სააგენტოს თავმჯდომარის ერეკლე ქიქოძის გადაწყვეტილებით, 2003 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესამოწმებლად ყველა სახელმწიფო საწარმოში დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიები შევიდნენ. საწარმოთა უმრავლესობაში აუდიტი ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

საწარმოთა მართვის სააგენტოში იმედს დარჩენილ ექვს თვეზე ამყარებენ. სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე სერგო ტოპრაკაშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ ბიუჯეტი კუთვნილი დივიდენდების დიდ ნაწილს მესამე და მეოთხე კვარტალში, შესაბამისად, 26 პროცენტს (3.400.000 ლარი) და 57 პროცენტს (7.499.000 ლარი) მიიღებს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მაშინ, როცა ქვეყანაში მასობრივი პრივატიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, მისაღები დივიდენდების წლევანდელი გეგმა შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს დაახლოებით ერთი მეხუთედით ჩამორჩება. შესაბამისი უწყებების პროგნოზით, წლის ბოლომდე ცენტრალურ ბიუჯეტში 13.125.000 ლარმა უნდა მოიყაროს თავი. გასულ წელს კი, დივიდენდების ჩარიცხვის გეგმა და შესრულებაც 16 მილიონს აჭარბებდა.

# პირადი ბანკირი

## ნოვაცია ქართულ საბანკო სისტემაში

ნინო ნარჩემაშვილი

*ყველაფერი მარტივია. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობთ პირადი ექიმის მომსახურებით, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცის როგორ გვიმკურნალოს, ვსარგებლობთ პირადი ადვოკატის მომსახურებით, რომელმაც უკეთ იცის კანონები. ამჯერად უკვე გვეძლევა შესაძლებლობა ვისარგებლოთ პირადი ბანკირის მომსახურებით, რათა ჩვენი ფინანსები, ან უბრალოდ იდეები სწორი მიმართულებით წარვმართოთ.*

ეს სიახლე "თბილუნივერსალბანკში" უკვე ოთხი თვეა დაინერგა და დღეისათვის ბანკში დასაქმებული ორი პირადი ბანკირის კლიენტურა 20 კონტრაქტს ითვლის. მნიშვნელოვანია, რომ კონტრაქტორებს შორის კომპანიებისა თუ ბიზნეს-ჯგუფების გარდა ფიზიკური პირები, ანუ რიგითი მოქალაქეებიც არიან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული საბანკო სერვისი "ფრაივით ბენქინგი" საქართველოშიც წარმატებით იღებს სტარტს. თუმცა, როგორც "თბილუნივერსალბანკის" ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მიხეილ გაფრინდაშვილი განმარტავს, "ქართული პირადი ბანკირის" მუშაობის ყველა დეტალი, დაწყებული კლიენტთან ურთიერთობიდან, კონსულტაციების სფეროდან და ხასიათიდან, დამთავრებული მომსახურების საფასურით, დასავლური მოდელისაგან განსხვავებულია და ქვეყანაში რეალურად არსებულ ყოფა-ცხოვრებაზეა მორგებული. "თბილუნივერსალბანკის" პროფილიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული, მისი პირადი ბანკირის სერვისიც ძირითადად აღნიშნული საქმიანობის განვითარებაზეა გათვლილი.



ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - მიხეილ გაფრინდაშვილი აღნიშნავს, რომ "თბილუნივერსალბანკის" პირადი ბანკირი მის ხელთ არსებული საინფორმაციო ბაზის მიხედვით, რომელიც არა მარტო "თბილუნივერსალბანკის", არამედ ქვეყნის მთლიანი საბანკო ქსელის მონაცემებს შეიცავს, ურჩევს მის კლიენტს შესაბამის პარტნიორ -ბანკს. ანუ აქ განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან შესაბამისი ბანკის შერჩევა და არა კერძო ინტერესია. ერთი სიტყვით, პირადი ბანკირის მომსახურება ითვალისწინებს პირველად საბანკო, აგრეთვე საინვესტიციო კონსულტაციებს, კონსულტაციებს ბიზნესის დაფინანსებასა და დაზღვევაშიც კი. რაც შეეხება მექანიზმს, "თბილუნივერსალბანკში" აღნიშნავენ, რომ პირადი ბანკირი კლიენტის ბიზნესის სპეციფიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს საბანკო პროდუქტების ინდივიდუალურ პაკეტს, დაგეხმარებათ ფინანსური სახსრების ოპტიმალური ფორმითა და პირობებით მოპოვებაში და უბრალოდ, სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

რაც შეეხება უშუალოდ პირად ბანკირებს, (შეგახსენებთ, რომ "თბილუნივერსალბანკი" ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ბანკია, სადაც პირადი ბანკირის მომსახურება დაინერგა და ამ მიმართულებით მის საშტატო ერთეულში, ჯერჯერობით, ორი თანამშრომელი - თინათინ გობეჯიშვილი და გიორგი მეთეფშიშვილი მსახურობენ) როგორც "თბილუნივერსალბანკში" აღნიშნავენ, კადრების შერჩევა პირადი ბანკირის სტატუსისათვის, გამოცდილების, კვალიფიკაციისა და შესაბამისი განათლების მიხედვით ხდება. რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ საბანკო სისტემასთან პირადი ბანკირის მეშვეობით ურთიერთობისას მიღებული გადაწყვეტილებები კომპეტენტური, ოპტიმალური და სწორია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანკთან ასეთი ურთიერთობებისას სრულად არის დაცული კლიენტის უფლებები და ინტერესები.

**P.შ.** თანამედროვე, 21-ე საუკუნის საბანკო სექტორში მუდმივად ჩნდება უამრავი შესაძლებლობა, რომელთაც არაეფექტურად ან საერთოდაც ვერ იყენებს კომპანია თუ რიგითი მომხმარებელი. სწორედ აქ იქმნება პირადი ბანკირის მომსახურების აუცილებლობა.

საშუალო და მსხვილი ბიზნესი - ჩვენი პრიორიტეტია !

საშუალო და მსხვილი ბიზნეს სესხები
საქმიანობის გაფართოებისათვის თიბისი ბანკისაგან

თიბისი ბანკი გთავაზობთ ბიზნეს სესხებს
განახლებული პირობებით და მეტი შესაძლებლობებით
თქვენი საქმიანობისთვის

- დაბალი საპროცენტო განაკვეთი
- დაფარვის ხანგრძლივი პერიოდი
- შეუზღუდავი სესხის თანხა და შეუფერხებელი დაფინანსება

სესხის თანხა: 30,000 - 3,500,000 აშშ დოლარი
სესხის ვადა: 1 თვე - 10 წელი
პროცენტი: 15%-დან



ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ვაკის ფილიალი - ჭავჭავაძის გამზ. №11 - ტელ: 29-16-93
მთაწმინდის ფილიალი - რუსთაველის გამზ. №1 - ტელ: 92-36-70/71/73
ნაძალადევის ფილიალი - დადიანის გამზ. №109 - ტელ: 69-68-69

www.tbcbank.com.ge

# ერაყის ახალი პრემიერი მეზობლებს სტუმრობს

*ერაყის გარდამავალი მთავრობის მეთაური აიად ალავი ახლო აღმოსავლეთში ვიზიტების ფარგლებში ლიბანს ეწვია. ალავი, ერაყის ახლად შექმნილი მთავრობის მხარდაჭერის მიზნით, თავის უახლოეს სამეზობლოში ვიზიტების სერიას მართავს.*



*სირიის პრემიერ-მინისტრი ნაჯი ოტრი და მისი ერაყელი კოლეგა აიად ალავი დამასკოში.*

ლიბანში ჩასვლამდე, ალავი სირიას ეწვია. სირიაში ერაყის ახალმა ლიდერმა განაცხადა, რომ ბაღდადსა და დამასკოს შორის ურთიერთობების ისტორიაში ახალი ფურცელი დაიწერა. ორივე მხარე საზღვრების გამყარებაზე შეთანხმდა.

რაც შეეხება ლიბანს, ერაყს მასთან საერთო საზღვარი არ გააჩნია. პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ლიბანის ხელისუფლებას შედარებით ნაკლები გავლენა აქვს და, ამდენად, საუბარი ეკონომიკურ თანამშრომლობას შეეხო.

ერთ დროს ლიბანი ერაყის მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახლდათ. ორ ქვეყანას შორის გაცხოველებული ვაჭრობა ეკონომიკური სანქციების შემოღებასთან ერთად შეწყდა. თუმცა, ამჯერად, ალავი ლიბანელი ბიზნესმენების აღმოსავლეთით ყურადღების მიმართვას კვლავ შეეცდება. ერაყის დელეგაციას ასევე აინტერესებს, თუ რა ბედი ეწევა 500 მილიონ დოლარს, რომელიც ერაყის ყოფილ მთავრობას, სადამ ჰუსეინის მეთაურობით, ლიბანის ბანკების ანგარიშებზე ჰქონდა განთავსებული.

შაბათს, ალავის განცხადებით, სირიაში ერაყის გაყინული აქტივების შესახებ დამასკოსთან პრინციპული შეთანხმება იქნა მიღწეული. სხვადასხვა გამოთვლებით, აღნიშნული ბანკების ანგარიშებზე 500 მილიონიდან 1 მილიარდ დოლარამდეა.

ფინანსურ მოლაპარაკებებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ვალების საკითხი გახლავთ. ლიბანელი ბიზნესმენები ერაყისაგან რამდენიმე მილიონი დოლარის ოდენობის ვალების დაბრუნებას კვლავ მოითხოვენ. აღნიშნული ვალები ჯერ 1991 წლის ომის დროს შეწყვეტილი ოპერაციების, მოგვიანებით კი, სადამის რეჟიმის დამხობის კამპანიის შედეგად დაგროვდა.

ბეირუთიდან ალავი საუდის არაბეთში, ქუვეითსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში გაემგზავრება.

ერაყის პრემიერის სირიაში ვიზიტისას ორ ქვეყანას შორის საზღვრებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერების შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. ერაყის დროებითი მთავრობის პრემიერმა განაცხადა, რომ ერთობლივი კომიტეტი 600-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლის კონტროლს გააუმჯობესებს. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ეს გადაწყვეტილება, ორ ქვეყანას შორის მრავალწლიანი დაპირისპირების შემდეგ, ურთიერთობების დარეგულირების სწორ გეზზე მიუთითებს.

"სირიას ერაყის ძველი რეჟიმის მხრიდან ტერორიზმთან დაკავშირებული პრობლემები უწინაც ჰქონდა, როდესაც სადამ ჰუსეინი სირიელი ხალხისათვის ზიანის მიყენებას და სირიის მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას ცდილობდა. ახლა კი დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა გავერთიანდეთ", – განაცხადა აიად ალავიმ.

ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორი სახით აპირებს დამასკო საზღვრების გაძლიერებას. ყველაზე კონკრეტულ განცხადებას, ამ მხრივ, სირიის პრემიერ-მინისტრის ნაჯი ელ-ოტრის კომენტარი წარმოადგენს, რომელიც ირწმუნება, რომ სირია საზღვრის ნებისმიერი სახით დარღვევის წინააღმდეგია.

იმავდროულად, ერაყის პრემიერმა განაცხადა, რომ სირიასთან 1980 წელს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები, რომელიც დამასკოს მხრიდან ირან-ერაყის დროს თეირანის მხარდაჭერასთან იყო დაკავშირებული, უახლოეს ვადებში აღდგება.

*ბი-ბი-სი*

# რუსი ჯაშუში გაზეთის მეშვეობით ამხილეს

ისრაელსა და რუსეთს შორის მრავალი წლის მანძილზე პირველი ჯაშუშური სკანდალი მწიფდება. ისრაელის შიდა უსაფრთხოების სამსახურმა შაბაქმა რუსი ჟურნალისტი კონსტანტინ კაპიტონოვი რუსეთის სპეც-სამსახურებთან კავშირში ოფიციალურად ამხილა. ებრაულ გაზეთ "Maariv"-ში კაპიტონოვის შესახებ შაბაქის გამოხმაურებაა ციტირებული: "კაპიტონოვი რუსული დაზვერვის წარმომადგენელია, რომელიც ისრაელში ჟურნალისტური საქმიანობის შეფარვით იმყოფება და, შესაბამისად, ისრაელის მოქალაქეებთან კავშირებს ამყარებს. ამგვარი კავშირების ნაწილი დაზვერვით საქმიანობას ემსახურება. შაბაქის წარმომადგენლები კაპიტონოვს რამდენიმე თვის წინ შეხვდნენ და ისრაელში ყოფნის პერიოდში სადაზვერვო საქმიანობის შეწყვეტა მოსთხოვეს. შიდა უსაფრთხოების სამსახური ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ბატონი კაპიტონოვის ჟურნალისტური საქმიანობა ისრაელის მოქალაქეთა გადაბირების კამპანიაში არ გადაიზარდოს." თავად კაპიტონოვი სპეცსამსახურების ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

სკანდალი მას შემდეგ აგორდა, როდესაც კაპიტონოვმა გაზეთ "ტრუდ"-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით "იყო რუსი ისრაელში", რომელშიც ისრაელის მთავრობას, ფაქტობრივად, ეთნიკური რუსების გენოციდში დასდო ბრალი. წინა ხუთშაბათს კაპიტონოვს დაურეკა "Maariv"-ის კორესპონდენტმა ელი ბერდენშტეინმა, რომელიც ისრაელის სპეცსამსახურებთან მისი ურთიერთობებით დაინტერესდა. "მე ვიცი, რომ შაბაქი მისმენს, ეს მათი სამუშაოა. არ ვიცი, რა მიზნით შეიტანეს ჩემში ეჭვი. შაბაქის თანამშრომლებმა ჩემს მეგობრებს დაურეკეს და ჩემთან ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტა მოსთხოვეს. რა მიზნით, არ ვიცი. ამის შესახებ თავად შაბაქის თანამშრომლებს ჰკითხეთ. მე არავითარი საიდუმლო არ გამაჩნია. მისმინონ, თუ უნდათ", – უპასუხა კაპიტონოვმა.

უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთ რუს ექსპერტს, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, სააგენტო ინტერფაქსი დაუკავშირდა. ექსპერტმა ამგვარი სცენარი საეჭვოდ და უცნაურად მიიჩნია. მისი აზრით, ნამდვილი ჯაშუში იმ ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელშიც იგი იმყოფება, აშკარად კრიტიკულ სტატიას არ გამოაქვეყნებს და ამხელა ყურადღებას არ მიიპყრობს. მზვერავი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ლოიალობას უნდა იჩენდეს და დაფარულად უნდა მოქმედებდეს. რაც შეეხება გაზეთ "Maariv"-ის კორესპონდენტის მიერ კაპიტონოვის სპეც-სამსახურებთან ურთიერთობის შესახებ დასმულ კითხვას, ექსპერტი მას პარადოქსულს უწოდებს. "ყველაზე საკვირველი ამგვარად დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხი გახლავთ. აქამდე, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა ერიდებოდა მასმედიისათვის კონკრეტული პიროვნების ამა თუ იმ სპეცსამსახურებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის გამხელას. ეს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება", – განაცხადა სააგენტოს ინკოგნიტო რესპონდენტმა. იმავე ექსპერტის აზრით, ეს აგორებული კამპანია ჟურნალისტის რეპუტაციის შელახვას ემსახურება.

როგორც მოსალოდნელია, კაპიტონოვს ქვეყნის დატოვება მოუწევს. გუშინ, "Эхо Москвы"-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტი ისრაელიდან უკვე გააძევეს, თუმცა, არც ისრაელის ხელისუფლება და არც თავად კაპიტონოვი ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. პირიქით, ისრაელის საინფორმაციო სააგენტო MIGnews-თან ინტერვიუში ჟურნალისტმა განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, მას აკრედიტაციას არ გაუგრძელებენ, რომელსაც 8 აგვისტოს გასდის ვადა. კაპიტონოვის კარიერაში მსგავსი სკანდალი პირველი არ არის. 1981 წელს, როდესაც ეგვიპტეში მუშაობდა, იგი ელჩთან და დიპლომატიური კორპუსის რამდენიმე წევრთან ერთად *პერსონა ნონ გრატად* გამოაცხადეს და ქვეყნიდან გააძევეს.

*24 საათი*

# ირანის ტრანსფორმაციის მოლოდინში

ლაშა გიორგიძე

მას შემდეგ, რაც სამხედრო ოპერაციები ერაყში "წარმატებით დასრულდა" და ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებით განვითარება დაიწყო, ბევრ ადამიანს გაუჩნდა შეკითხვა: მოჰყვება თუ არა ამას სამხედრო დაპირისპირება აშშ-ირანს და აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის? 2002 წლის 29 იანვარს პრეზიდენტმა ბუშმა ეს ქვეყნები, ერაყთან ერთად, "ბოროტების ღერძის" შემადგენელ სახელმწიფოებად გამოაცხადა, რომელთაგან მომდინარე საფრთხეც არა მარტო აშშ-ს, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას ემუქრებოდა. ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის ეს განცხადება, შესაძლოა, გარკვეულწილად საპროგრამო მიმართვადაც მივიჩნიოთ, სადაც ზუსტად დაფიქსირდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი: ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარება.

ბუშის ადმინისტრაციას ორი წლის შემდეგაც არ შეუცვლია დამოკიდებულება ამ ქვეყნების მიმართ. ამის ნათელი მაგალითია სადამ ჰუსეინის დიქტატურის დამხობა და ატომური პროგრამების შეჩერებასთან დაკავშირებით ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მისამართით დაფიქსირებული მუდმივი პრეტენზიები. მიუხედავად ამისა, აშშ-ში რჩებიან საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერაყის ომის შემდეგ ირანთან ურთიერთობები სამხედრო დაპირისპირებაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს.

11 სექტემბრის მოვლენების შემსწავლელმა კომისიამ, სხვა საინტერესო დასკვნებთან ერთად, საზოგადოებას გააცნო ისიც, რომ თვითმფრინავის გამტაცებელი 19 ტერორისტიდან - რვა, მანამდე ირანის ტერიტორიას აფარებდა თავს.



*აიათოლა ალი ხამენეის აზრით, აშშ-სთვის ირანზე თავდასხმა თვითმკვლელობა იქნება.*

ამ მოვლენის წინა პლანზე წამოწევა კი, ირანს ტერორისტების მფარველადაც წარმოაჩენს, რომლის წინააღმდეგაც აშშ-ს ნებისმიერი ოპერაცია გამართლებულად მიაჩნია. აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოქმედმა დირექტორმა ჯონ მაკლოგლინმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ვაშინგტონი ფლობდა ინფორმაციას ალ-ქაიდას წევრების ირანში ყოფნის შესახებ, თუმცა, "არანაირი დამამტკიცებელი საბუთი" არ არსებობდა, რომ 11 სექტემბრის მოვლენებთან თეირანს პირდაპირი კავშირი ჰქონდა.

მიმდინარე წლის მაისის შემდეგ კონგრესი მუშაობს ერთიანი რეზოლუციის მისაღებად, სადაც ირანის წინააღმდეგ "სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა" დაფიქსირდება, თუკი იგი წარმოებულ ატომური იარაღის პროგრამებს სრულიად გამჭვირვალეს არ გახდის. ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის, ეს ტერმინოლოგია ერაყის ომის მოსამზადებელი პერიოდიდან კარგად უნდა იყოს ნაცნობი. ისევე როგორც მაშინ, დღესაც კონგრესს სურს "ყველა შესაძლებლობა" გამოიყენოს, რათა შეაჩეროს ირანი და ხელი შეუშალოს მას ატომური იარაღის მოპოვებაში. ურჩი ქვეყნების მიმართ აშშ-ს მიერ აპრობირებულ "შესაძლებლობებში" კი, რა თქმა უნდა, სამხედრო ძალის გამოყენება იგულისხმება. როგორც ჩანს, "დიპლომატიის ფანჯარა" მოსალოდნელზე ადრე დაიხურება. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მოხსენებაში პირდაპირაა ნათქვამი: **"ვაშინგტონი უნდა გაუმკლავდეს ირანის დღევანდელ რეჟიმს და არ დაელოდოს, სანამ იგი თავად დაემხობა."**

აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში იგრძნობა, და ამას ბევრი ამერიკელი ანალიტიკოსიც ადასტურებს, რომ ვაშინგტონს ირანის საკითხთან დაკავშირებით თანმიმდევრული მიდგომა არასოდეს ჰქონია. თუკი ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას თვალს გადავავლებთ, საკმაოდ საინტერესო რამე აღმოჩნდება - ურთიერთობები საერთოდ არ არსებობდა, ან გამოკვეთილად მტრული იყო, ანდა გამუდმებით გაისმოდა ურთიერთშორისი ბრალდებები. აშშ-ს მხრიდან პრეტენზიებიც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: ატომური პროგრამების არსებობა, ადამიანის უფლებების დარღვევა, ტერორიზმი და ნარკობიზნესი.

ვაშინგტონი ასევე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ირანის საპარლამენტო არჩევნებს. ამერიკელთათვის მნიშვნელოვანი იყო ოპოზიციური ძალების გამარჯვება, რისთვისაც, ალბათ, არანაირ დახმარებას არ დაიშურებდა. სენატის ერთ-ერთ განცხადებაში, რომელიც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გაკეთდა, ნათქვამია: **"თუ ირანელი ხალხი წინ ივლის და საკუთარ მომავალს თავად განსაზღვრავს სრული თავისუფლებისა და შემწყნარებლობის საფუძველზე, მას აშშ-ზე უკეთესი მეგობარი არ ეყოლება."**

მართალია, ირანში საკმაოდ ძლიერი რეფორმისტული ოპოზიცია არსებობს, ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც კეთილადაა განწყობილი დასავლეთის მიმართ, მაგრამ რეალური ძალაუფლება სახელმწიფოში სულიერ ლიდერებს აქვთ. მათ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ბლოკირება შეუძლიათ. უმაღლესი სასულიერო პირი აიათოლა ალი ხამენეი კი ამერიკელებს არასოდეს სწყალობდა. სწორედ ამის გამოა, რომ აშშ-ს ჯერ კიდევ უწევს არჩევანის გაკეთება: რეგიონში თავისი საგარეო პოლიტიკა იქითკენ მიმართოს, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებებითა და შეთანხმებით გადაჭრას პრობლემა, მთელი ძალისხმევა ირანიდან მომდინარე საფრთხის შეკავებისაკენ მიმართოს, თუ პირდაპირ კონფრონტაციაზე გადავიდეს?

მეორე მხრივ, უკვე ცნობილია, რომ 2004 წლის შემოდგომაზე კონგრესს წარედგინება გეგმა - ირანის გათავისუფლების აქტი, რომლის ფორმატიც ერაყის მაგალითზე შემუშავდება და მთავრობას, თეირანში ხელისუფლების შესაცვლელად, 90 მილიონი დოლარით ირანის ოპოზიციის დაფინანსების მანდატს მიანიჭებს. როგორც ერაყში, მიზნები აქაც იგივეა - რეჟიმის სრული ტრანსფორმაცია და დემოკრატიულ პრინციპებზე გადაყვანა.

# ვინ წავა პირველი დათმობაზე - აშშ თუ ჩრდილოეთ კორეა?

## ფხენიანს ჯიუტად არ სურს, ლიბიის მაგალითს მიბაძოს

*როგორც ჩანს, ჰუმანიტარული ინტერვენცია კონფლიქტების მოგვარებისას მეტად პოპულარული ხდება. იგი სულ უფრო ხშირად აღიქმება, როგორც ზეწოლის ერთ-ერთი საშუალება, და რაც კიდევ უფრო საინტერესოა, საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირების დონეზეც ისეთივე წარმატებით სარგებლობს. ახლახან, აშშ-მაც გადაწყვიტა, "ბოროტების ღერძის" შემადგენელ ნაწილად გამოცხადებულ ჩრდილოეთ კორეაში 50 ათასი ტონა ჰუმანიტარული დახმარება, ძირითადად, საკვები პროდუქტები შეეტანა...*

ნიკა თარაშვილი

ამერიკელები ამ ნაბიჯს იმით ამართლებენ, რომ კომუნისტურ კორეაში ათეულ ათასობით (რატომ მილიონობით არა?) ადამიანი შიმშილობს. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი რიჩარდ ბაუჩერი ამბობს, რომ სურსათის გაგზავნის მიზანი "ტანჯული ჩრდილოკორეელი ხალხის დახმარებაა" და არა ბირთვულ მოლაპარაკებებზე გავლენის მოხდენა. თუმცა, მან აქვე დასძინა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ასეთი დახმარება ჩრდილოკორეელებზე დადებით გავლენას მოახდენს და მათ მოლაპარაკებების განმავლობაში უფრო კეთილად განაწყობს.

ბოლო დროს გარკვეული იმედები გაჩნდა, რომ კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული კრიზისი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, მთელ რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება, ბოლოს და ბოლოს გადაიჭრებოდა. ამის მთავარი მანიშნებელი ექვსმხრივი მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი იყო. ჩინეთი, რუსეთი, იაპონია, და აშშ ის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც ორივე კორეასთან ერთად, ნახევარკუნძულზე 2001 წლის შემდეგ შექმნილი დაძაბული ფონის როგორმე განეიტრალებას ყოველნაირად ცდილობდნენ. გასულ თვეში, პეკინში შემდგარი ექვსმხრივი მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე თითქოს პროგრესი აღინიშნა და მხარეების მხრიდან დათმობებზე წასვლის გარკვეული ნიშნებიც გამოიკვეთა. თუმცა, კორეის ნახევარკუნძულზე კრიზისის დაძლევა არც ასეთი ადვილი ყოფილა. ახლახან, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ბირთვული პროგრამა არასრულფასოვანი გაცვლაა აშშ-ს მიერ შეთავაზებულ ეკონომიკურ დახმარებაზე, დამკვირვებლები შექმნილი სიტუაციის მთელ სირთულეში კიდევ ერთხელ დაარწმუნა.

ამგვარად, წინა თვეს თითქოსდა შენელებული დაძაბულობა კიდევ ერთხელ გაიზარდა. ჩრდილოთ კორეამ უარი თქვა აშშ-ს შეთავაზებაზე, ლიბიის მაგალითისათვის მიებაძა და ბირთვულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივაზე, ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ, უარი ეთქვა.

ცოტა ხნის წინ, სეულში ვიზიტის დროს, ამგვარი მოწოდებით აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯონ ბოლტონი გამოვიდა. ეს იყო აშშ-ს მიერ ივნისის თვეში, პეკინში, ექვსმხრივ მოლაპარაკებებზე დაფიქსირებული პოზიციის გაგრძელება. ამერიკელებმა კომუნისტებს კონკრეტული გეგმაც შესთავაზეს - სამთვიან ვადაში ჩრდილოეთ კორეას თავისი ყველა ბირთვული ობიექტი უნდა დაეხურა და მათი ინსპექტირებისათვის მაგატეს (ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო) ექსპერტები დაეშვა. სანაცვლოდ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ენერგომატარებლებსა და აშშ-სთან გაუმჯობესებულ ურთიერთობას მიიღებდა. თუმცა, ამ წინადადებების მიღებისთანავე, ივნისში, ჩრდილოეთ კორეა აცხადებდა, რომ ეს დროში შეზღუდვები "სრულიად მოკლებულია მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას". შაბათს კომუნისტური კორეის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ აშშ-ს შეთავაზება "განხილვის ღირსიც კი არ არის", და მოითხოვა, რომ პირველ რიგში, აშშ-მ დაპირებული ენერგორესურსების და უასაფრთხოების გარანტიები მისცეს, ასევე, ტერორისტული სახელმწიფოების სიიდან ამოიღოს.

თუმცა, "ნიუ იორკ თაიმს"-ი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი არ ჩქარობს, სეულის ამგვარ პასუხი საბოლოოდ ჩათვალოს. "დადებით პასუხს არავინ ელოდა, - ცინიკურად შენიშნავენ "ბი-ბი-სი"-სთან საუბრისას ანონიმი ამერიკელი დიპლომატები, - ეს სულაც არ აღქმულა, ისე თითქოს საკითხი დაიხურა". ამერიკული გაზეთის თანახმად, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პასუხი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი უარყოფს არა იმდენად აღნიშნულ კომპრომისს, რამდენადაც გადასადგმელი ნაბიჯების თანმიმდევრობის შეთავაზებულ ვარიანტს.

მთავარი პრობლემა აშკარად გამოიკვეთა - ურთიერთუნდობლობის ფონზე "მოჯადოებული ჯაჭვი" წარმოიქმნა – არც ერთ მხარეს არ სურს, პირველმა დათმოს. საგულისხმოა, რომ ამასთანავე, ორივე მხარე დათმობებისადმი მზადყოფნის შესახებ აცხადებს, თუმცა პირველი ნაბიჯის გადადგმას ისევ და ისევ ერთმანეთისგან მოითხოვენ – ვაშინგტონი მოითხოვს, რომ ჯერ განიარაღდეს კორეა და შემდეგ დაეხმარება, ხოლო კორეა - პირიქით, გარანტიებისა და დახმარების მიღებამდე განიარაღებას არ აპირებს.

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე:**

**ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო პროგრამის წაყვანა;
- წამყვანის ტექსტის და დიალოგების მომზადება.

**მოთხოვნები**
- ასაკი 25-დან 40 წლამდე;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული, რუსული, ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- გამართული სწორი მეტყველება;
- უმაღლესი განათლება (სასურველია ერთზე მეტი სპეციალობა);
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**რადიოს მუსიკალურ-გასართობი და მხატვრულ-კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებების პროდიუსერები (2 ვაკანსია)**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მიმართულების შესატყვისი პროექტების შერჩევა;
- პროექტების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- სასურველია უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტები ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში 22 ივლისიდან 6 აგვისტომდე. წამყვანის ვაკანსიის პრეტენდენტებმა დამატებით უნდა მოიტანონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში, დასაშვებია მხატვრული ფოტოებიც.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**

**ს.ს. "თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**28 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
**გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.**

**28 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ყაზბეგის გამზირის (ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას III, V, VI, VII კვარტლების, ნუცუბიძის პლატოს 1 მიკრორაიონის, შავიშვილის, მინდელის, ნუცუბიძის, ეულის, შავგულიძის, ბედიას, ქავთარაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# კაბიანი „დესანტი"

*შვიდი აზერბაიჯანელი, ხუთი ამერიკელი, ოთხი უკრაინელი, ოთხი მოლდოველი, სამი სომეხი, ორი ყირგიზი, თითო-თითო ალბანელი, მონღოლი, ტაჯიკი ქალბატონი შაბათს თბილისში ჩამოვიდა. მათი ვიზიტის მიზანია ქართველ კოლეგა ქალბატონებთან ერთად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ვებ-საიტის – STOPVAW დახვეწა, პროპაგანდა და განვითარება. სამდღიან სემინარზე, რომელიც პროექტის - "ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის ნაციონალური პროგრამა" - ფარგლებში სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სოროსის ფონდის მხარდაჭერით იმართება, სემინარში მონაწილე ქვეყნებში ქალთა ძალადობასთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზეც იმსჯელებენ.*

მაკა ჭაიანი

საქართველოში დედამთილებისგან გაწამებული ქალები თავზე ბენზინს არ ისხამენ, ცეცხლს არ იკიდებენ და სიცოცხლეს ასე არ ეთხოვებიან. ამგვარი რამეები უზბეკეთში ხდება, თან - იმდენად ხშირად, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა იქ დამწვრობის სპეციალური ცენტრები დააფინანსეს. ეს ქალები იმ ქალების მსხვერპლნი ხდებიან, რომლებიც თავადაც იყვნენ რძლები და აზიური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ქალური ტვირთი მთელი ცხოვრება ატარეს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რასაც ფსიქოლოგები, დიდი ხანია, ამბობენ - ყველა მსხვერპლი პოტენციური მოძალადეა. ეს იმის კიდევ ერთი დადასტურებაცაა, რომ მოძალადეები მხოლოდ მამაკაცები არ არიან. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ციტადელად ითვლება, ყოველ წელს ოთხ მილიონზე მეტ ქალს სცემს ქმარი.

ყველაფერი ამის გამგონე, ჩვენ შეგვიძლია, დანანებით გადავიქნიოთ თავი და კიდევ ერთი სადღეგრძელო შევთხზათ ქართველი ქალის, ქართველი დედის სადიდებლად, მაგრამ, გვინდა ეს, თუ არა, ქალზე ფიზიკური თუ მორალური ძალადობის პრობლემა ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს. მერე რა, რომ ასეთი რამ პირადად ჩვენს ოჯახში არ ხდება, რომ ჩვენი ნაცნობ-მეგობრებიც ცივილიზებული ხალხია - ქვეყანა ხომ ჩვენით არ შემოიფარგლება. მამაკაცები ამაზე, თუნდაც იმიტომ უნდა ფიქრობდნენ, რომ ქალზე ძალადობა ჯაჭვური რეაქციასავითაა და იწვევს ძალადობას შვილებზე, ახლობლებზე და თავად მამაკაცებზე; ეს – აწმყოში, ცოტა შორეულ მომავალში კი - ფსიქიკურად დამახინჯებულ თაობებს. მარტივი, თუმცა სავალალო ანგარიშია – ეს პრობლემა, არც მეტი არც ნაკლები, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საკითხს უკავშირდება.

ვისთვისაც სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება მხოლოდ უშიშროებისა და თავდაცვის კარგად აწყობილი სამსახურები არ არის (სხვათა შორის, ისინიც ჩვენი მოქალაქეებით უნდა დაკომპლექტდეს), უკვე კარგა ხანია, ფიქრობს ამ პრობლემის მოგვარებაზე. **"ეს სამუშაო, რომლის ერთი ნაწილი თბილისში ახლა ხორციელდება, 2000 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო,** - ამბობს "ღია საზოგადოება – საქართველოს" ქალთა ეროვნული პროგრამის კოორდინატორი მარინა თაბუკაშვილი, - **ოჯახური ძალადობის პრობლემა ძალიან დელიკატურია და, მიუხედავად იმისა, რომ თეორიული საფუძველი ყველას ერთიანი გვაქვს, "ღია საზოგადოების" ინსტიტუტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი სემინარები აუცილებელია, რადგან ქალთა ადგილობრივ ორგანიზაციებს მისი მნიშვნელოვანი კორექტირება შეუძლიათ".**

ვებ-საიტი, რომელიც თბილისის შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის მხარდაჭერით ფუნქციონირებს, იმ ორგანიზაციის მიერ არის შექმნილი, რომელსაც ქალთა ამავე ქსელური პროგრამის მიერ არჩეული სამუშაო თეორია ეკუთვნის. ეს გახლავთ მინესოტას სამართალდამცავების ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებზე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მუშაობს. ბევრი მათგანი ამ წუთებში "ქორთიარდ მარიოტში" მიმდინარე სემინარს ტრენერის რანგში სტუმრობს. რაც შეეხება საქართველოს, ქალთა ეროვნულ პროგრამას აქ აქვს მძლავრი ქსელი, რომელშიც 400-ზე მეტი ადამიანია გაერთიანებული; მოქმედებს ძალადობისგან ქალთა და ბავშვთა დაცვის 11 რეგიონული ოფისი; კრიზისული ცენტრი თბილისში ცხელი ხაზითა და თავშესაფარით, რომელიც ცარიელი იშვიათადაა; წელს დაფინანსდა კრიზისული ცენტრები იმერეთსა და კახეთში; ქსელის დახმარებით, 280-მა პოლიციელმა გაიარა სპეციალურ წვრთნა; მოქმედებს ჟურნალისტთა ქსელიც.

**"გარდა იმისა, რომ საქართველოში ნამდვილად არის ეს პრობლემა და ნამდვილად ბევრ ოჯახს ესაჭიროება დახმარება, ჩვენ, როგორც ქვეყანა, რომელიც მისწრაფვის ევროპის სტრუქტურებში გასაერთიანებლად, ვალდებული ვართ, წარვადგინოთ ქვეყნის ანგარიში ოჯახური ძალადობის მხრივ არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით,** - ამბობს მარინა თაბუკაშვილი, - **ეს მხოლოდ დამატებითი სტიმული უნდა იყოს ჩვენთვის. საქართველოში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა და დიდი იმედი გვაქვს, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაც ამ საქმის სასარგებლოდ შეიცვლება. სხვანაირად არც უნდა იყოს, რადგან ეს არის სახელმწიფო, ეროვნული პრობლემა და იგი ერთიანი ძალებით უნდა გადავჭრათ. ეს სემინარიც მისი გადაჭრის გზების დახვეწას ემსახურება".**

# ამერიკელები კახელ ბავშვებზეც ზრუნავენ

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*"კავკასიის ბავშვთა დაცვის ფონდი" ტრადიციას არ ღალატობს - ამ ქართულ-ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჩარლზ სტრომემ თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები კიდევ ერთხელ გაახარა.*



*ჩარლზ სტრომეს მისვლა თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვთა სახლში ყველას უხარია.*

**" ჩემს ცხოვრებაში ასეთ დიდ ქველმოქმედებაში არ ჩავრთულვარ, როგორც აქ, საქართველოში",** - ამბობს "კავკასიის ბავშვთა დაცვის ფონდის" სულისჩამდგმელი ჩარლზ სტრომე. ყველაფერი კი ორი წლის წინათ დაიწყო. საქართველოში დიპლომატიური მისიით ჩამოსული სტრომე ძეგვის ბავშვთა სახლში შემთხვევით მოხვდა; იქაურმა სიტუაციამ ძალზედ ააღელვა და გადაწყვიტა, ქართველ ბავშვებს გვერდში ამოსდგომოდა, მათზე ეზრუნა. შედეგმაც არ დააყოვნა. ქველმოქმედებით ცნობილ ჩარლზს სულ მალე ამერიკის საელჩომაც გამოუცხადა თანადგომა, თუმცა მიუსაფარი ბავშვებისთვის საკვები პროდუქტების მიწოდება და მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებზე ზრუნვა ამერიკელ სტუმარს უმთავრესად მეუღლესთან, ედიტთან ერთად უხდებოდა. ამ ყველაფერს კი სტრომების ქველმოქმედი ოჯახი, როგორც საკუთარი, ისე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დახმარებით ახერხებდა.

ქველმოქმედებიდან ერთი წლის თავზე ჩარლზ და ედიტ სტრომებმა უკვე თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატზე დაიწყეს ზრუნვა: **"სკოლა-ინტერნატის შერჩევა შემთხვევით მოხდა. გაზეთმა "ნიუ იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა სტატია ამ ბავშვთა სახლის შესახებ და, რადგან ამერიკის საელჩოში ქველმოქმედად მცნობენ, მთხოვეს, აქ მცხოვრები ბავშვებისთვისაც მიმექცია ყურადღება",** - გვითხრა ჩარლზ სტრომემ. ქართულ-ამერიკულმა ორგანიზაციამ თელაველი ბავშვების დახმარება თებერვლიდან დაიწყო. სტრომები აქ მცხოვრებ ბავშვებს თვეში რამდენჯერმე აკითხავენ. ინტერნატში მცხოვები ბავშვები ჩარლზს "პატივცემულოთი" და "ბატონობით" კი არ მიმართავენ, როგორც ოჯახის წევრს, ისე ესაუბრებიან. **"მართალია, მე აქ, უკვე რვა წელზე მეტია, ვცხოვრობ და ჩემი სკოლის დირექტორი და პედაგოგები სულაც არ გვაგრძნობინებენ, რომ ჩვენ უპატრონები ვართ, მაგრამ ჩარლზის მოსვლა მაინც ძალიან გვახარებს. ყველას გვგონია, რომ მას, უკვე წლებია, ვიცნობთ. ალბათ, იმიტომ, რომ ის აქ მოსვლისას ჩვენი ტოლივით ხდება",** - ამბობს 13 წლის თეა ვარშალომიძე, რომელიც, ოჯახის უყურადღებობის გამო, მისმა მასწავლებელმა ამ სკოლა-ინტერნატში მიიყვანა.

თელავის მშობელთა მზრუნველობამოკლებულ სკოლა-ინტერნატში თეას მსგავსი 170 ბავშვია. როგორც თავად აცხადებენ, აქ ისინი რამდენიმე წლის წინ ცხოვრების დაღმასვლამ მიიყვანა. უკანასკნელად ინტერნატში ლალისყურელი სამი წლის ვასო ქოთლაიძე მიიყვანეს. **"როგორც გავარკვიეთ, ვასოს დედა ლოთია. მან ბავშვი სამი დღის განმავლობაში უპატრონოდ დატოვა, რის გამოც, მეზობლები ძალიან წუხდნენ და ბავშვიც მოწიწებით მოგვიყვანეს",** - გვითხრა ინტერნატის ერთ-ერთმა ძიძამ. ბავშვები კი აქ თავს უცხოდ არ გრძნობენ. როგორც სკოლა-ინტერნატის დირექტორი ომარ ფეიქრიშვილი ამბობს, მათთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი, რაშიც საქველმოქმედო ორგანიზაციები უწევენ დახმარებას. "კავკასიის ბავშვთა დაცვის ფონდს" ბატონი ომარი მშველელს უწოდებს: **"ესენი რომ არა, ალბათ, ეს ინტერნატი ვეღარ იარსებებდა, რადგან ამხელა დაწესებულების შენახვა რაიონის ბიუჯეტს გაუჭირდებოდა. არ ვიცი, ბატონ ჩარლზს როგორ გადავუხადო მადლობა. იგი ჩვენი მშველელია. რომ ჩამოდის, გვეუბნება, რა სჭირდება ბავშვთა სახლს; ჩასაცმელებზეც კი თავად ბავშვებს უთანხმდება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს რაიონის გამგეობა და ადგილობრივი ბიზნესმენებიც აქცევენ ყურადღებას".**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩარლზ და ედიტ სტრომების ამერიკულ-ქართულ ორგანიზაციას ხშირად სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც უწევენ დონორობას. წინა თვეში საქართველოში მყოფმა ბრიტანელმა ჯარისკაცებმა, სახელწოდებით "მოხალისე იარაღები", "კავკასიის ბავშვთა ფონდთან" ერთად ბვშვებს სხვადსხვა სახის კონსერვი და სათამაშოები ჩაუტანეს, ხოლო ნიუ იორკში ცნობილმა წიგნების გამომცემელმა რობერტ საბუდამ სკოლას საბავშვო ლიტერატურა გაუგზავნა. ამჯერად კი ორგანიზაციამ ინტერნატის აღსაზრდელებს, ბრიტანეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს მონაწილეობით, სოფლის სამეურნეო იარაღები, მშრალი პროდუქტი, ჩასაცმელბიც ჩაუტანა. **"ამ ყველაფრის გარდა, ჩვენს ორგანიზაციას უნდა, რომ ბავშვებმა განათლებაც მიიღონ. ამიტომ, ყველანაირად შევუწყობთ ხელს მათ, თუ უცხო ენასაც დაეუფლებიან და კარგად ისწავლიან, პირობას ვიძლევით, რომ ისინი უმაღლეს განათლებას საზღვარგარეთ მიიღებენ. აქ ისინი პროფესიულ მომზადებას გაძლიერებული მეთოდებით გაივლიან. გარდა ამისა, ყურადღება მიექცევა მათ კულტურულ განათლებასაც - კერძოდ, ვეცდებით რომ ცეკვის წრე, რომელიც ამ სკოლას აქვს, ყველანაირად უზრუნველვყოთ. ამ ყველაფრისთვის ფინანსებს ჩვენი ორგანიზაცია გაიღებს",** - აცხადებს ჩარლზ სტრომე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის სკოლა-ინტერნატში ბავშვებს განათლების მიღება ცხრა კლასამდე უწევთ. იმისათვის, რომ ინტერნატის აღსაზრდელებმა საშუალო განათლება სრულად მიიღონ, გზისა და წიგნების ხარჯებს დაწესებულების დირექციას "კავკასიის ბავშვთა დაცვის ფონდი" დაუფარავს. გარდა ამისა, ორგანიზაცია სკოლას წიგნებით მომარაგებასაც დაჰპირდა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ცოტა ხნის წინათ შვეიცარიის განვითარების საქველმოქმედო ფონდმა "კარიტასმა" სკოლა-ინტერნატს თეთრეული, ახლი საწოლები, კარდები და სათამაშოები ჩაუტანა.

სულ მალე, აგვისტოში პატარებთან რამდენიმე დღეს გაატარებს ნიუი-ორკელი ბიზნესმენი რობერტო ცაბუტა. ჩარლზ სტრომე კი ბავშვებს ნოემბრამდე დაემშვიდობა.

# შიდსი, შეიძლება, ყველას შეხვდეს

*ბოლო მონაცემებით, აივ/ინფექცია-შიდსით დაავადებულთა რაოდენობამ მსოფლიოში 40 მილიონს მიაღწია. მათ შორის, 2,5 მილიონი ბავშვია. საქართველოში აივ/ინფექცია-შიდსის 551 შემთხვევაა დაფიქსირებული. "გავუფრთხილდეთ ერთმანეთს" – ამ დევიზით კლუბ "16 რაუნდში" შიდსის პრევენციის თემაზე შექმნილი კლიპის პრეზენტაცია შედგა.*

თამარ დვალი

ჰიმნი, რომელსაც 32 ქართველი მომღერალი ასრულებს, შვიდი წლის წინათ შეიქმნა. სიმღერის ჩაწერა დაწყებული იყო, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, კლიპის გადაღება შეწყდა. წელს ამ პროექტის დაფინანსება კავკასიის სოციალური მარკეტინგის ასოციაციამ და გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) ითავეს. ვიდეოკლიპი სტუდია "პილიგრიმში" დამზადდა, კლიპის რეჟისორია დავით გოგუაძე, ოპერატორი კი - ლევან პატარაია.

**"დიდი ხანია, რაც ეს ტექსტი არსებობს, მაგრამ არ არსებობდა კეთილი ნება და სურვილი მის ასამღერებლად. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ ოთარს, გამოვნახეთ ფინანსები და, გაერო-ს მოსახლეობის ფონდის შემწეობით, ჯერ ჰიმნის ჩაწერა, ერთი თვის ინტერვალში კი მისი ვიდეოკლიპის სახით რეალიზაცია მოვახერხეთ. ჰიმნი ყველა ადამიანს ეძღვნება. შიდსი ისეთი დაავადებაა, რომელიც, შეიძლება, ყველას შეხვდეს. "გავუფრთხილდეთ ერთმანეთს", – ეს სიტყვები ჰიმნის მთავარი დევიზია",** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას კავკასიის სოციალური მარკეტინგის ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ხვედელიძემ.

როგორც ჰიმნის ავტორი ოთარ ტატიშვილი აცხადებს, მას არც ერთი პოლიტიკური პარტიისთვის სიმღერა არ შეუქმნია, მაგრამ მზადაა, ისეთი საჭირბოროტო პრობლემების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიცაა ომი და შიდსი, თანადგომა გამოხატოს. პრობლემა კი, მართლაც, მნიშვნელოვანია. მსოფლიოში შიდსით ყოველდღიურად 14 000 მოზარდი და 2000 ბავშვი ინფიცირდება. ინფიცირებულთა 95 პროცენტი განვითარებად ქვეყნებზე მოდის. საქართველოში აივ/ინფექცია-შიდსის 551 შემთხვევაა დაფიქსირებული, მათ შორის, 89 ქალია და 462 მამაკაცი. ეს პროექტი სწორედ აივ/ინფექცია-შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შემცირებას ისახავს მიზნად.

სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ.83/11

# რელიგიური ექსტრემიზმის საფრთხეზე სამღვდელოებაც ალაპარაკდა

თამარ ჭაჭანიძე

*"ჯანსაღად მოაზროვნე სამღვდელოებას ექსტრემისტულად განწყობილი, რელიგიური ჯგუფები უპირისპირდებიან, სამწუხარო კი ისაა, რომ ამ ჯგუფებს საქართველოს საპატრიარქო აძლევს ლეგიტიმაციას", – ასეთი განცხადება გააკეთეს თავისუფლების ინსტიტუტში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მამა ბასილ კობახიძემ და მამა ზაზა თევზაძე.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"იმ საჯარო და ღია კრიტიკით, რომელსაც დღევანდელ საქართველოში ახორციელებენ ჯანსაღი ძალები, ბნელ ძალებს საშიშროება შეექმნათ", - ითქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.*

შაბათს ნარიყალაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდელს, მამა ზაზა თევზაძეს ტაძარში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მღვდელმა ზაქარია მარგალიტაძემ და მედავითნე დავით ქლიბაძემ. მღვდელი ზაქარია მარგალიტაძე, მამა ბასილ კობახიძის ინფორმაციით, გაზეთ "ხარებას" გამომცემელია და სამი თვის წინათ გადმოიყვანეს ამ ეკლესიაში. მამა ზაზას თქმით, სწორედ იმ დროიდან იღებს სათავეს მის მრევლზე ზემოქმედების მცდელობა. კერძოდ, მედავითნე დავით ქლიბაძე საეკლესიო წრეებში, სტუდენტებთან და მრევლთან მის დისკრედიტაციას ცდილობს, შეურაცხყოფს მას და მოიხსენიებს, როგორც მწვალებელს, არამართლმადიდებელსა და ეკლესიის მტერს. შემდეგ მამა ზაზას მისამართით წირვის დროს ამბიონზე, მრევლის გასაგონად მედავითნეს მიერ ნათქვამ ცილისწამებებს მღვდელი ზაქარია მარგალიტაძე გამოესარჩლა. მან ამით აშკარა გახადა, რომ მედავითნე მის აზრებს ახმოვანებდა. მამა ზაზას დეკანოზ გიორგი თევდორაშვილისთვის უთხოვია მოეწესრიგებინა შექმნილი სიტუაცია.

**"ეკლესიას, როგორც უდიდეს იდეოლოგიურ მანქანას, წლების განმავლობაში იყენებდნენ რუსეთის სპეცსამსახურები. იმ საჯარო და ღია კრიტიკით, რომელსაც დღვანდელ საქართველოში ახორციელებენ ჯანსაღი ძალები, მათ საშიშროება შეექმნათ. მამა ზაზა თევზაძეზე განხორციელებული შეტევის მიზანი ისაა, რომ მან შეწყვიტოს კრიტიკა. მამა ზაზა იყო პირველი, ვინც ღია ეთერში ამხილა საპატრიარქოს აპარატის უფროსი შორენა თეთრუაშვილი. წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, ეს ქალბატონი მართავს საპატრიარქოს. იგი არის საკვანძო ფიგურა. პატრიარქს კი, რომელსაც ბერული ცხოვრების აღთქმა აქვს მიცემული, არ შეუძლია, შეეწინააღმდეგოს შექმნილ სიტუაციას",** - აცხადებს მამა ბასილ კობახიძე.

მამა ბასილი რუსეთის ეკლესიის გავლენაზე, ფანატიზმის გავრცელებასა და ქართულ ეკლესიაში ფუნდამენტალიზმის საშიშროებაზე საუბრობს. მან თბილისის წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ-მკურნალის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგი ჩაჩავას განცხადება გააცნო ჟურნალისტებს. მამა გიორგი, რომელიც "რუსთავი-2-ის" ეთერში სტუმრობის შემდეგ სასულიერო პირის მხრიდან თავდასხმის ობიექტი გახდა, დღემდე განიცდის შევიწროებას. განცხადებაში, რომელიც საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქისადმია მიმართული, მამა გიორგი წერს, რომ 6 ივლისს ბორჯომის ბაზრის ტერიტორიაზე დეკანოზმა დავით ისაკაძემ და "წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირის" ექვსამდე წევრმა ალყა შემოარტყა მას და მის ოჯახს და არ მისცა გადაადგილების საშუალება, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და, მათი ნების საწინააღმდეგოდ, სურათები გადაუღო. **"თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს ეკლესიაში მოთარეშე ექსტრემისტული დაჯგუფებებისა და მათი ხელმძღვანელი სასულიერო პირების, აგრეთვე, ჩვენს ეკლესიაში არსებული რუსული გავლენის გამო, ჩემსა და ჩემი ოჯახის მიმართ მიმდინარეობს ფიზიკური დევნა-შევიწროება. ჩემმა სიტყვიერმა მომართვებმა თქვენს მიმართ, მათ შორის ამ ბოლო თავდასხმის თაობაზე, არავითარი შედეგი არ გამოიღო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული სასულიერო პირები და მათი მრევლი ან საერთოდ არ ემორჩილებიან ეკლესიის ხელმძღვანელობას, ან საპატრიარქოს თანამშრომლები ხელს უწყობენ რელიგიურ ექსტრემისტებს",** – აღნიშნავს მამა გიორგი განცხადებაში. საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, იგი ამ პროცესებში სამართალდამცავი ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩართვასაც აპირებს. მამა გიორგის გარდა, მუქარისა და დაშინების მცდელობა ყოფილა ეპისკოპოსი ზენონის მიმართაც.

თავისუფლების ინსტიტუტში პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა მორწმუნე თამუნა გოცირიძის დედა. ეს გოგონა წმინდა მირიან და ნანას სახელობის ეკლესიის მოძღვრის, მამა დიმიტრი ჩაჩიბაიას მრევლი გახლდათ და მონასტრული ცხოვრება აირჩია. თუმცა, ბევრეთის ტერიტორიაზე მდებარე სახლს, სადაც თამუნა და მისი მსგავსი გოგონები ცხოვრობენ, მამა ბასილი მონასტრად არ მოიხსენიებს. იგი ამ ადგილს უწოდებს ზომბირებული გოგონების კოლონიას, სადაც ახალგაზრდა ქალები ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების შემთხვევების ზრდა საზოგადოების დიდ ნაწილს აშფოთებს. ლევან რამიშვილი ფინანსურ პოლიციას რელიგიური დაჯგუფებების სპონსორებით დაინტერესებას ურჩევს. მათ ეჭვი აქვთ, რომ მსხვილი რუსული კომპანიები მიზანმიმართულად აფინანსებენ მართლმადიდებლობის სახელით მოღვაწე ორგანიზაციებს.

მამა ზაზას და მამა ბასილს საჯაროობის იმედი აქვთ. მათ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად მიაჩნიათ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

# გიორგი სანაიას მკვლელობიდან სამი წელი გავიდა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*დღეს ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობიდან სამი წელი სრულდება. გიორგი სანაიას მკვლელობის ღამესვე საზოგადოება მკვლელობის მოტივზე ალაპარაკდა, ეს იყო ვერსია შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის შესახებ. ამ ვერსიას მაშინდელი ხელისუფლებაც იზიარებდა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გასული წლის ნოემბერში დაწყებული სასამართლო პროცესი კვლავ გრძელდება. მსჯავრდებული გრიგოლ ხურცილავა ბოლო სიტყვას კიდევ ერთხელ იტყვის და ახალ განაჩენს დაელოდება.*

გიორგი სანაიას მკვლელობის მომდევნო დღეებში შსს–მ ვერსია შეკვეთილი მკვლელობის შესახებ კატეგორიულად უარყო. "რკინის მინისტრმა" კახა თარგამაძემ ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. გენერალურმა პროკურატურამ კი, რომელსაც საქმის ძიება დაევალა, მკვლელობის საყოფაცხოვრებო მოტივზე ღიად დაიწყო საუბარი. ბოლოს, პოლიცია-პროკურატურამ გიორგი სანაიას პირადი ცხოვრების რევიზიაც ჩაატარა და მათ მიერ ვერსიის სახით გავრცელებული არგუმენტების გამყარება სხვადასხვა მეთოდებით დაიწყეს. თუმცა, მკვლელობაში ბრალდებულის "გრიცკოს" – გრიგოლ ხურცილავას სქელტანიან საბრალდებო დასკვნაში ბუნდოვნად დაიწერა: გრიგოლ ხურცილავას ბრალად ედება განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შურისძიების მოტივით, რომელიც მოკლულსა და მკვლელობაში ბრალდებულს შორის მომხდარმა კონფლიქტმა გამოიწვია. ანუ, გამოძიებამ "ხელები დაიბანა" და თანაც, დატოვებული ღრიჭეთი სასამართლოს ნიადაგიც გაუმზადა. სასამართლო პროცესზე კი ამ ვერსიას საბოლოო სახე მიეცა.

მსგავსი პრეცედენტი ქართულ სამართალწარმოებაში ძნელი საპოვნელია – მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში განსასჯელი გრიგოლ ხურცილავა მთელი კატეგორიულობით ცდილობდა საკუთარი დანაშაულის დამტკიცებას და ბრალდების მხარესთან უნისონში არწმუნებდა ყველას, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის ყველა სხვა ვერსია, გარდა მის მიერ დასახელებულისა, მცდარი და თითიდან გამოწოვილია.

**"გთხოვთ, დაიჯეროთ და აღიაროთ, რომ მკვლელი მე ვარ,"** - დაახლოებით ასეთი გახლდათ ხალხმრავალ სასამართლო პროცესებზე გრიგოლ ხურცილავას კატეგორიული გულახდილობის არსი.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნანა გუგუნიშვილმა დაუდგენლად მიიჩნია ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივი, მაგრამ, ამასთანავე, პოლიტიკური მიზნებით მკვლელობა გამორიცხა. მკვლელობის მოტივის დადგენის გარეშე მოსამართლემ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას განაჩენი, სხვა დანაშაულებთან ერთად, განზრახ ჩადენილი მკვლელობისთვის გამოუტანა და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დაზარალებულმა და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს და განაჩენის გაუქმება სხვადასხვა მოტივით მოითხოვეს. ხურცილავას ადვოკატი მკვლელობის მოტივის დადგენას ითხოვს და გრიგოლ ხურცილავას მიერ აფექტურ მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებს, რაც ექსპერტ-ფსიქოლოგებმა გრიგოლ ხურცილავასთან რამდენჯერმე ჩატარებული ექსპერტიზის შემდეგ კატეგორიულად უარყვეს. "დანაშაულის ჩადენისას ხურცილავას სულიერი აღელვებისა და აფექტური მდგომარეობის ნიშნები არ გააჩნდა", - ასეთი გახლავთ ზედიზედ რამდენჯერმე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა. რაც შეეხება დაზარალებულის მოთხოვნას, სანაიას მეუღლე საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნებას და ნამდვილი მკვლელის ვინაობის დადგენას ითხოვს. ის სასამართლო პროცესში მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად ჩაერთო და იმედი გამოთქვა, რომ საოლქო სასამართლო, ახალი ხელისუფლების ფონზე, მომხდარი მკვლელობის შესახებ ჭეშმარიტებას დაადგენს.

საოლქო სასამართლოში პროცესი, უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ახალი და მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება საქმეზე დღემდე არ არის დადგენილი. პროცესზე კვლავ ის მოწმეები დაიკითხნენ, რომლებსაც საზოგადოება გლდანი-ნაძალადევის რაიონში მიმდინარე სასამართლო პროცესზე პირდაპირი ეთერის საშუალებით უსმენდა. **"ვადასტურებ ჩემს ადრინდელ ჩვენებას და გთხოვთ, მტკიცებულებად ეს ჩვენება გამოიყენოთ,"** - ასეთი გახლავთ ამჯერად საოლქო სასამართლოში დაბარებულ მოწმეთა განცხადებები.

საოლქო სასამართლოში ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დაწყებული სასამართლო პროცესიც უკვე დასასრულს უახლოვდება. ამ ეტაპზე, პროცესზე მხარეების მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს განიხილავენ, რასაც მტკიცებულებათა გამოქვეყნების ხანგრძლივი პროცესი მოჰყვება. მსჯავრდებული გრიგოლ ხურცილავა ბოლო სიტყვას კიდევ ერთხელ იტყვის და ახალ განაჩენს დაელოდება.

შეიცვლება თუ არა საოლქო სასამართლოში გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში რამე, ამის თქმა წინასწარ ძნელი სათქმელია. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები საოლქო სასამართლოს ვერდიქტითაც უკმაყოფილონი დარჩებიან, მათ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში შეეძლებათ განაჩენის გასაჩივრება.

# ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსს ინციდენტი შეემთხვა

სააგენტო „მედია-ნიუსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გარდაბანში, სოფელ ქესალოსკენ მიმავალ გზაზე ავტომანქანა „ნივა", რომელსაც უშიშროების ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის უფროსი, თბილისელი, 22 წლის ვასილ სანოძე მართავდა, შეეჯახა საპირისპიროდ მოძრავ ავტომანქანა „კამაზს", რომელსაც 21 წლის რაგიმ ალიევი მართავდა. ავარიის შემდეგ, სანოძემ და მისმა ოთხმა თანამშრომელმა ალიევს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ინციდენტს შემთხვევით შეესწრო გარდაბნის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი რევაზ ვაჩნიანი და შეეცადა, ვითარება განემუხტა, რამაც უშიშროების თანამშრომელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ამის შემდეგ, ვასილ სანოძემ და მისმა თანამშრომლებმა ვაჩნიანს გარდაბნის შს განყოფილებაში, თავის სამუშაო ოთახში მიაკითხეს და მასაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ალიევი მოთავსებულია საავადმყოფოში.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს პროკურატურა იძიებს.

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორმა გაზეთ „24 საათთან" საუბრისას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი, ფაქტობრივად, არ გააკეთა. გია ჯიქიას განცხადებით, **„ისეთი არაფერი მომხდარა, რომ საქმე აღძრულიყო. და საერთოდ, ასეთ წვრილმანებზე, ფაქტებზე, რომელიც დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს, პროკურატურა რეაგირებას არ ახდენს, სხვას ვერაფერს გეტყვით,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა გია ჯიქიამ.

კომენტარის გაკეთება არც ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსმა ისურვა. **„ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი უკვე გააკეთა ხელმძღვანელობამ - უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ. ამიტომაც, მე ვერაფერს გეტყვით, სხვათა შორის, ისეთი არაფერი მომხდარა, კომენტარის გაკეთება რომ იყოს საჭირო,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ვასილ სანოძემ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მომხდარ ინციდენტს ქვემო ქართლის პროკურატურა იკვლევს, თუმცა, საქმის აღძვრის პერსპექტივა არ არსებობს.

*24 საათი*

# კრიმინალური დაჯგუფების ლიდერები დააკავეს

ბოლო ორი დღის განმავლობაში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დედაქალაქში მოქმედი რამდენიმე სერიოზული დანაშაულებრივი ორგანიზებული დაჯგუფების ლიდერები დააკავეს.

მამუკა კოჭლამაზაშვილს, რომელიც უკვე წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული, სამართალდამცველებმა ბოლოს ჩადენილი დანაშაულიდან რამდენიმე საათში მიაგნეს. კოჭლამაზაშვილმა, დაჯგუფების ერთ-ერთ წევრთან ერთად, მეოთხე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანა გააჩერა და მძღოლს მუქარითა და იარაღის გამოყენებით ავტომანქანის მიტოვება უბრძანა. თავდამსხმელებმა მძღოლი ჯერ გაჩხრიკეს და გაძარცვეს, შემდეგ კი მის ავტომანქანაში მოთავსდნენ და მიიმალნენ. ავტომანქანის გატაცებიდან ცოტა ხანში, მათ დაყაჩაღებულს დაურეკეს და ავტომანქანის გამოსასყიდად 800 ლარი მოსთხოვეს. პოლიციელებმა ცხელ კვალზე მხოლოდ მამუკა კოჭლამაზაშვილის დაკავება მოახერხეს, მის თანმხლებ დამნაშავეს კი ჯერაც ვერ მიაგნეს. თუმცა, როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსმა დავით კეკუამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, მეორე ეჭვმიტანილის ვინაობა უკვე დადგენილია და ის სამართალდამცველებს შორის ვერ წაუვა. დავით კეკუას განცხადებითვე, როგორც ირკვევა, მამუკა კოჭლამაზაშვილის კრიმინალური დაჯგუფება კარგა ხანია, თბილისის ქუჩებში, ძირითადად, საბჭოური წარმოების ავტომანქანებზე "ნადირობს". კოჭლამაზაშვილი და მისი ჯგუფის წევრები გამომძალველების სახელით არიან ცნობილი. დაჯგუფების წევრები გატაცებული საბჭოური წარმოების ავტომანქანების მფლობელებს მანქანის გამოსასყიდად გარკვეულ თანხას სთხოვდნენ.

გარდა ამ დაჯგუფების ლიდერისა, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციამ მეორე, ასევე კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი – გულედანი დააკავა. მისი და მისი თანმხლების მიერ იარაღის მუქარით გატაცებული სამარშრუტო ტაქსი სამართალდამცველებმა უკვე დაუბრუნეს პატრონს. **"გულედანმა და მისმა თანმხლებმა, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალია, ვითომ იქირავეს სამარშრუტო ტაქსი. ცოტა ხანში, მათ მძღოლის დახრჩობა მოინდომეს, ის საშინლად სცემეს და მიკროავტობუსი გაიტაცეს. ჩვენ მათ ცხელ კვალზე მივაგენით,"** - განგვიცხადეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციაში.

ამავე რაიონის სამართალდამცველებმა, ბოლო ორი დღის განმავლობაში კიდევ რამდენიმე ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დააკავეს, რომელთა შორის ჭელიძე-კიკვიძის ორკაციანი ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ძირითადად, მეტროს სადგურ "ახმეტელთან" აყაჩაღებდნენ გამვლელ-გამომვლელს და "ნამუშევრით" საკმაოდ დიდი შემოსავალიც ჰქონდათ.

**"მართალია, დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ უტყუარი მტკიცებულებები არსებობს. რაც მთავარია, ეჭვმიტანილები დაზარალებულებმა ამოიცნეს,"** - აცხადებენ სამართალდამცველები.

*24 საათი*

# ბრალდებულ აკადემიკოსს დღეს პატიმრობას შეუფარდებენ

გენერალურმა პროკურატურამ და უშიშროების სამინისტრომ, ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციისას, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე დააკავეს.

გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამმართველო ნაპოლეონ ქარქაშაძის საქმიანობით კარგა ხნის წინ დაინტერესდა. მასალების მოკვლევის შემდეგ, ყოფილი რექტორის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" პუნქტით აღიძრა. საუბარია მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე, რამაც სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს არსებითი ზიანი მიაყენა.

უფრო კონკრეტულად, გენერალურმა პროკურატურამ ქარქაშაძეს ბრალი დასდო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონების არაერთგზის უკანონო პრივატიზებაში.

გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის ინფორმაციით, რექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ნაპოლეონ ქარქაშაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებას, რაც გამოიხატა უნივერსიტეტის ქონების პრივატიზების და იჯარით გაცემის პროცესში მის მიერ ოფიციალურ დოკუმენტებში არასწორი ინფორმაციის ასახვაში, ნაკისრი ვალდებულებებისგან ქონების მყიდველთა დაუსაბუთებელ გათავისუფლებაში და სახელმწიფოსთვის აშკარად წამგებიანი ხელშეკრულების გაფორმებაში.

საქმე ისაა, რომ ქარქაშაძის რექტორად ყოფნის პერიოდში მოხდა ღვინის მინი-ქარხანა "მარანის" პრივატიზება, ასევე სასწავლო-საცდელ ბაზა "მუხრანზე" რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105,50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის, სასწავლო-ექსპერიმენტულ ბაზა "იმედზე" რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25-50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის და "მუხრანის" ბალანსზე რიცხული, "მუხრანბატონის" სასახლის და მისი ინფრასტრუქტურის ნაგებობების, ხელოვნური ტყე-პარკის და სტადიონის გრძელვადიანი იჯარით გაცემა.

კახა კობერიძის განცხადებით, პროკურატურისთვის ცნობილია იმ პირთა ვინაობა, ვინც იყიდა ან იჯარით აიღო აღნიშნული ობიექტები, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ გვარებს გენერალური პროკურატურა არ ასახელებს და არც იმას აკონკრეტებს, არიან თუ არა აღნიშნული პირები დღევანდელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში.

ნაპოლეონ ქარქაშაძე ამჟამად უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფება. იგი ეჭვმიტანილის სტატუსით უკვე დაიკითხა, მაგრამ დანაშაულს არ აღიარებს. პროკურატურა დღეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს და ყოფილი რექტორის, კორუფციაში ბრალდებული აკადემიკოსისთვის აღმკვეთი ღონისძიების – წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს.

*24 საათი*

# აჭარელ მაღალჩინოსანთა დაკავება გრძელდება

**"ასლან აბაშიძის ცოლისძმისთვის, სოსო გოგიტიძისთვის მიცემული ხელშეუხებლობის გარანტია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს მიღმა მოქმედებს. თუკი ის საქართველოს ტერიტორიაზე დადგამს ფეხს, დააკავებენ,"** - აცხადებს აჭარის პროკურორი გია პაპუაშვილი.

აჭარის უშიშროების ყოფილმა მინისტრმა სოსო გოგიტიძემ აჭარის ტერიტორია ყოფილ მეთაურთან, ასლან აბაშიძესთან ერთად, 6 მაისს დატოვა. აბაშიძის ნათესავსა და ყოფილ მაღალჩინოსანზე, რომლის საქმიანობაზეც სამართალდამცველები ჯერ კიდევ აბაშიძის მმართველობის პერიოდში ბევრს საუბრობდნენ, სამართლებრივი დევნა განხორციელდება. ეს აჭარის პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე მოხდება.

სამართლებრივი დევნა, სოსო გოგიტიძის გარდა, მის ქვეშევრდომებზე – დავით ხალვაშზე, მეტსახელად "ქელფეთასა" და დათო ბაკურიძეზეც განხორციელდება. როგორც აჭარის პროკურორი გია პაპუაშვილი ირწმუნება, ისინი, ისევე როგორც სოსო გოგიტიძე, საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფებიან.

დავით ხალვაშსა და დავით ბაკურიძეს სამართალდამცველები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში, ადამიანის უფლებების დარღვევაში, კონკრეტულად, ადამიანებისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთასა და მათთვის 300 ათასი აშშ დოლარის და 800 ათასი ლარის გამოძალვაში ედავებიან.

**"სოსო გოგიტიძის ბანდფორმირებების სხვა წევრების გამოსავლენად მოკვლევა მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაულისთვის ნებისმიერი მათგანი პასუხს აგებს,"** - აცხადებს აჭარის პროკურორი.

სოსო გოგიტიძისა და მისი ბანდფორმირებების წევრების დაკავებამდე კი, აჭარის პროკურატურამ უკვე დააკავა აჭარის პარლამენტისა და სენატის ყოფილი თავმჯდომარე ანთაზ ქიქავა. გამოძიება ქიქავას საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ედავება. საქმე ეხება პერიოდს, როდესაც ანთაზ ქიქავა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გია ცინცქილაძის პირველ მოადგილედ მუშაობდა. გამოძიებამ დაკავებულისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს უკვე მიმართა. პროცესი დღეს გაიმართება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებს მიეძღვნა იურისტების სადისკუსიო, არაფორმალური შეხვედრა, რომელიც იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ფინანსური მხარდაჭერით გამართა. შეხვედრაზე ის საკანონმდებლო მდგომარეობა განიხილეს, რაც სასჯელაღსრულების სისტემას აწესრიგებს. აღინიშნა, რომ ამ კანონმდებლობის დახვეწაზე საჭიროა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის კოორდინირებული მუშაობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე სამართალდამცავებმა ყაჩაღური თავდასხმის მცდელობისას ორი დამნაშავე დააკავეს. ისინი ორგანიზაცია "ქორწინება და ოჯახის" გაძარცვას აპირებდნენ. დამნაშავეები დანით იყვნენ შეიარაღებულნი. სპეცოპერაციას ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი დავით იაშვილი ხელმძღვანელობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს თანამშრომლებმა უკანონო საბრძოლო იარაღი, ერთი გადაჭრილი სანადირო თოფი, ერთი "ნაგანის" ტიპის რევოლვერი და ერთი "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა, ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანში მცხოვრები, 1937 წელს დაბადებული, ელენე გოგებაშვილის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს. აღნიშნული უკანონო იარაღი სახლის მეპატრონის აწ გარდაცვლილი მეუღლის კუთვნილება იყო. **პრაიმ-ნიუსი**



# ბეწვის ხიდზე მარჯვედ მავალი სააკაშვილი

LEFIGARO·fr

მას ღვთით ბოძებული ძალა აქვს. თითქმის ორი მეტრი სიმაღლის, ახოვანი, წარმოსადეგი მამაკაცი, ფართო მხრებითა და ულევი ენერგიის პატრონი, 36 წლის საქართველოს ახალი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი თითქოს განგებაა შექმნილი ამ ზომისა, რათა იმ შეუძლებელ მისიას შეეჭიდოს და გაუმკლავდეს, რომელიც მას 2003 წლის ბოლოს ქართველმა ხალხმა მიანდო: გაპარტახების პირას მისული ქვეყანა გამოიყვანოს კორუფციის მორევიდან. იმავდროულად, იხსნას სამშობლო "რუსი დათვის" კლანჭებიდან, ისე, რომ ეს უკანასკნელი მტრად არ გადაიკიდოს.

დაღლა მისთვის უცხო ხილია, შეუძლია მრავალი ღამე თეთრად ათიოს და კვლავაც ღიმილიანი დარჩეს. ქართველ მიშას თავის ხურჯინში ერთი მთავარი კოზირი აქვს: ესაა მისი სხარტი გონება და სამყაროს არასტანდარტული ხედვა, რომელიც შორსაა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის ნიშნეული ისტორიული შტამპებისაგან. განათლება აშშ-ში მიიღო და იქვე, ნიუ-იორკში დაიწყო მუშაობა საადვოკატო ბიუროში. სწორედ იქიდან მოსდევს ახალგაზრდა პოლიტიკოსს ზედმიწევნით ანგლოსაქსური პრაგმატიზმი. ასე რომ, მას შემთხვევით არ უწოდებენ "კავკასიელ კენედის".

სხვათა შორის, მისი გამორჩეული და უშუალო მეთოდები, ცოტა არ იყოს, განაცვიფრებს აზერბაიჯანელ და სომეხ კავკასიელ მეზობლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალური აზიის უხუცეს თავკაცებზე, რომლებსაც შიშის ზარს სცემს მისი გადამდები დემოკრატიული იერი, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს რომ მოედო. თავად მას კი ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნის.

მიუხედავად ათასობით კავშირისა, რომლითაც საქართველო იმპერიულ რუსეთზეა მიბმული, იგი გადაჭრით დაადგა ევროატლანტიკურ თანამეგობრობისაკენ მიმავალ გზას. სააკაშვილი ფიქრობს, რომ შესაძლებელია გეოპოლიტიკის კანონების გვერდის ავლა. "საქართველოს პრეზიდენტი ცოტა ჯადოქარიც უნდა იყოს", - ღიმილით ამბობს იგი.

საოცრებები კი სააკაშვილმა უკვე მოახდინა. მოხუცი შევარდნაძე ვარდების რევოლუციით აიძულა ხელისუფლებიდან წასულიყო, მოგვიანებით კი თბილისის კონტროლქვეშ დააბრუნა აჭარის ავტონომია, სადაც რუს სამხედროებთან გარიგებული ადგილობრივი ურჩი ფეოდალი პარპაშებდა, და რომელმაც იქაურობა სხვადასხვა სახის უკანონო ვაჭრობის სათარეშოდ გახადა. ორივე შემთხვევაში მოსკოვმა თვალი დახუჭა, მიხვდა რა, რომ რუსული დიპლომატია ველარ დაეყრდნობოდა ძირგამომპალ და უკანონო საყრდენებს.



*მას ღვთით ბოძებული ძალა აქვს. თითქმის ორი მეტრი სიმაღლის, ახოვანი, წარმოსადეგი მამაკაცი, ფართო მხრებითა და ულევი ენერგიის პატრონი, 36 წლის საქართველოს ახალი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი თითქოს განგებაა შექმნილი ამ ზომისა.*

ამავე დროს, სააკაშვილი განუწყვეტლივ მოგზაურობს, ცდილობს თავის ქვეყანას სახელი გაუთქვას დასავლეთში, რათა იქიდან ინვესტიციები მოიზიდოს და კრედიტები მოიპოვოს. ჯერჯერობით ეს ამართლებს. მას ამერიკელებიც ძალიან ანებივრებენ. ევროკავშირმაც ყოველგვარი განსაკუთრებული პირობების გარეშე 1 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება გამოუყო. ფრანგი სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიის სათავეში, ხოლო რუსეთიდან ჩამოყვანილი ყოფილი ოლიგარქის, კახა ბენდუქიძის ეკონომიკის თავკაცად დანიშვნამ, აშკარად კიდევ უფრო გააფართოვა შესაძლებლობათა არეალი.

თუმცაღა, სკეპტიკოსებს რა დალევს... ჰოდა, ისინიც ხმამაღლა გაჰყვირიან, ზედმეტი მოსდისო. ერთნი ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს ფრანგული სპეცსამსახურების ჯაშუშობას აბრალებენ, მეორენი კი სააკაშვილს იმაზე აკრიტიკებენ, რომ საშინაო პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას უთმობს და ეს უკანასკნელი მთლიანად თავის პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გადააბარაო, რომელიც, თავის მხრივ, გამალებულ ანტიკორუფციულ კამპანიას ეწევა. ბევრსაც რუსეთის მიმართ არცთუ ისე ფრთხილი დამოკიდებულება აშფოთებს.

მაგრამ სააკაშვილი ამ კრიტიკას უარყოფს და მიიჩნევს, რომ საქართველოს თითქმის ამოუხსნელი გეოსტრატეგიული განტოლება დიდ რისკზე წასვლას მოითხოვს... აღნიშნავს კავკასიის სპეციალისტი თომას დე ვაალი. ახალი პრეზიდენტი არათუ არ აპირებს ტემპის შენელებას, არამედ აჭარული მეთოდით ოსეთსა და აფხაზეთს მიადგა. სააკაშვილს კარგად ესმის, რომ ვიდრე მოსკოვიდან მართული სეპარატიზმის ბუდეები არ მოიშლება, საქართველო შვებით ვერ ამოისუნთქებს. მან ასევე კარგად უწყის, რომ წყალობა და კეთილგანწყობა, ქვეყნის შიგნით იქნება ეს თუ მის გარეთ, არ იქნება მარადიული.

ასე რომ, უნდა იჩქაროს. ფეხი კი არ უნდა დაუცდეს. ამიტომაც ზიგზაგებით მიიწევს წინ. ცდილობს რუსებისათვის ვიზებზე შეზღუდვების მოხსნით კრემლი დააშოშმინოს, ამასთან, ლონდონთან, ვაშინგტონთან თუ პარიზთან ურთიერთობები გაამყაროს. ბაგირზე მიმავალი სულ მოძრაობს, წამით არ ჩერდება, თანაც დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რადგან ირგვლივ ველი დანაღმულია.

*ლორ მანდევილი, "ფიგარო"*

# საერთაშორისო სეპარატიზმი

THE WALL STREET JOURNAL

თუ თქვენ არასოდეს მიგიქცევიათ ყურადღება სამხრეთ ოსეთისათვის, შეიარაღებული სეპარატისტული ანკლავისათვის საქართველოში, შეგიძლიათ ახლა გააკეთოთ ეს. [illegible] გამოეგზავნათ მოხალისეები. 11-12 ივლისს რუსეთის რამდენიმე რეგიონის გადაკვეთის შემდეგ ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში, ასობით, ზოგი მათგანი შეიარაღებული. მათი სწრაფი ჩამოსვლა ცხადყოფს, რომ ეს აქცია წინასწარ იყო დაგეგმილი, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის სააგენტოებმა და ტელევიზიამ გააშუქეს მათი საქართველოში ჩამოსვლა და [illegible]

19 ივლისს შემდეგ [illegible] ის დასტურია ის, რომ მოსკოვი აკონტროლებს ამ ოპერაციას, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეიარაღებული მოხალისეების სამხედრო მნიშვნელობა არცთუ ძალიან დიდია.

ეს ოპერაცია მნიშვნელოვანია მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, და სწორედ ამიტომ იყო იგი ასე ფართოდ გაშუქებული. Pour encourager des autres - განსაკუთრებით იმ ნეოიმპერიალისტური და საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილი დაჯგუფებების, რომლებსაც სიგიჟემდე უყვართ ასეთი ტიპის ავანტიურები. მსგავსი "მოხალისეთა" ოპერაციები (მათ შორის, ყუბანისა და დონის კაზაკების მიერ განხორციელებული ოპერაციები) წარმატებით დაეხმარა რუსეთს საქართველოსა და მოლდოვასთან ბრძოლაში 1992-93 წლებში. ეს სიგნალი ნიშნავს იმას, რომ ასეთი ოპერაციები განმეორებადია. იგივე სიგნალი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც გაფრთხილება საქართველოსათვის და ამავე დროს წახალისება სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის შეიარაღებული სეპარატიზმისათვის.

ეს სამი, მოსკოვის მიერ წახალისებული, ვითომ სახელმწიფო ახლა მოიშველიებს 1994 წელს დადებულ პაქტს, რომელიც გულისხმობს ურთიერთდახმარებას, მათ შორის, თუ საჭიროა სამხედროსაც. სამხრეთ ოსეთში უკანასკნელი ოპერაციის განხორციელება დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. 2 ივნისს და შემდეგ 9 ივნისს, დნესტრისპირეთის ლიდერებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ ისინი მზად იყვნენ გაეწიათ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის სამხედრო დახმარება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ეს გამოაცხადეს მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, სადაც რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პირველმა არხმა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ოპერატიულად გააშუქეს დნესტრისპირეთის მიერ გაკეთებული გაფრთხილებები.

რამდენიმე დღის შემდეგ მაღალი რანგის ეუთოს დელეგაციები ვიზიტით ჩავიდნენ დნესტრისპირეთში: - ერთ-ერთი მათგანი ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სოლომონ პასის მეთაურობით, ხოლო მეორე, ვენაში ეუთოს აკრედიტებული ელჩების 26-კაციანი შემადგენლობით. დელეგაციებმა ვერანაირი პასუხი ვერ გასცეს მასპინძლების მუქარას - რომ გამოიყენებენ ძალას ეუთოში შემავალი ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიიდან, რათა დაეხმარონ ეუთოს სხვა წევრ ქვეყანაში მოქმედ სეპარატისტებს, რუსეთის ტერიტორიის გავლით (კიდევ ერთი ეუთოს წევრი ქვეყანა), რომელმაც თავიდანვე შეაიარაღა და დანიშნა სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელები.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ეუთო აშშ-ს რამდენიმე დიპლომატთან ერთად ამ თავის მოლდოვურ პოლიტიკას ამყარებს დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობის ლეგალიზებასა და მოლდოვის ცენტრალურ ხელისუფლებაში მათთვის გარკვეული ძალაუფლების მინიჭებაზე, და ყველაფერი ეს რუსეთის ხელდასმით. ამ "ფედერალიზაციის" პროექტის მხარდამჭერები საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბოლო პერიოდში. ჯერ გაისმა დნესტრისპირეთის მუქარა, რასაც შემდეგ მოჰყვა კონკრეტული მოქმედება - შეიარაღებული მოხალისეების გაგზავნა სამხრეთ ოსეთში. 8 ივლისს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ სტრასბურგში ვერდიქტით განსაზღვრა დნესტრისპირეთი, როგორც ტერიტორია, დაპყრობილი რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ, ხოლო დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობა, როგორც უცხო ქვეყნის მიერ დასმული ჯგუფი, რომელმაც ძალაუფლება ძალით მოიპოვა.

ყველაფერ ამას დაემატა ის, რომ 15 ივლისს დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა თავისი გადაწყვეტილება - გაეუქმებინა ის დარჩენილი 6 მოლდოვური სკოლა, რომლებშიც სწავლება ლათინური შრიფტით მიმდინარეობდა (ლათინური შრიფტის აკრძალვა უკვე დიდი ხანია არის დე ფაქტო. ახლა ეს ოფიციალურად იქნა აღიარებული). სკოლების საწინააღმდეგო ეს ნაბიჯი მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს ადგილობრივი ეროვნული უმრავლესობის დენაციონალიზაცია. ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში როლფ ეკეუსმა ამ ნაბიჯს უწოდა "ენობრივი წმენდა" (ამ შემთხვევაში განხორციელებული უმცირესობის მიერ უმრავლესობის მიმართ), თუმცა, სხვები ეუთოსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეთა საშუალო დონეზე აგრძელებენ დნესტრისპირეთის ლიდერებთან, როგორც კანონიერ "ფედერალიზებულ" პარტნიორებთან, ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ ეუთოს მარცხი, მკაცრად გამოსულიყვნენ მოხალისეების ექსპედიციის წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში, შეიძლება მიჩნეულ იყოს როგორც ნაწილი იმ უფრო დიდი მარცხისა, რომელიც განიცადეს საერთაშორისო უშიშროებისა და დემოკრატიული მექანიზმების შემქმნელმა ინსტიტუტებმა და დასავლეთის მთავრობებმა თავისი აზრის მკაცრად გამოთქმაში. შეიარაღებული "ბოევიკების" გადაგზავნა საზღვარზე სეპარატისტების მხარდასაჭერად ლეგიტიმური სახელმწიფოს წინააღმდეგ არის აქტი, რომელიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც ტრანსნაციონალური ტერორიზმი. ეს კონკრეტული ოპერაცია არ აღმოჩნდა საბედისწერო, ხოლო შემდეგი ოპერაცია (თუ იგი განხორციელდება), შეიძლება აღმოჩნდეს საბედისწერო.

როდესაც დასავლეთი ყურადღებას ადუნებს, ეს ყოველთვის გარკვეული სიგნალია მოსკოვისათვის და სეპარატისტული ძალებისათვის.

ამ მოვლენებმა ჩვენ შეიძლება გარკვეული გაკვეთილი გვასწავლოს. უპირველეს ყოვლისა, დასავლეთს აქვს ვალდებულება, დაგმოს ასეთი ავანტიურები, მით უფრო ახლა, როდესაც დასავლეთი ებრძვის ტრანსნაციონალურ ტერორიზმსა და იარაღით უკანონო ვაჭრობას. მეორეც, აუცილებელია აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში მოქმედი მშვიდობის დამცველთა ძალების ინტერნაციონალიზაცია და მათთვის უფრო ცივილური ფორმის მიცემა. დღეს არსებული რუსი "მშვიდობის დამცველები" სეპარატისტული რეჟიმების საყრდენია და ისინი ხელს უწყობენ ამ ანკლავების მილიტარიზაციას და ამძაფრებენ კონტრაბანდასა და სხვა არალეგალურ საქმიანობას, რომელშიც სხვადასხვა რანგის რუსი სამხედროებიც მონაწილეობენ.

მესამეც, უკვე დროა, გავცდეთ არსებული მონიტორინგისა და მოლაპარაკების ჩარჩოებს. როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე დნესტრისპირეთში ეს ჩარჩოები უკვე წარსული ეპოქის გადმონაშთია. ისინი ხელს უწყობენ ამ რეგიონებში რუსეთის მრავალმხრივ მონაწილეობას, იზოლაციაში აქცევენ საქართველოსა და მოლდოვას, და ხელს უშლიან დასავლეთის როლის გაძლიერებას, გამონაკლისია მხოლოდ სუსტი ეუთოს მონაწილეობა. დასავლეთმა უნდა განახორციელოს უფრო პრაქტიკული მიდგომა, რადგან დასავლეთის ინტერესები ამ ქვეყნებში გამორჩეულად გაიზარდა მას მერე, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთმა შექმნა ეს ფორმატები.

დაბოლოს, თუ ვაშინგტონი და ბრიუსელი რეალურად აპირებენ იმ დემოკრატიზაციის განხორციელებას, რომელზეც საუბრობენ, მაშინ მათ უნდა აღიარონ, რომ სეპარატისტული კონფლიქტები პოზიტიურად არ გადაიჭრება, ვიდრე იარსებებენ სეპარატისტული მთავრობები. ეს მთავრობები არსებობენ და იფურჩქნებიან საბჭოთა ტიპის პოლიციური რეჟიმების, მაფიოზურ-ორგანიზებული დანაშაულის, ანტიდასავლური პროპაგანდისა და იმ სამხედრო წნეხის პირობებში, რომელიც შანტაჟს უწყობს ლეგიტიმურ მთავრობებს. ამ კონფლიქტების მოგვარებას საფუძვლად უნდა ედოს დემილიტარიზაცია, დეკრიმინალიზაცია და დემოკრატიზაცია. ხოლო ეს ყველაფერი საჭიროებს დასავლეთის მიერ შემუშავებულ კონკრეტულ სტრატეგიას, რაც სრულიად საპირისპიროა არსებული პასიური მიდგომისა და პრობლემების გადაჭრის "მინი დიქტატორების" დანიშვნის გზით.

*"The Wall Street Journal"*

ძირითადი ტენდენცია

# გადადებული პარტია ორმხრივი შესაძლებლობებით

პირველი გვერდიდან

მაგრამ ამ მოტივით დაბრუნებაზე უარის განცხადება, რბილად თუ ვიტყვით, გულუბრყვილობა იქნებოდა – რაკეტების მეტი რა აქვს რუსეთს?

გარდა ამისა, პრინციპულობითა და შეურიგებლობით ცნობილი სერგეი ივანოვის მოულოდნელი "უკან დახევა" კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ 7 ივლისის ინციდენტი რუსეთის სპეცსამსახურთა პროვოკაცია იყო და მათ თავად ჩააწვეთეს ქართულ მხარეს ინფორმაცია რუსეთიდან თითქმის დაუცველი(!) სამხედრო კოლონის მოძრაობის თაობაზე, რათა ვითარება მწვავე სტადიაში გადაეყვანათ.

ამჟამად, იარაღის დაბრუნებით, კონფლიქტის ერთ-ერთი კვანძი გაიხსნა და შეიძლება ფრთხილად ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ ოსეთის კრიზისი (თუ უახლოეს დღეებსა და კვირებში რაიმე ექსტრაორდინარული არ მოხდა) აქტიური ფაზიდან კვლავ ლატენტურ მდგომარეობას უბრუნდება.

ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მაისამდე არსებული სტატუს-კვო ნაწილობრივ აღდგა. ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან მოპაექრე მხარეები მის ახალ ხარისხზე შეთანხმდნენ.

"მოპაექრეებში" კი უდავოდ იგულისხმება არა მხოლოდ თბილისი და მოსკოვი (მით უმეტეს თბილისი და ცხინვალი), არამედ მოსკოვი და ვაშინგტონი.

გასულ კვირას, ამერიკის ადმინისტრაციამ მკაფიო მესიჯი გამოაქვეყნა სახელმწიფო დეპარტამენტის სპოუქსმენის მეშვეობით, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკა დაჟინებით ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვიტოს პრობლემა რუსეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებით.

მანამადე (კონფლიქტის გაღვივების ადრეულ სტადიაზე), ვაშინგტონის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ "დაუშვებელია ამ რეგიონში არსებულ სტატუს-კვოსთან მუდმივად შერიგება და სიტუაციის შემდგომი "გაყინვა". მაგალითად, ამგვარი განცხადება გააკეთა რუსეთის ფედერაციაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ალექსანდრ ვერშბოუმ.

მას შემდეგ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა - მხარეთა შესაძლებლობებსა და რეალურ დისპოზიციას ნათელი მოეფინა. ისიც ცხადი გახდა, რომ საომარი მოქმედებები, უკეთეს შემთხვევაში, ხანგრძლივ პარტიზანულ ომს, ხოლო უარეს შემთხვევაში, ქართლის (ცენტრალური საქართველოს) მნიშვნელოვანი ნაწილის აოხრებას და ოკუპაციას გამოიწვევდა.

ამის შემდეგ, თბილისში შედგა ნიშანდობლივი შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველ სტივენ მანსა და რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩ ლევ მირონოვს შორის, რამაც "დიდ მოთამაშეთა" კომპრომისი საბოლოოდ გააფორმა.

საბედნიეროდ, მათი კომპრომისი ამჯერად საქართველოს ინტერესებს დაემთხვა, ვინაიდან ყველაფრით ჩანს: ქვეყნის ხელისუფლებას არაფრის დიდებით არ სურდა ვითარების რეალურ ომამდე გამწვავება. მისი მთავარი (და, ამჟამად, ნაწილობრივ მიღწეული) მიზანი დღევანდელ ეტაპზე მხოლოდ გამანადგურებელი კონტრაბანდის შეჩერება იყო.

ამრიგად, სტატუს-კვოს ახალი ხარისხი გულისხმობს სამხრეთ ოსეთის გავლით სატრანსპორტო ნაკადის მკაცრ კონტროლს საქართველოს მხრიდან და ამ მიზნით(!) დამატებითი საგუშაგოების განლაგებას კონფლიქტის ზონაში, რასაც 1992 წლის ხელშეკრულება კრძალავს.

მეტის მიღწევა, დღეს, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. "სამხრეთ ოსეთში" რუსეთს შესაბამისი ზემოქმედებისათვის გაცილებით მეტი ბერკეტი აქვს, ვიდრე აჭარაში ჰქონდა.

რაც შეეხება კონტრაბანდას, რომელიც საქართველოს მთავრობის ყოველგვარ ეკონომიკურ პოლიტიკას ანგრევს და უაზრობად აქცევს (დიახაც, სწორედ ეს სურთ მოსკოვში), ჩვენი მოწინააღმდეგეები არც თუ უსაფუძვლოდ იმედოვნებენ, რომ ამგვარი "ყაიმი" მათთვის უფრო შეიცავს პარტიის სამომავლო "გაგრძელების" პერსპექტივებს, ვინაიდან "ავრალური მეთოდებით" სამხრეთ ოსეთიდან კონტრაბანდული ნიაღვრის მუდმივად შეჩერება ობიექტურად შეუძლებელია.

რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ვითარება დაწყნარდება და კვლავ ძველებური "თვლემის" მდგომარეობას დაუბრუნდება, კონტრაბანდა ისევ დაიძვრება წვრილ-წვრილი ნაკადებით – საქართველოს სხვა რეგიონებისაკენ; ხოლო ამ კონტრაბანდის "ბუდეთა", ანუ ე.წ. "ბაზრობების" აკრძალვას (ან თუნდაც რეორგანიზაციას), საქართველოს ხელისუფლება ვერ შეძლებს - წვრილ მოვაჭრეთა და წვრილმან კონტრაბანდისტთა მძვინვარე წინააღმდეგობის გამო, რისი ნიშნებიც უკვე გამოჩნდა.

ზოგიერთს უკვირს კიდეც, რატომ ებღაუჭება რუსეთის გრანდიოზული სახელმწიფო ამ ბინძურ ერგნეთის ბაზრობას. ნუთუ ასე "დაწვრილმანდა" ვეება რუსეთი, რომ სხვა მეთოდები აღარ დარჩა "დერჟავული პოლიტიკის" გასატარებლად?

არადა, თანამედროვე მსოფლიოში იმპერიული პოლიტიკის საუკეთესო (უსისხლო და უხმაურო) მეთოდი სწორედ ეკონომიკური დივერსიაა, რაც ასუსტებს, ანგრევს და აჩანაგებს დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკურ საფუძველს, არ აძლევს მას საშუალებას, "შედგეს" როგორც სრულფასოვანი სახელმწიფო.

ამ თვალსაზრისით, ერგნეთის ბაზრობა და მთლიანად, სამხრეთ ოსეთის "შავი ხვრელი" რუსული ნეოიმპერიალიზმის ერთგვარი მოდელი იყო: ერგნეთში, სადაც თავისუფლად, ყოველგვარი კანონისა და სისტემის "მიღმა" ვაჭრობდნენ ოსები, რუსები, სომხები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ხდებოდა იმის თვალსაჩინო დემონსტრირება, რომ სამხრეთ კავკასიაში არც ერთი სხვა სახელმწიფოებრივი სისტემა არ იარსებებს – რუსეთის სახელმწიფო სისტემის გარდა; არსებობს მხოლოდ ერთი სივრცე, ერთი ეკონომიკური საზღვარი – რუსეთის; ერთი საბაჟო - რუსული და ასე შემდეგ.

ამ თვალსაზრისით, ერგნეთის ბაზრობა მე-19 საუკუნის "თიფლისის" "რიმეიკი" გახლდათ, როდესაც თბილისი სამხრეთ კავკასიის "დიდი ბაზრობა", რუსეთის ერთ-ერთი განაპირა პროვინციის ცენტრი იყო და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქი.

ნუ მოგვეჩვენება გადაჭარბებად დასკვნა, რომ რუსეთს ამგვარი მეთოდებით სურს კვლავ გადააქციოს საქართველო კავკასიის "გამჭოლ ეზოდ", სადაც არ მოქმედებს არავითარი სხვა კანონი, მოსკოვის მიერ დამტკიცებულის გარდა.

ამიტომაც, ხსენებული ბაზრობა მართლაც არ არის "სასაცილო წვრილმანი" არა მხოლოდ პრაქტიკულ-ეკონომიკური, არამედ სახელმწიფოებრივ-კონცეპტუალური თვალსაზრისით. იგი ერთგვარი "სასინჯი ქვაა" იმის დასადასტურებლად, შეძლებს თუ არა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო სისტემის (მათ შორის ეკონომიკური საზღვრის, როგორც მისი უმთავრესი პირობის) დაფუძნებას.

"ახალი სტატუს-კვოს" პირობებში მოწინააღმდეგეს დიდი იმედი აქვს, რომ - ვერ შეძლებს. ჩვენი ამოცანაა (არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთელი საზოგადოების) დავუმტკიცოთ (არა მარტო რუსებს) რომ ამის უნარი და შნო გვაქვს, ანუ შეგვიძლია თუნდაც ელემენტარული სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტა.

აქედან გამომდინარე, მომავალი თვეების განმავლობაში, სწორედ "ცხინვალის კონტრაბანდის" წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება-წარუმატებლობა განსაზღვრავს იმას, მოვახერხებთ თუ არა ამ რეგიონში "გადადებული პარტიის" შემოტრიალებას ჩვენს სასარგებლოდ.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ: თუ საქართველო ამას მიაღწევს, მაშინ მოსკოვი სულ სხვაგვარად მოეკიდება ჩვენთან საკითხების გადაწყვეტას. ახალ მეთოდიკასაც გამოიმუშავებს (რაკი ძველი არ გაუმართლებს) და, ვთქვათ, მოლაპარაკებები იმავე როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლების თაობაზე სულ სხვა რაკურსში, ჩვენთვის ბევრად ხელსაყრელი და პერსპექტიული პირობებით წარიმართება.

მართლაც, ტრანსკავკასიური მაგისტრალის სრული ჩაკეტვა (სომხეთის ინტერესებიდან გამომდინარე), მხოლოდ ოსების "განაწყენების შიშით", რუსეთს სულაც არ ეპიტნავება, - თუ საქართველო დაამტკიცებს, რომ (ისევ და ისევ) შესწევს უნარი და ფხა, ეს ამოცანა გადაწყვიტოს.

ასეთ შემთხვევაში (მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში!), ერთგვარი "კონდომინიუმი" როკის სტრატეგიულ პუნქტზე გამორიცხული სულაც არ არის, რაც ახალი, კიდევ უფრო რთული პარტიის დაწყებას მოასწავებს და არა საბოლოო გამარჯვებას.

## რა თქვა პუტინმა?

რუსული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, პრეზიდენტმა პუტინმა ერთობ ბუნდოვანი (წინასწარგანზრახულად გაბუნდოვნებული) ფრაზა წარმოთქვა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" რუსეთის როლის თაობაზე. მისი თქმით, "აზრი იმის შესახებ, თითქოს რუსეთს აქვს მონოპოლია დსთ-ს სივრცეში, თავის მოტყუებაა".

ამ განცხადებას, საქართველოში მეტისმეტად დიდი რეაქცია და აჟიოტაჟი მოჰყვა. სასიხარულოა, რომ უმაღლესი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს "ბუკ ნაღარა" არ შემოუკრავს. სამაგიეროდ, სწორედ ის ხალხი ჟრიამულობს (არიქა, რუსეთი დსთ-ში მონოპოლიაზე უარს ამბობს ანუ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს გვიბრუნებსო), ვინც 12 წლის წინ ამავე ღრმააზროვანი მენტორის ტონით გვმოძღვრავდა: ბორის ელცინს "წითელ-მიხაკისფერები" ებრძვიან, თორემ მას თავად შესანიშნავად ესმის, რომ "დერჟავული პოლიტიკა" უნდა შეცვალოსო.

არადა, სინამდვილეში რა თქვა პუტინმა? - ერთი წუთით არ მოვდუნდეთ და დსთ-ს წევრი ქვეყნების მიმართ აგრესიულად შემტევი პოლიტიკა არ შევასუსტოთ, თორემ მონოპოლია სულაც არა გვაქვს და ჩვენს დათმობილს სხვები აითვისებენო.

ამის გათვალისწინებით, უნდა ველოდოთ, რომ პირიქით, მოსკოვი არათუ რაიმეს დათმობს, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს აგრესიულ პოლიტიკას, მათ შორის საქართველოს მიმართ.

ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტებისა და ენერგეტიკული დამოკიდებულების გათვალისწინებით, რუსეთს სწორედ აქ მიაჩნია შესაძლებლად "გარღვევის" მიღწევა. ამიტომ, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ ყველა შესაძლო ბერკეტის ამოქმედებას: უპირველეს ყოვლისა, ენერგეტიკულ ზეწოლას: ვალების შეხსენება, გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდების შემცირება და ასე შემდეგ.

რაც უფრო გაძლიერდება რუსეთი ეკონომიკური თვალსაზრისით (უახლოესი 20 წლის განმავლობაში ენერგოშემცველთა ფასი მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ მოიმატებს), მით უფრო აგრესიული და შეურიგებელი გახდება მისი პოლიტიკა მეზობლების მიმართ.

თანაც, საამისოდ რუსეთს სულაც არ სჭირდება დსთ-ში რაიმე "ზესახელმწიფოებრივი" თუ "მაკოორდინირებელი" ორგანოების შექმნა, რასაც ელცინი ცდილობდა. საკმარისი იქნება, ერთი მხრივ, დსთ-ს (როგორც რუსეთის შეუვალი გეოპოლიტიკური სივრცის) ფორმალური არსებობის მუდმივი დადასტურება და, მეორე მხრივ, ურთიერთობების აგება დიქტატის მეთოდიკაზე.

სექტემბერში, სახელმწიფოს მეთაურთა მორიგ სამიტზე, რუსეთი ამ პოლიტიკას საბოლოოდ გააფორმებს და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუწევს უახლოეს წლებში საქართველოს.

## "სააკაშვილის მოდელი" ანუ ქართული ლიბერალური პროექტი

გასულ კვირას, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას და "ადგილობრივი თვითმმართველობის" თაობაზე გამართული თათბირის დროს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მისი (როგორც მინიმუმ) "საშუალოვადიანი პროგრამის" თაობაზე.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, იგი არ დაუშვებს ქვეყანაში ანარქიას (შეუზღუდავი თავისუფლების მოტივით) და სახელმწიფოს დაშლას (დეცენტრალიზაციის ფორმით).

სხვათა შორის, ზოგიერთი დამკვირვებელი ამგვარ მოდელს "მართვად დემოკრატიას" უწოდებს. სხვები "გარდამავალ დემოკრატიას" და ასე შემდეგ.

მაგრამ რეალურად, დეფინიციას მნიშვნელობა არა აქვს. მოდელი, რასაც პრეზიდენტი ქვეყანას სთავაზობს, არის ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად რესურსთა მობილიზების საშუალება.

აქვე უნდა ითქვას: ის მოთხოვნები, რომლითაც რევოლუციის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები ბოლო დროს გამოდიან, კარდინალურად განსხვავდება სააკაშვილის მთავარი მესიჯისაგან, რითაც იგი მოვიდა ხელისუფლებაში. ჯერ კიდევ ნოემბრის მოვლენებამდე, მიხეილ სააკაშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ მისი მიზანია შექმნას ქმედითი ხელისუფლება, - ნაცვლად სუსტი, დავრდომილი, უმწეო ხელისუფლებისა.

ამ მიმართულებით პრეზიდენტი მიზანმიმართულად მოქმედებს და არც მალავს, რომ ფუნდამენტური ამოცანების გადასაწყვეტად (უპირველესად ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად) ელიტისა და ხელისუფლების კონსოლიდირება სჭირდება. განურჩევლად იმისა, ვისთვის მისაღებია ამგვარი კონცეფცია და ვისთვის არა.

სამწუხაროდ, ქართული სოციუმის მნიშვნელოვან ნაწილს, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო "ვარდების რევოლუციაში" და აღფრთოვანებულია შევარდნაძის საწყალობელი ხელისუფლების იოლი დამხობით, არ ესმის, რომ ის, რაც "გასდიოდა" ძველ ხელისუფლებასთან, დღევანდელ ხელისუფლებასთან "არ გავა".

ბოლო დროს გახშირებული დემაგოგიური არგუმენტი - "ამას შევარდნაძეც კი(!) არ აკეთებდა და ვერ ბედავდა" - სრულიად უსაგნო და უაზროა: ბოლო წლებში შევარდნაძის ხელისუფლება გაწურული ლიმონივით "ამომშრალებული და გამოფიტული" იყო. ამიტომაც ვერ ბედავდა ემოქმედა გაბედულად და მტკიცედ მაშინაც კი, როცა ამის სრული უფლება ჰქონდა.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, ნურავის ექნება იმედი, რომ, ვთქვათ, ქუჩის უკანონოდ გადაკეტვის შემთხვევაში არ დაარბევენ და კანონის შესაბამისად არ დასჯიან. ან ექნება სრულიად შეუზღუდავი (როგორც ადრე) საშუალება თქვას (თუნდაც დაწეროს) ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება, გააკეთოს ის, რაც უნდა და თავად მიაჩნია სასურველად, განურჩევლად ხელისუფლების დამოკიდებულებისა. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. თვით არქიდემოკრატიულშიც. დემოკრატია მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი მმართველობაა. ჩვენი "ენჯეოების" ერთ ნაწილს კი "გაუგიათ ალია მომკვდარაო".

იგივე კანონი ადრეც მოქმედებდა. მაგრამ გააჩნია, რამდენად ამოწურულია ხელისუფლების "პოლიტიკური კრედიტი". აქ განმსაზღვრელი სულაც არ არის, რაოდენ "გაბედულია" პიროვნულად დღევანდელი პრეზიდენტი და "გაუბედავი" იყო მისი წინამორბედი.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, დემოკრატიული მშენებლობის მრავალგვარი მეთოდიდან სწორედ იმ მეთოდის ამორჩევა უწევს (მათ შორის აგრესიული გარეშე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად), რომლებიც უეჭველად მოითხოვენ ძალაუფლების კონცენტრაციას და სახელისუფლებო ელიტის კონსოლიდირებას – ლიბერალური შინაარსის სტაბილური სახელმწიფოს დასაფუძნებლად.

რასაკვირველია, ყურს ჭრის, რომ ესაა "ქმედითი ავტორიტარიზმი", მაგრამ თვალნათელია: წინა ორმა მეთოდმა (ზვიად გამსახურდიას ქარიზმატულ-ისტერიული ეთნონაციონალისტური ბონაპარტიზმი და ედუარდ შევარდნაძის დონდლო, ფსევდოდემოკრატიული, პლიურალისტურ-ვირტუალური რეჟიმი) არანაირი შედეგი არ გამოიღო ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემათა გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ესე იგი, როგორც მინიმუმ, ხელისუფლებას უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, აქვს მორალური და პოლიტიკური უფლება, საზოგადოებას შესთავაზოს და სცადოს მესამე მოდელი, რაც ყველაზე მიზანშეწონილი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს გარემო-პირობათა გათვალისწინებით.

## მიტოვებული სტადიონები



აგერ უკვე ათობით წელია, "სთოუნზები" უპრობლემოდ ავსებენ ყველა ზომის არენას თუ დარბაზს

B2

## თბილისში კულტურისთვის "მკვდარი სეზონია"



B3

## თასი "ლოკომოტივისაა"



ფინალი ისეთი რამაა, სადაც გამარჯვებას ორივე გუნდი იმსახურებს, თუმცა, მხოლოდ უძლიერესი აღწევს.

B4

ნოდარ ლადარია

შეიძლება ითქვას, რომ გასულ კვირას "24 საათში" სილამაზის ზეიმი იყო...

ჯერ ერთი, სამშობლოში დაბრუნდა **ნინო ანანიაშვილი**. 22 ივლისს ჩვენმა გაზეთმაც გვახარა ეს ამბავი. იმედია, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გარდა თბილისის მრავალჭირნახული საბალეტო სასწავლებელიც იპოვის თავის ღირსეულ პერსპექტივას. ამ საკითხზე ჩემი პრეს-ომბუდსმენობის განმავლობაში მრავალი რამ მსმენია, მაგრამ სხვადასხვა გარემოებების გამო საქმე წინ არ დაძრულა. ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რომ პრობლემები არ შევუქმნა ბევრ კეთილ ადამიანს, მაგრამ, საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებისა არ იყოს, "მსოფლიო ბალეტის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის" ჩვენს ეროვნულ თვალსაწიერზე გამოჩენამ შეიძლება საბალეტო სასწავლებლის ირგვლივ თავმოყრილი ბურუსიც გააბნიოს.

მით უმეტეს, თუ **მადი სერებრიაკოვას** ბოლოდროინდელი წარმატებების ჯაჭვი მომავალშიც გაგრძელდება. წარმატებებზე კი სრულიად სერიოზულად მოგახსენებთ და ეს ხსენებული სილამაზის ზეიმის მეორე ელემენტია.

19 ივლისს მადი სერებრიაკოვამ გამოაქვეყნა სტატია *"ხელოვნების ზეიმის" ყოფნა და არყოფნა*, რომელიც ბორჯომის მესამე საერთაშორისო ფესტივალის საბოლოო შეჯამებას ეძღვნება, მაგრამ მისი შინაარსი ამ ფორმალურ საზღვრებს მნიშვნელოვნად სცილდება. მხედველობაში მაქვს თუნდაც შემდეგი ფრაგმენტი: "**მსგავსი ფესტივალები მსოფლიოში საკმაოდ ბევრია და იმის წარმოდგენა, რომ ყოველი მათგანი ამა თუ იმ პრეზიდენტის, მინისტრის ყოფნა-არყოფნასა და ნება-სურვილზე შეიძლება იყოს დამოკიდებული, საკმაოდ შეურაცხმყოფელად მიმაჩნია ფესტივალისთვის, პრეზიდენტისთვის, მინისტრისთვის და საერთოდ — ქვეყნისთვის. საეჭვოა ისიც, თუ რამდენად შეასრულებს საკუთარ ზეპოლიტიკურ მისიას პოლიტიკურ ქართა ქროლვაზე დამოკიდებული ფესტივალი**". არ შემიძლია, არ გავიზიარო ეს ეჭვი: სტატიამ ზედაპირზე გამოიყვანა ჩვენში საკმაოდ ღრმად ფესვგამდგარი ანაქრონიზმი — ხელოვანი როგორც ხელისუფლების **კლიენტი**. ეს უკანასკნელი სიტყვა ანტიკური რომიდან იღებს სათავეს და შეიძლება უფერულად და უემოციოდ გვეჩვენოს იქ, სადაც საზოგადოებრივი წყლულის მკურნალობა ჯერ კიდევ მოითხოვს ჟურნალისტურ პათოსს. ამიტომ სხვანაირადაც ჩამოვაყალიბებ პრობლემის არსს: ხელოვანი როგორც ხელისუფლების **ხიზანი**. მგონი, ამ თემატიკის ჯეროვნად გაშუქება გაზეთში საკმაოდ პერსპექტიული იყოს და სახელიც კი გაუთქვას მასთან შეჭიდებულ ავტორს. ეს უკანასკნელი არაფერს დაკარგავს: უარეს შემთხვევაში, მისი სტატიები, თუნდაც გასული საუკუნის ისტორიის მაგალითებზე შექმნილი, გაცილებით უფრო ბუნებრივად ჩაჯდება ქართული დღევანდელობის კონტექსტში, ვიდრე, მაგალითად, **მელორ სტურუას** ამერიკული სიუჟეტები, დღემდე რომ ვერ მოუშუშებიათ "მეჟდუნაროდნაია პანორამას" იდეოლოგიური არტახების კვალი.

მაგრამ ისევ ბორჯომის ფესტივალს დავუბრუნდეთ და კიდევ ერთი ძველი წყლული გავიხსენოთ, რომელიც მადი სერებრიაკოვას შეხებამ გაგვიღიზიანა. იმას ვგულისხმობ, თუ როგორ იქცა საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი ინგოლშტადტის (გერმანია) მუნიციპალურ ორკესტრად. სტატიაში ვკითხულობთ: "**თუ ორკესტრის ახალი შემადგენლობაც მათ ბედს გაიზიარებს, ეს ძალზე უარყოფითად იმოქმედებს თანამედროვე ქართულ კულტურაზე და კოსმოპოპ-ფართები ღამის კლუბებში ამ დანაკლისს ნამდვილად ვერ აანაზღაურებს**". ამ ერთი წინადადებით ორი საკითხი წამოიჭრა:

1. რა კონკრეტული გარემოებები ახლდა ორკესტრის პირველი შემადგენლობის "გაგერმანელებას"? ვფიქრობ, საზოგადოებისათვის ნათელი უნდა გახდეს ამგვარი მოვლენების მექანიზმი, საჯაროზე უნდა გამოვიდეს ამ ამბავთან დაკავშირებული ცოდვა-ბრალი.

2. მე, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რას ნიშნავს კოსმო-პოპ-ფართები ღამის კლუბებში, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ნამდვილად არაა ის, რაზედაც კულტურის სახელმწიფო (ან თუნდაც საქალაქო) მესვეურებმა უნდა დადონ ფსონი. ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმავლობაში მშვენივრად მოვახერხეთ, რომ ცენტრში მოვათავსეთ ყოველივე ის, რაზედაც უარი თქვა მსოფლიოს ყველა ღირსეულმა საზოგადოებამ. ლამის ნაცისტური აზრები დაუსჯელად ისმის ქუჩებში, ტელეეთერში, პარლამენტშიც კი. და თუ ქართველი მაინცდამაინც უნდა დაუპირისპირდეს მთელს მსოფლიოს და რაღაც გასაკუთრებული მაგალითი აჩვენოს მას, ხომ შეიძლება ეს წყურვილი უფრო მშვიდობიანად დავიოკოთ? — მაგალითად, კომერციულად მომგებიან საქმედ ვაქციოთ კლასიკური მუსიკა. სულ მცირე, იმას მაინც მივიღებთ, რომ დათო გომართელის თაყვანისმცემლები ტუჩს აღარ აიბზუებენ, "გარეუბანში" მცხოვრები ქალაქის მერის გამო და გემოვნების კანონმდებლებად აღარ მოგვევლინებიან.

ბოლოს და ბოლოს, მთელი ამ შოუ-ბიზნესის (ლამის ბობ ფოსის ფილმის სათაურივით გამომივიდა) დასახასიათებლად ერთადერთი ადგილი იკმარებს მადი სერებრიაკოვას სხვა სტატიიდან (20 ივლისი, *სახეები და სახელები*): "**პრეზენტაციის ყველაზე რთული მომენტი ქართველი პოპ-ვარსკვლავების "ცოცხლად" ნამღერი მუსიკალური პაუზები გახლდათ. საღამოს კულტურული პროგრამის ამ მიმართულებით წარმართვა ის შეცდომა იყო, რომელიც ნამდვილად არ ეკადრება სოლიდურ და ავტორიტეტულ გამოცემაზე პრეტენზიის მქონე ჟურნალის რედკოლეგიას**".

თავის დროზე ბევრი რამ არცთუ ისე სახარბიელო მითქვამს მადი სერებრიაკოვას ტექსტების გამო. მახსოვს, ამან ცნობისმოყვარეობაც აღძრა ხალხის ფართო მასებში. ინტერნეტში ჩემი დაჟინების მიზეზის ასეთ ვერსიასაც წავაწყდი: "ალბათ მოსწონს". მგონი, დრო მოვიდა, მე თვითონ ავხსნა ზოგი რამ: ადამიანები, რომლებიც მისაღებსა და მიუღებელს შორის სადემარკაციო ხაზის ჩემ მხარეს დგანან, ძლიერები უნდა იყვნენ. და კიდევ, რუსული ბილიარდის მოთამაშეებისგან ბევრჯერ გამიგონია: "бей своих, чтобы чужие боялись!".

მაგრამ სილამაზის ზეიმი უნდა განვაგრძოთ და ისეთ რამესაც შევეხოთ, რაც უფრო ახლოს დგას იმასთან, რისი ცოდნაც ასე სურდა ჩემი შინაგანი მიდრეკილებების ინტერნეტ-მკვლევარს: 23 ივლისიდან **ნინია კაკაბაძის** სვეტს ავტორის ახალი ფოტო ამშვენებს. აი, რაც შეეხება თვით სტატიის თემას (*პურჭყის ღირსი ხარ შენ...*), აქ სულის მოთქმა და უკან დახევაც გვმართებს, რადგან მოვლენის არსი გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე მისი გარეგანი, თუნდაც ასეთი ექსპრესიული გამოხატულება.

ალბათ უკვე ყველა მიხვდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს წინ გამართულ მანიფესტაციას ეხება. ვნახოთ, როგორ გააშუქა "24 საათმა" ეს მოვლენა.

ყველაფერს აქვს წინაისტორია და ჩვენს ამ წინაისტორიით დავიწყოთ. 20 ივლისს დღის ნათელი იხილა **სოფო ბუკიას** სტატიამ *მეტალურგია და ავიაცია — საქართველოს ღირსება*. სტატიიდან ვგებულობთ, რომ 19 ივლისს საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერს, **შალვა ნათელაშვილს** ნარიყალაზე აუთრევია თავისი მოძრავ-მექანიზირებული ტრიბუნა და იქ გაუმართავს პრესკონფერენცია თემაზე "იყიდება საქართველო". სტატია ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს სტატია ნათელაშვილის შესახებ — ეს, არსებითად, პამფლეტია, ან, როგორც ადრე ამბობდნენ, ფელეტონი. ბავშვობიდან მახსოვს, კომუნისტურ პრესაში ფელეტონებს ბოლო გვერდზე ბეჭდავდნენ. ამაში ნამდვილად არის რაციონალური მარცვალი: რატომ უნდა იყოს სერიოზული გაზეთის მეორე გვერდზე პიროვნება, რომელიც კარგა ხანია ადეკვატურად მხოლოდ ღამის შოუს მეილ-ბოქსსა და "202"-ის "დებატებში" აღიქმება? ამის საპირისპიროდ, მადი სერებრიაკოვას *სტატია იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა!* (22 ივლისი), სადაც სერიოზულად და საფუძვლიანადაა გადმოცემული ფირმა "მელოდიას" ხმისჩამწერი სტუდიის მდგომარეობა და პრივატიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე შესაძლო პერსპექტივები, რატომღაც გაზეთის ბოლო კუნჭულში დაიბეჭდა, თუმცა კი შეეძლო ფრთები გაეშალა რუბრიკაში "ეკონომიკა" ან "საზოგადოება".

თუ მაინცდამაინც ასე დაჟინებით გვსურს ქართული "ლეიბორიზმის" განხილვა, ცხადად და დასაბუთებულად გადმოვცეთ, რომელი სოციალური ფენის ინტერესებს გამოხატავენ ქართველი "ლეიბორისტები", მართლა გამოხატავენ თუ არა ისინი ვინმეს ინტერესებს საკუთარის გარდა, რა გარეგან და შინაგან რესურსებს ფლობს ეს დაჯგუფება, რა მეტამორფოზები განუცდია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შეგნებას ბოლო 30 წლის განმავლობაში. ვფიქრობ, თვით სოფო ბუკიაც მშვენივრად შეძლებს ამას, მით უმეტეს, რომ თვითონაც უკვე გრძნობს, რომ პათოლოგორეპორტიორობაზე უფრო სასიამოვნო პათოლოგოანატომობაა.

ასე თუ ისე, გავიგეთ, რომ პოლიტიკის პერიფერიიდან ახალი ტალღა აიქოჩრა: "იყიდება საქართველო!". სტატიაში ვკითხულობთ, რომ ნათელაშვილს "**მსმენელი გუშინ ისე შემოეცალა, როგორც ბავშვები ეპარებოდნენ ეროსი მანჯგალაძის კინოგმირს ფილმში "ნატვრის ხე**".

შესაძლოა, ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ სინამდვილის უფრო მასშტაბური პერსპექტივა საწინააღმდეგოს გვიჩვენებს: მსმენელთა რიცხვი მეორე დღესვე გაიზარდა და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

მეორე დღეს კი იმავე მეორე გვერდზე გამოქვეყნდა პატარა ხელმოუწერელი "ნიუსი": *ინციდენტი ეკონომიკის სამინისტროს წინ*. აქ სრულიად გასაგებია, რომ ამ კონკრეტული მოვლენის სენსაციად ქცევას გაზეთი ნამდვილად არ ესწრაფვის. სხვათა შორის, ტექსტში ვერ ვხვდებით უკვე ტერმინად ქცეულ სისულელეს "ექს-პრეზიდენტის მომხრეები" — მე, მაგალითად, ფრიდრიხ II-ის მეფობა მომწონს (1225 - 1250), რაო, მისი მომხრე ვარ?

ერთი სიტყვით, რეპორტიორული სიმშრალე ერთადერთი მისაღები სტილია. ამ სიმშრალის წყალობით ზუსტადაა გადმოცემული ეკონომიკის მინისტრის სიტყვები, **მანანა არჩვაძის** მომხრეთა შესახებ ნათქვამი: "**მე ვიცოდი, რომ მათ ფულს უხდიდნენ და საჭიროდ არ ჩავთვალე, მათი აქ დგომა შემეფერხებინა**". უწყება ცალსახაა: ეს საწყალი ლუმპენები არიან, რომლებიც ისედაც ირხევიან "ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა" და რატომ უნდა წავართვათ დღეში ათი ხინკლისა და ერთი კათხა ლუდის შესაძლებლობა? ერთხელ თურმე **ბილ გეიტსსაც** გააცნეს ერთი ბომჟი, რომელსაც ელექტრონული მისამართი ჰქონდა. ინფორმატიკის მაგნატმა მას ხუთი დოლარი აჩუქა, რისთვისაც პრესამ ტყავი გააძრო — კასრში მცხოვრები დიოგენე სინოპელის სიტყვა რომ გავიხსენოთ, "ამბობ, მეფე ვარო, მაგრამ ძლვენზე კი არ გეტყობა". რა მენტალობას ნერგავს ეკონომიკის მინისტრი, რომელიც თუნდაც "ხუთლარიან" უკანონობაზე თვალს ხუჭავს?

თვითონ ხომ ლერწამს კი არა, უფრო მუხასა ჰგავდა: წარბიც კი არ შეუხრია, ისე გაიშვირა თითი პოლიციისკენ — რამე იღონონო.

პოლიციას თავისი წილი ყურადღება გასულ კვირას გაზეთმაც დაუთმო. **სოფიკო ჩხაიძემ** ქვეყნის პრეზიდენტის მსჯელობაც კი გააგრძელა იმის თაობაზე, თუ *როგორი არ უნდა იყოს ქართული პოლიცია* (20 ივლისი): "**ცხადია, სისტემური ცვლილებების გარეშე კადრების ჩანაცვლებით საქმე არ კეთდება, თუმცა, ქართული პოლიცია ვერც ამის გარეშე აშენდება. ახალი კადრების მომზადება კი ახლა იწყება და, სავარაუდოდ, ეს არ იქნება ხანმოკლე პროცესი**". სავარაუდოდ კი არა, ნამდვილად ხანგრძლივი იქნება: თუ საჩვენებელი სწავლების ტელერეპორტაჟის საფუძველზე ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ მარჯვნისაკენ სწორად შემობრუნებას ისწავლიან.

მაგრამ ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ ძირითად სიუჟეტურ ძაფს.

მეორე დღეს მანანა არჩვაძის "სასტავიდან" გამოფრენილი ფურთხის ტრაექტორიამ მთავრობის სხდომასაც მიაღწია და 22 ივლისს ამას მიეძღვნა **თამარ ხორბალაძის** სტატია *მთავრობა შეურაცხყოფილია*. ტექსტიდან პრემიერ-მინისტრის ხმა გვესმის: "**ეს ის ბანდაა, ვინც წლების განმავლობაში, ვითომდა სტრატეგიული ობიექტების სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვების მოტივით, ქვეყნის კუთვნილ ასობით მილიონიან ქონებას დაეპატრონა. ამჯერად კი გაუბედურებულ ხალხს 5-5 ლარი დაურიგეს, ქუჩაში გამოიყვანეს და ყოველგვარი უმსგავსობა აკადრებინეს**". ბენდუქიძის თავდაპირველი უწყება გაღრმავდა და ხორცი შეისხა. ხალხი კი კვლავ ლერწმის ამპლუათი უნდა დაკმაყოფილდეს — ხალხი პოლიტიკურ სცენაზე სტატისტად რჩება. სულაც არ მსურს იმის თქმა, რომ ეკონომიკის სამინისტროს წინ შეკრებილი რამდენიმე ათეული გარეწარი ქართველ ხალხს წარმოადგენს. მე იმის თქმა მინდა, რომ ეკონომიკის მინისტრი და პრემიერ-მინისტრი თავიანთ გამოსვლებში ხალხზე საუბრობენ და ვერაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ საჭირო მომენტში გაჭირვებულთა და გალატაკებულთა შორის შეძლებენ იმათი არსებობის აღიარებას, ვინც ხუთ ლარად თავის პრინციპებს არ გაყიდის.

თუ მტრებში არ შეგვიძლია დავინახოთ გულწრფელობის (თუნდაც შემცდარის ან დანაშაულებრივის) და თავგანწირვის უნარი, ვერასოდეს ამოვძირკვავთ მიუღებელ იდეებს. ჯობია, მასხრად ავიგდოთ ადამიანის რწმენა, თუ ეს რწმენა აიძულებს ქოლგები ურტყას სხვის ავტომობილს, ვიდრე ვთქვათ, რომ ეს ადამიანი იაფადაა ნაყიდი. ამით მხოლოდ საკუთარ თავს მივაყენებთ შეურაცხყოფას და ზარალსაც კი, რადგან მოწინააღმდეგეს ობიექტურად ვერ შევაფასებთ. მით უმეტეს, როცა რამდენიმე თვის წინ სწორედ ამ იაფად ნაყიდი გარეწრების წარმომადგენლებთან გავმართეთ პომპეზური "შერიგება" ქაშუეთის ტაძარში, შევარჩინეთ ყველაფერი და აღარ ვიხსენებთ, რას ჰგავდა იმ ავად სახსენებელ წლებში ქართული პრესა და ტელევიზია, რა მარაზმი სუფევდა ქვეყნის მართვაში, ვინ იტანჯებოდა უსამართლო რეპრესიების გამო და ვის ისტერიულ კაპრიზებს გადაურჩა სრულიად საქართველო.

ამ ისტერიულ და კაპრიზულ ქალებზე წერს ნინია კაკაბაძე 23 ივლისის ნომერში. როგორც იქნა, მშვიდობით მოვაღწიეთ და უნდა ვთქვათ, რომ გასული კვირის სვეტი ეხებოდა მანანა არჩვაძის პიროვნებას. რამდენიმე სიტყვა იყო მიძღვნილი მისი დის, ლელესადმი. ეს ყველაფერი კარგია: თბილისში ასობით სხვადასხვა მეტნაკლებად თავშესაქცევი ამბავი დადის ამ ორი ქალბატონის შესახებ. ერთი მეც ვიცი: თურმე მანანა არჩვაძე თვეების განმავლობაში სარგებლობდა ბულაჩაურის ქუჩაზე მდებარე ქიმწმენდით, საფასურს კი არ იხდიდა — როგორ, განა მამულისათვის თავგანწირულ ადამიანებს ქიმწმენდა უფასოდ არ უნდა ემსახურებოდეს?! წარსულ დროში კი იმიტომ მოგითხრობთ, რომ ქიმწმენდის მფლობელს მოთმინების ფიალა აევსო და სულ კინწისკვრით გაუგდია კარში უავგუსტესი მუქთახორა. არ ვიცი, რამდენად დავწიე ქვევით ჩემი ტექსტის დონე მასში ამ ანეგდოტის ჩართვით, მაგრამ ახლა კი ისევ მაღლა უნდა ამოვქაჩო.

კომპრომეტაცია ყოველთვის იყო ჟურნალისტის ბასრი იარაღი: ეს დასაშვები კი არა, სასურველიცაა. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საქმე მართლაც საჯარო პირებს ეხება. მანანა არჩვაძის პიროვნული კრიტიკა იგივე შედეგის მომტანია, რაც ქაშუეთში გამართული უნაყოფო შერიგება — ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს მის ფაქტორს. მარგინალური ჯგუფებისა და მათი ლიდერების მიმართ საზოგადოებრივი გაკიცხვის ყველაზე ქმედითი ფორმა მათი პიროვნულობისგან დაცლა და სტიქიურ მოვლენამდე დაყვანაა. "Их надо смешать с дерьмом" — როგორც ალბათ იტყოდა ჩვენი ეკონომიკის მინისტრი თავისი ბიოგრაფიის იმ პერიოდში, როცა მასთან უკიდურესად დაახლოებულ ქართველებსაც კი აზრად არ მოუვიდოდათ, თუ კახა ბენდუქიძემ ქართული იცოდა.

ჩვენ არ შევეკამათებით ამ აზრს, მაგრამ არც მთლად გავიზიარებთ. ერთს კი ვიტყვით: დროთა განმავლობაში უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზრდება, მათ ლიდერებიც გამოუჩნდება. ამ ხალხის წინამძღოლთა (ბერძნულად, დემაგოგთა) მიმართ დუმილი გვმართებს, ხოლო ხალხის მიმართ კი — სიტყვა. ამ სიღარიბით გარყვნილ ადამიანებს მართლაც ძალიან უჭირთ და ახლო მომავალში კიდევ უფრო გაუჭირდებათ: ეს მათ არ მოკლავს, ოღონდ ვაღიაროთ, რომ ისინი ადამიანები არიან და შეიძლება ჰქონდეთ თვალსაზრისები და მსოფლმხედველობა. ვებრძოლოთ მათ უვიცობას, მაგრამ ნუ ვეტყვით, რომ ნახირი არიან.

ახალ ხელისუფლებას არ უნდა ეშინოდეს რეიტინგის დაცემის — ეს გარდაუვალია. მთავარი სხვაა: ჩვენი დღევანდელი ლიდერები საკმაოდ ახალგაზრდები არიან, რომ თავიანთ სიცოცხლეშივე იხილონ თავიანთი ძნელი ღვაწლის ჯეროვანი დაფასება მომავალი თაობის მიერ. უფრო მეტიც: თუ დღეს არ შეუშინდებიან "პურჭყს", თუ გაუძლებენ ყალბი იდეოლოგიით უმეცარ ბრბოთა მართვის ცდუნებას, იმასაც მოესწრებიან, რომ დღევანდელ მაპურჭყებელთა შვილები კვლავ აირჩევენ მათ.

ხალხი იმისი კი არაა, ვინც მას იყიდის, არამედ იმისი, ვინც მას აღზრდის.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



# თანამედროვე პლასტიკა ძველ სივრცეში

თეონა ჯაფარიძე

სამეფო უბნის თეატრის ძველი შენობა იმდენად მისტიკურია და და მის სივრცეში რაც ხდება ხოლმე იმდენად ეკლექტურია თავად შენობასთან მიმართებაში, რომ აქ წარმოდგენზე დასასწრებად მოსულ ადამიანებს ტვინებში, სასაცილოა, მაგრამ ცოტათი და ცოტახნით აზროვნების ფილოსოფიური არხი გაეხსნებათ ხოლმე. იმ საღამოსაც გადაჭედილ დარბაზში ვიჯექი, სხვებთან ერთად ვუყურებდი კუბელი მოცეკვავის პლასტიკას და თანაც ვფიქრობდი, "სადაურსა სად წაიყვანს" ანუ ეს ყველაფერი გლობალიზაციის პროდუქტია, ბედისწერისა თუ ამ მისტიკური შენობის ბრალია-თქო: ფაქტია, რომ კუბის სახელმწიფო "მოდერნ ბლეტის" სოლისტმა დჰიანკო კარალერო ესპინოსამ ცოლად მოიყვანა ქართველი მხატვარი ნატა ფირცხალავა და წყვილმა გდაწყვიტა ამ საქველმოქმედო საღამოთი საქართველოში თანამედროვე ბალეტის განვითარების ფონდს ჩაყროდა საფუძველი. თუმცა, ამის შესახებ ჩვენმა გაზეთმა ამ რამდენიმე დღის წინ მოგახსენათ. ამჯერად კი ნანახის შესახებ გიამბობთ:

პუბლიკა საკმაოდ სპეციფიკური იყო თანამედროვე ბალეტთან მიმართებაში: დარბაზში ვხედავდი დრამის მსახიობებს, რომლებიც ცნობილია, რომ ძალიან არიან დაინტერესებული პლასტიკითა და განსაკუთრებით, თანამედროვე ბალეტის ენით, მხატვრები, ცნობილი ქორეოგრაფი ზურაბ კიკალეიშვილი თუ საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშე და კიდევ სხვები. თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებლებს შორის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პერსპექტიული კინოდოკუმენტალისტი საშა ქორიძეც კი აღმოვაჩინე, რასაკვირველია, ვიდეოკამერით ხელში - "ახალ ფილმზე ვმუშაობ, ოღონდ ბალეტი არაფერ შუაშია" - მითხრა მან. ეს ხომ საშას ხელწერაა - მოულოდნელობები არჩეულ თემასთან მიმართებაში. მაგრამ ისევ ბალეტს დავუბრუნდეთ:

პირველი მოქმედება ვიდეოპერფორმანსს დაეთმო. ეს გახლდათ ნატა ფირცხალავას მიერ შექმნილი კუბის სახელმწიფო თანამედროვე ბალეტის დასის ვიდეოპორტრეტი: კამერის მოძრაობას დემონსტრაციულად ეტყობა მოყვარულის ხელი, სტილიზებულად უხდება კიდეც დასის რეპეტიციის სიუჟეტს. კამერა ხან ახლოს მიდის კუბელი მოცეკვავეების ულამაზეს სახის ნაკვთებთან, ხანაც შორიდან გვიჩვენებს მათი სხეულების მოძრაობებს. რეპეტიცია ლათინო-ამერიკული ეთნოსის რიტმებზე მიდის და ეს რიტმები თბილისურ პუბლიკასაც ედება. რეპეტიცია ჰავანის სარეპეტიციო დარბაზშია გადაღებული. ცოტა ხანში კადრი იცვლება: ეს უკვე რეპეტიცია აღარ არის.


ვახო ბესელიას ფოტო

*კუბის სახელმწიფო "მოდერნ ბალეტის" სოლისტმა დჰიანკო კარალერო ესპინოსამ ცოლად მოიყვანა ქართველი მხატვარი ნატა ფირცხალავა და წყვილმა გადაწყვიტა ამ საქველმოქმედო საღამოთი საქართველოში თანამედროვე ბალეტის განვითარების ფონდს ჩაყროდა საფუძველი.*

ეს უკვე დასის გასტროლია ესპანეთში, სევილიის ფესტივალზე. დასი თავის ერთ-ერთ საუკეთესო დადგმას - Folia-ს ცეკვავს. დადგმა ჰოლანდიელ ქორეოგრაფს - იან ლინკოლნს ეკუთვნის. საერთოდ კუბის სახელმწიფო მოდერნ ბალეტის დასზე მთელ მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა. ამ დასთან სამუშაოდ და ცეკვების დასადგმელად მთელი მსოფლიოდან ჩადიან ცნობილი ქორეოგრაფები, რათა თავიანთი საუკეთესო ჩანაფიქრი განახორციელონ. არ ვიცი, ქორეოგრაფის დამსახურება უფრო დიდია, თუ კუბური დასის, მაგრამ ფაქტია, ეკრანიდანაც კი იგრძნობა მაღალი კლასი. თბილისური პუბლიკა ეკრანიდან უძღვნის აპლოდისმენტებს კუბურ დასს.

მეორე მოქმედება, რა თქმა უნდა, ცოცხლად სრულდება და სამეფო უბნის თეატრის სცენაზე კუბის მოდერნ-ბალეტის სოლისტი იანჰკო კარალერო გამოდის. ის, დასის რეპერტუარიდან ერთ-ერთ ცნობილ დადგმას ასრულებს. ეს მონობალეტია, რომელიც 80-იან წლებში ცნობილმა კუბელმა ქორეოგრაფებმა: - ისიდორო როლალანდომ და მიგელ ეგლესიას ფერერიმ დადგეს. ამ ცეკვას დღევანდლამდე მხოლოდ ორი სოლისტი - არმანდო რიოსი და არმანდო მარტენი ასრულებდნენ. დღეს ეს სოლო პარტია უკვე დჰიანკოს კარალერო ესპინოსას ეკუთვნის. კომპოზიციას ასე ჰქვია - "მომაყოლინე". მაინც რაზე გვიამბობს ტექნიკურად ურთულესი ილეთებითა და კლასიკური ბალეტის ნიუანსებით დადგმული ცეკვა?

"ეს ცეკვა ადამიანის ალტერეგოზეა. ყოველ ადამიანშია კარგი და ცუდი. ყველა ცდილობს მხოლოდ კარგი მხარე გამოაჩინოს, ცუდის გამოჩენისა კი გვეშინია. ყოველმა ჩვენგანმა უნდა სცადოს და აღიაროს საკუთარი ცუდი მხარე. მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევს ის სულიერ თავისუფლებას." - მიხსნის მოცეკვავე. ერთი შეხედვით, თითქოს ძნელი უნდა იყოს ამ ფილოსოფიის ცეკვის ენით, პლასტიკაში გადმოცემა, მაგრამ ყველაფერია შესაძლებელი, თუ პროფესიონალი ხარ, თუ ჰავანაში დაიბადე, სადაც ბავშვობიდან ყველა ცეკვის და პლასტიკის ენით საუბრობს. დჰიანკო კარალეროს ამ ბალეტისათვის სამეფო უბნის თეატრის სივრცე მოეწონა: "ამ ნაწარმოებში ბევრი მგრძნობიარე მომენტია, ამიტომ მოცეკვავე ახლოს უნდა იყოს აუდიტორიასთან, და დეტალურად უნდა ხედავდეს მის სახეს, ხელებს. სამეფო უბნის თეატრის სივრცე ზედგამოჭრილია ამ დადგმისათვის" - ამბობს ის.

წარმოდგენა დასრულდა. შემოსული თანხით კუბის მოდერნ-ბალეტის სოლისტი ოპერის თეატრში თანამედროვე ცეკვის დადგმას აპირებს. შესაძლოა, ოდესმე მისი სახელგანთქმული დასიც ვიხილოთ თბილისში.

# "მოხუცს ლომები ესიზმრებოდა"

თამარ სუხიშვილი

ზღვიდან სასწაულით მობრუნებული, ზვიგენებთან ბრძოლით ქანცგაწყვეტილი, დამარცხებული და მაინც დაუმარცხებული მოხუცი სანტიაგო მანოლოს ეუბნება - მე რაც აქ არ ვიყავი, იმ დღეების რომელიმე გაზეთი წამოიყოლეო. ჰოდა, ფოთიდან ერნესტ ჰემინგუეის 105 წლის საიუბილეო-საზეიმო ღონისძიებიდან თბილისში ჩამოსულმა პირველი რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ჩემს არყოფნაში წაუკითხავი გაზეთები გადავათვალიერე (რა თქმა უნდა, "24 საათი"). მარტო საგაზეთო სტატიების სათაურებს ჩამოვთვლი და მიხვდებით, ზღვით, მზით და კარგ ადამიანებთან შეხვედრით გამოყოლილი საზეიმო განწყობილებიდან რაც დამრჩებოდა. "მძიმე მემკვიდრეობა - საქართველოს საგარეო ვალი", "გენპროკურატურა აქცენტს საბანკო დანაშაულებზე აკეთებს", "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო "შავი სიის" გამოქვეყნებას აპირებს", "ინციდენტი ეკონომიკის სამინისტროს წინ", "კონფლიქტის ანატომია", "გამოიკვეთა რუსული სამხედრო დაზვერვის კვალი - ცხინვალის რეგიონში მოსკოვი ახალ პროვოკაციებს ამზადებს", "გარემოს დაცვის სამინისტრომ ბაქო-ჯეიჰანი შეაჩერა", "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბორჯომის ხეობას კატასტროფით ემუქრება"... არა, იყო სასიამოვნო, ნათელი სიახლეებიც (მაგალითად, "ნინო ანანიაშვილის დაბრუნება"), მაგრამ უარყოფითი უფრო ყვირის...

ბუნებრივია, ასეთ ფონზე ჩატარებული ანალოგიური ღონისძიების სხვაგვარი შეფასებაც: რა გეჰემინგუებათ, როცა ქვეყანაში ასეთი დაძაბული ვითარებაა, რა დროს მწერლების დაბადების დღეების ზეიმობაა, თანაც უცხო მწერლებისო. ისიც ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ვინმე იტყვის: ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა გასართობი იშოვეს, ზაფხულში ზღვაზე განავარდება მოუნდათო, ან კიდევ - სად ფოთი და სად ჰემინგუეიო. მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ უპრიანია ჰემინგუეისა და იმ მწერლების გახსენება, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ადამიანი დამარცხებისთვის არ არის განწირული, რომ იმედი ყოველთვის ცოცხლობს...

ვინ დაგამარცხა, მოხუცო? - ეკითხება ძველი მეთევზე საკუთარ თავს. არავინ - თავადვე იძლევა პასუხს - უბრალოდ, მე ძალიან შორს შევედი ზღვაში...

მოხუცი მეთევზის ეს მონოლოგი მრავლისმთქმელია. ჩვენი ქვეყნის დღევანდელობისთვის ის მეტაფორასავით იკითხება: დღეს თუ რამე გვჭირს, ავიც და კარგიც, ჩვენით გვჭირს. მაგრამ ჩვენ არავის დავუმარცხებივართ. ჩვენ შიში უკვე დავძლიეთ. ჩვენ შორს შევცურეთ ზღვაში. ის, რომ სანუკვარ ნადავლს ზვიგენები ჯერ მაინც გვტაცებენ, ამასაც მოევლება, ჩვენ დასაჭერ თევზს მაინც დავიჭერთ და ზღვიდანაც მშვიდობით გამოვალთ...

ასე რომ, ჰემინგუეის დაბადების დღის აღნიშვნა მარტო იმიტომ კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ჰემინგუეი დიდი მწერალია, არამედ იმიტომაც, რომ ის იმედის მწერალია და ეს იმედი ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება.


თამარ სუხიშვილის ფოტო

*მამუკა ბერიკა და ზურაბ რთველიაშვილი პერფორმანსის დაწყების წინ.*

თუ რატომ იზეიმეს ეს ღონისძიება ზღვისპირეთში და, კერძოდ, ფოთში, ამის შესახებ წინა წერილში ("თევზაობა ოქროს ტბაზე") უკვე გიამბეთ. მალთაყვაში ერნესტ ჰემინგუეის სახელთან დაკავშირებით ჩატარებული საჩვენებელი თევზჭერა ჩვენში მეთევზეობისა და ტურიზმის პროპაგანდა-პოპულარობასაც წაადგება. ჩვენ მარტო იმის ცოდნა არაფერს მოგვცემს, რომ მეთევზეობის უძველესი ქვეყანა ვიყავით და ამას ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები (სტრაბონი, ქსენოფონტი, არქანჯელო ლამბერტი, შარდენი, ვახუშტი ბატონიშვილი...) და არქეოლოგიური მასალები (ნეოლითურ ფენაში აღმოჩენილი ძვლის ანკესები, ქვის საწაფები, ძვლისაგან ნაკეთები რიტუალური დანიშნულების თევზის გამოსახულება, ორაგულის ბრინჯაოს ქანდაკებები...) ადასტურებენ. და ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თევზი ჩვენი შემოსავლების და ჩვენი ოჯახის კეთილდღეობის ერთ-ერთი წყაროცაა და ამ მეურნეობას მოფრთხილება უნდა. ერთ პასაჟს გავიხსენებდი ლიტერატურიდან, უიარაღოს რომანიდან "მაძიებელნი". ავტორი გვიყვება, რომ რომანის ერთ-ერთი გმირი, აზნაური ბასილა მძებრაძე "წყლის ახლო ცხოვრობდა და ამიტომ თევზის ჭერაც კარგი იცოდა. ახალგაზრდობაში გამოჩენილი მესასროლე იყო. ახლაც მის ოჯახში, როცა უნდოდათ, ახალი თევზი გამოულეველი ჰქონდათო..."

უცხოელ მკვლევარ-მოგზაურებს ჩვენი ქვეყნისკენ არა მარტო საქართველოს შავიზღვისპირეთის მდიდარი ფლორა და ფაუნა, არამედ აკვაფაუნაც იზიდავდა, და კიდევ ის უძველესი მითები და წარმოდგენები, რაც აქაურობასთან იყო დაკავშირებული.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი მორიც ვაგნერი, რომელმაც XIX საუკუნის I ნახევარში იმოგზაურა საქართველოში, ასე აღწერს თავის რომატიკულ-მითოლოგიური რეფლექსიით გაჯერებულ ღამისთევას მეთევზის ღარიბულ ქოხში: "ღამეში გაეხვია ფაზისის ნაპირი. მეთევზის გოგომ მომიმზადა საწოლი არა როგორც კირკეს ბეჯითმა მოახლემ "მშვენიერი, მბრწყინავი, ზემოდან ალისფერი წითელი ბალიშებით, ქვემოთ სელის ხალიჩებით", არამედ სიმინდის გამხმარი ფოთლების მდარე ჩალით და ლერწმით. მე გავეხვიე ჩემს ვაცისთმიან ქურქში, რომელმაც კარგი სამსახური გამიწია შემოდგომის ღამის სუსხში. მოხუცი მეთევზე, ჩემი მეგზური და მენავეები ცეცხლთან შემომსხდარნი ფხიზლობდნენ. გურული ნიმფა, რომლის ტემპერამენტიც განსხვავებული ჩანდა ლამაზად დავარცხნილი მელოდიური კირკესაგან, გაქრა..."

სწორედ ასეთი რომანტიკულ-მითოლოგიური (და იმავდროულად, პრაგმატული) რეფლექსიით აღიქმება ჩემთვის შავი ზღვის პირას, მალთაყვაში ერნესტ ჰემინგუეის დაბადების დღე. ერთ-ერთ ინტერვიუში ჰემინგუეის რომ ჰკითხეს, "მოხუცი და ზღვა" ალეგორიაა თუ არაო, მწერალმა ორჭოფული პასუხი გასცა: "მე შევეცადე დამეხატა ნამდვილი მოხუცი და ნამდვილი ბიჭი, ნამდვილი ზღვა, ნამდვილი თევზი და ნამდვილი ზვიგენები. თუ ეს ყველაფერი კარგად და მართლად გადმოვეცი, რა თქმა უნდა, ისინი სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული."

"მოხუცი და ზღვა" ასეთი ფრაზით მთავრდება - "მოხუცს ლომები ესიზმრებოდა." ჩვენთვის ესეც სასურველი ალეგორიაა.

# მიტოვებული სტადიონები

## როდემდე?

"ჩაბარდა თუ არა წარსულს სტადიონებზე გამართული კონცერტები?" - ეს კითხვა ჟურნალმა "ბილბორდმა" დასვა და თვითონვე გასცა პასუხი - ჩაბარდა, ყოველ შემთხვევისთვის, ასეთია 2004 წლის ზაფხულის მონაცემები.

არადა, იყო დრო, როცა წლის თითოეულ ცხელ სეზონზე მუსიკოსები ღია ცის ქვეშ მოწყობილ კონცერტებზე უზარმაზარ სტადიონებს ავსებდნენ. მუსიკალური მიმომხიველებისთვის ამ მხრივ სამაგალითოდ 1994 წლის ზაფხული რჩება, როცა ამერიკული სტადიონები "ფინქ ფლოიდის", "გრეითფულ დედის", "იგლზის", "როლინგ სთოუნზის", ბილი ჯოელისა და ელტონ ჯონის გამოსვლებს ვერ აუდიოდნენ.

თუმცა, რაღა შორს მივდივართ, ღია ცის ქვეშ, დიდ სპორტულ არენებზე შარშანაც მღეროდნენ. ბრიუს სპრინგსტინი მთელი ათი ღამის განმავლობაში ავსებდა "ჯაიანთსის" სტადიონს ნიუ ჯერსიში. ასევე იყო "მეტალიკაც". მისი ტურნე ოც სხვადასხვა სტადიონს მოიცავდა.

ამ ზაფხულს კი არენები მარტოსულად გრძნობენ თავს. მეტიც, მუსიკალურ ჯგუფებს გაცილებით უფრო პატარა დარბაზების გავსებაც კი უჭირთ. კრიტიკოსები კი სხვებთან ერთად იგივე სპრინგსტინსაც აკრიტიკებენ და ამბობენ, რომ "ბოსს" სტადიონის გავსება სხვაგან აუცილებლად გაუჭირდებოდა. ამიტომაც არ წავიდა ის შორს და იმღერა მხოლოდ იქ, სადაც იცოდა, რომ ხალხი მივიდოდა. კრიტიკოსებისვე აზრით, ერთადერთი ჯგუფი, რომელმაც შტატების ერთი ბოლოდან მეორემდე გრანდიოზული კონცერტების ჩატარება მარტომ შეძლო N Sync's-ს იყო. 2001 წელს ბიჭებმა სპორტული მინდვრები 48-ჯერ დაიპყრეს და 90 მილიონი დოლარის მოგებაც ნახეს. ამ შედეგით ისინი ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ნუსხაში U2-ს შემდეგ მეორე ადგილზე გავიდნენ.

თუმცა, მუსიკალურ ბიზნესში არიან ოპტიმისტებიც. ერთ-ერთი მათგანია ჩიპ ჰუპერი, ისეთი დიდი ჯგუფების აგენტი, როგორიც დეივ მეთიუსის ბენდია. ის აცხადებს: "სტადიონებზე გამართული კონცერტების დრო არ გასულა. უბრალოდ, მუსიკოსმა ასეთი გამოსვლისთვის ზუსტი დრო და ადგილი უნდა შეარჩიოს. ბოლო ხანს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბევრი ვერ ახერხებს დიდ არენებზე ხალხის შეკრებას".

ჰუპერი მართალია - ბევრი ვერ ახერხებს, სამაგიეროდ, ამას თითქმის ყოველთვის ახერხებს "როლინგ სთოუნზი". აგერ უკვე ათობით წელია, "სთოუნზები" უპრობლემოდ ავსებენ ყველა ზომის არენას თუ დარბაზს და ამის დასტურად 2002-03 წლების ტურნესაც გვახსენებენ.


REUTERS

*აგერ უკვე ათობით წელია, "სთოუნზები" უპრობლემოდ ავსებენ ყველა ზომის არენას თუ დარბაზს და ამის დასტურად 2002-03 წლების ტურნესაც გვახსენებენ.*

და მაშინ, რა ემართებათ სხვებს? სტადიონებიდან აბარგების მიზეზად ხან ნაკლებ პოპულარობას ასახელებენ, ხან ფინანსებს და ხანაც - ესთეტიკას.

"როცა კონცერტისთვის მზადებას იწყებ, უნდა იყო დარწმუნებული, რომ დარბაზის დიდი ფართის მიუხედავად, ბილეთები გაიყიდება. სტადიონის შემთხვევაში ეს 45 ათას ან კიდევ უფრო მეტ ბილეთს უდრის, ეს კი საკმაოდ დიდი მასშტაბებია", - განმარტავს ჰუპერი და დასძენს, რომ ამ მასშტაბების საკუთარ თავზე აღება მხოლოდ გამონაკლის ჯგუფებს შეუძლიათ. იგულისხმება მათი პოპულარობის ექსკლუზიურად მაღალი მაჩვენებელი და წარმატება, რომლითაც მათ მიერ გამოშვებული ერთზე მეტი სინგლი და ალბომი სარგებლობს. ცხადია, ახლა გასაგებია, თუ რატომ შედის ამ გამორჩეულად პოპულარულ ჯგუფებში "როლინგ სთოუნზი".

მეორე მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსებია. სალაროს პირთამდე ავსება "როლინგ სთოუნზთან" ერთად დეივ მეთიუსის ბენდსაც შეუძლია და ეს მათ ბოლო ხანს გამართული კონცერტებითაც დაამტკიცეს.

რაც შეეხება ესთეტიკასა და დიზაინს, ამ შემთხვევაშიც სამაგალითოდ "როლინგ სთოუნზი" თუ გამოდგება "ფინქ ფლოიდთან" ერთად. მათ 80-90-იანი წლების მეგაკონცერტების ტიპური სახეც კი ჩამოაყალიბეს თავიანთი მასშტაბური და ლამაზი განათებით, ილუმინაციების მოწყობით თუ სცენაზე ვერტმფრენით დაშვებით...

ეს ყველაფერი წარსულია. რა იქნება შემდეგ, როდის დაუბრუნდებიან მიტოვებულ სტადიონებს თანამედროვე ჯგუფები? მართალია ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი გეგმები, მაგრამ 2005 წლისთვის ჩრდილოამერიკული სპორტული არენების გავსებას "სთოუნზი", U2, პოლ მაკარტნი და "ბექსტრით ბოიზი" გვპირდებიან. რამდენად შეძლებენ ისინი პირობის შესრულებას, რამდენიმე თვეში გაირკვევა.

კვირის მიმოხილვა

# თბილისში კულტურისთვის "მკვდარი სეზონია"

დავით ანთაძე

### ნაცვალსახე(ლ)ები

ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გამოფენილი უზარმაზარი ბილბორდი მართალია მცირე ხნით, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა ჩვენგან თვითიდენტიფიკაციას. "აღმოაჩინე საკუთარ თავი" - მოგვიწოდებდნენ სარეკლამო სტენდის ავტორები, ოღონდ სად და როდის მხოლოდ ჟურნალის "სახე(ლ)ები" პრეზენტაციაზე გაირკვა, რომელიც რედაქტორებმა მარიკა დავითაიამ და ნანა აკობიძემ უკვე მეორედ გამართეს. პირველი ჟურნალი პოლიგრაფიული სრულყოფილებით ვერ დაიკვეხნიდა, ვერც სქელტანიანი ფორმატი გამოდგებოდა სატყუარად, ამიტომ გამომცემლობამ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მეორე ნომერი უფრო პრეზენტაბელური ყოფილიყო.

19 ივლისს ჟურნალის პრეზენტაცია სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართა. ღონისძიება საპატიო სტუმრების დეფიციტს არ განიცდიდა. პოლიტიკოსები, ხელოვანები, ჟურნალისტები და კიდევ ისინი, რომლებმაც ჟურნალში თავიანთი თავი ვერ აღმოაჩინეს ყურადღებით ათვალიერებდნენ "სახე(ლ)ებს", რომელიც მეტწილად დასკვნითი ხასიათისაა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჟურნალი გამოიცა მათთვის, ვისაც ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალი, ანუ ოპერატიულობა არ იზიდავს და მიმოხილვას ანიჭებს უპირატესობას.

პრეტენზიული მკითხველისთვის ირჯებოდნენ ცნობილი ქართველი კრიტიკოსებიც - თეო ხატიაშვილი, გოგი გვახარია, დავით ბუხრიკიძე, რომლებმაც ქართულ კულტურაში მიმდინარე ცვლილებზე მეტ-ნაკლებად გაამახვილეს ყურადღება. მაგალითად, თეო ხატიაშვილს დასამარებული ქართული კინოს აღდგომის ნაკლებად სჯერა და ამიტომ არ ივიწყებს მისი მორიგი ეპიტაფიის გამოქვეყნებას, რომელიც იმდენად საინტერესოა, რამდენადაც უცვლელი. არანაკლებ კატეგორიულია გოგი გვახარია, რომელიც მკითხველის გულუბრყვილობას არ იზიარებს და ქართული კინოს თითქმის იმპოტენტურ ყოფას (ფაქტი სახეზეა - ამდენი წლის განმავლობაში ახალი ფილმი არც ჩასახულა და არც შობილა) უსახსრობის გარდა უიდეობაშიც ხედავს. ხოლო თეატრალური კრიტიკოსი დავით ბუხრიკიძე მეტად პუბლიცისტურად თხზავს საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფენომენის პაატა ბურჭულაძის პორტრეტს. გარდა ამისა ჟურნალის ამა თუ იმ რუბრიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ეკონომიკისა და პოლიტიკის მიმოხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორებს ანალიტიკაზე პრეტენზია არ აქვთ, "სახე(ლ)ებში" შესული მასალა სწორედ რომ ანალიტიკური ხასიათისაა.

მეტიც, პრეზენტაბელური იერსახის გამო ჟურნალს ქართული მედიის პორტრეტსაც უწოდებენ, მაგრამ სრულყოფილებისთვის "სახე(ლ)ებს" მაინც აკლია დეტალები. სქელტანიანი ჟურნალი მეტად "მძიმედ" გამოიყურება და ხარისხიანი ჟურნალის ძირითად მოთხოვნას, ანუ დახვეწილობას ვერ პასუხობს. ფურცლების სისქე თითქოს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ძველმოდური ჟურნალის "ბურდა-მოდა" მუყაოს ფაქტურის იდენტურია და არა ალმანახის ტიპის ჟურნალის თითქმის გამჭირვალე ქაღალდის.

"თბილისი მარიოტში" "ცნობილი ხალხის" ნივთების აუქციონიც გაიმართა... ბოლომდე იმედს ვიტოვებთ, რომ საქველმოქმედო ვაჭრობა (შემოსული თანხა მოხუცებულთა თავშესაფარს გადაეცემა) მხოლოდ გონებამახვილი ხუმრობა იყო. თუმცა შესაძლოა რევოლუციის შემდეგ დავით ოქიტაშვილის მოოქროვილ საათსა და გიგი წერეთლის მკაცრი ტონალურობის ჰალსტუხზე (ჟურნალის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული სახეები) ფასი ერთიორად გაიზარდა, მაგრამ მეგობრებმა ისინი ყოფით ფასებში შეიძინეს და არა ისტორიული ღირებულებისა თუ კონტექსტის გათვალისწინებით. "სახე(ლ)ების" პრეზენტაცია ქართული ესტრადის ჭირვეულობის ფონზე მიმდინარეობდა. თუმცა საღამოს სიჩუმე უფრო დაამშვენებდა, რომელშიც უფრო მეტი იყო სიმშვიდე და ბუნებრიობა, ვიდრე ნახევარფაბრიკატების "ტკბილხმოვნებაში"...

### დაბრუნება

საქართველოში ძალით მხოლოდ კრიმინალებს აბრუნებენ, ხელოვანები თავისით ბრუნდებიან და ამის დასტურად საქართველოს პრეზიდენტმა ცნობილ ქართველ ბალერინაზე ნინო ანანიაშვილზე მიუთითა. 21 ივლისს სამამულო ესტრადის დედოფლის ნანი ბრეგვაძის იუბილეს დაემთხვა ქართული (და არა მარტო) სცენის დედოფლის ნინო ანანიაშვილის დედა-სამშობლოში დაბრუნება, რომელიც პრეზიდენტის აპარატში ოფიციალურად აღნიშნეს. მეტიც, მოცეკვავეს გულის მოსაგერიებლად პრეზიდენტი ვა-ბანკზე წავიდა და მას ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივის საბალეტო დასის ხელმძღვანელის ვაკანტური პოსტი გადაულოცა.

ჯანსულ კახიძის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად ვერ მოიძებნა მაესტროს ღირსეული შემცვლელი. მართალია, თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობდა მეტ-ნაკლებად მოირგო ამავე თეატრის მთავარმა რეჟისორმა გურამ მელივამ, მაგრამ საბალეტო დასი მაინც დაობლებულად გრძნობდა თავს. ამჟერად მთავარმა დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა და პრიმა ბალერინამ ერთმანეთში გაინაწილეს პასუხისმგებლობა - ერთმა საოპერო განყოფილების ხელმძღვანელობა ითავა, მეორემ კი საბალეტო.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ბალერინა, რომელსაც წილად ხვდა პატივი, ეცეკვა თვით "კოვენტგარდენში", ევროპული სტანდარტები მეტ-ნაკლებად შესწავლილი აქვს და ამიტომ აღსავსეა ოპტიმიზმით და მიუხედავად ბიუჯეტის სეკვესტრისა პრეზიდენტის დაპირების გულწრფელად ჯერა.*

მეტიც, ნინო ანანიაშვილი, რომლის რეპრეზენტირება არცთუ წარუმატებლად შედგა, სამ წელიწადში ევროპული დონის საბალეტო დასის ჩამოყალიბებას გვპირდება. ბალერინა, რომელსაც წილად ხვდა პატივი, ეცეკვა თვით "კოვენტგარდენში", ევროპული სტანდარტები მეტ-ნაკლებად შესწავლილი აქვს და ამიტომ აღსავსეა ოპტიმიზმით და მიუხედავად ბიუჯეტის სეკვესტრისა პრეზიდენტის დაპირების გულწრფელად სჯერა. "თეატრს გამოვუყოფთ აუცილებელ თანხას. მართალია, ეს არ იქნება იმის მეათედიც კი, რაც იხარჯება თუნდაც მოსკოვში, მაგრამ თანხა იქნება გაცილებით მეტი, ვიდრე აქამდე", - განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც ანანიაშვილზე (და ალბათ მუდმივი ქისას იმიჯის მქონე ბადრი პატარკაციშვილზეც) დიდ იმედს ამყარებს.

არახალია, გამოჩენილი მოცეკვავე ყოველთვის ვერ ითავისებს ქორეოგრაფის როლს. გამონაკლისი არის, მაგრამ იმდენად მცირე, რომ ნინო ანანიაშვილს რთულ გზას უწინასწარმეტყველებენ. ამასთანავე, სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ საბალეტო დასის ხელმძღვანელის კარიერის დაწყება ანანიაშვილის საცეკვავო კარიერის დაისზე მიუთითებს. თუმცა ბალერინას თქმით, ცნობილი თეატრებიდან ხელშეკრულებისა და მოწვევის დეფიციტს არ განიცდის, ხოლო მომავალში ეცდება, ესა თუ ის წარმოდგენა სწორედ აქ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართოს. მით უკეთესი, ანანიაშვილის ცეკვას ხომ სანახაობას მოწყურებული მაყურებელი უფრო ხშირად ნახავს.

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი აქტიურად შეუდგა უცხოეთში მოღვაწე ქართველების შინ დაბრუნებას. სატყუარას სახით მინისტრის პოსტი შესანიშნავად გამოდგა (სალომე ზურაბაშვილი, კახა ბენდუქიძე), ხოლო მოცეკვავის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება სხვა რამითაც სცადეს. ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორ თამაზ ვაშაკიძეს თანამდებობიდან ვადამდე ადრე წასვლა ურჩიეს და ამ თანამდებობაზე პრეზიდენტის რჩევით ნინო ანანიაშვილს ნიშნავენ. თუმცა, ვანო მერაბიშვილის ისტორიის კუთვნილებად ქცეული ფრაზა "არაეფექტური პროფესიონალი და ეფექტური არაპროფესიონალი" ამ შემთხვევაში აუგ დატვირთვას იძენს, რადგან ვაშაკიძე სასწავლებლისთვის ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებდა და თუკი იყო "არაეფექტური", ისევ და ისევ, ხელმძღვანელობის გამო.

მოკლედ, პრიმა ბალერინა ქართულ საბალეტო დასს უხელმძღვანელებს. მეტიც, პრეზიდენტისთვის მიცემული დაპირება ფიქციად რომ არ იქცეს, ანანიაშვილი დასის გასაწვრთნელად საფრანგეთიდან, ინგლისსა და რუსეთიდან ცნობილი ქორეოგრაფებისა და პედაგოგების მოწვევას გეგმავს.

### ადამიანი-ანეკდოტი

ხვალინდელი დღე არ უნდა დადგეს - თავის დროზე წამოსცდა ჯორჯ ბუშს იმის ნაცვლად, რომ ეთქვა "ეს დღე არ უნდა დადგეს", რაც ნათლად გამოხატავდა პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ კერისადმი (მის არჩევისადმი) უარყოფით დამოკიდებულებას. ასეთი კურიოზული ლაფსუსები უცხოელ პოლიტიკოსებს ხშირად მოსდით, მაგრამ არანაკლებ მრავალფეროვანი გამოდგა ქართველი მწერლებისა და პოლიტიკოსების გრამატიკულად გამართული და გაუმართავი ფრაზები, რომლებსაც ერთ კრებულში მოუყარა თავი ქართველმა ჟურნალისტმა მერაბ ბერაძემ.

22 ივლისს მერაბ ბერაძის იუმორისტული კრებულის "ცოდვაა დასავიწყებლად" პრეზენტაცია "წიგნის სახლში" შედგა. იქვე შევიტყვეთ, რომ "ცოდვაა დასავიწყებლად" წერაში გაწაფული ტელეჟურნალისტის მეოთხე წიგნია. წიგნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი გახლავთ ზაალ სულაკაურის კარიკატურული ნამუშევარი, რომელიც ყდას ამშვენებს და ზუსტად პასუხობს შიგთავსს. და მაინც რა არის ასეთი "ცოდვა დასავიწყებლად" - ერთი შეხედვით წიგნია, არაფრით გამორჩეული და პირიქით თითქოს ჩვეულებრივიც, მაგრამ მეორე მხრივ, მასში თავმოყრილია ნოდარ დუმბაძის, ივანე ჯავახიშვილის, პაატა ბურჭულაძისა და ედუარდ შევარდნაძის ანეკდოტური გამონათქვამები. ანუ იმ ხალხის, ვინც გადმოცემის თანახმად, მუდამ სერიოზულობას ინარჩუნებდნენ და რელაქსაციას მხოლოდ წერისას ახერხებდნენ. მერაბ ბერაძის თქმით, კრებულში შევიდა მსუბუქად რედაქტირებული დოკუმენტური მასალა, რომელიც სავარაუდოდ იდეალების დესაკრალიზაციას უნდა ახდენდეს, რადგან პაროდიის ძირითადი მიზანი სწორედ მაღალი იდეალის დამიწებაა.

"ცოდვაა დასავიწყებლად" ამ მისიას წარმატებით უმკლავდება. ამას წიგნის პრეზენტაციაზე ჟურნალისტის მეგობარი და კონკურენტი პოეტი ვახუშტი კოტეტიშვილი მსუბუქი ირონიით აღნიშნავდა. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა კიდეც, რომ "ასეთი შინაარსის წიგნის გამოცემას დიდი ხანი ვგეგმავდი, მაგრამ მერაბმა დამასწრო. თუმცა მეგობრობა - მეგობრობით და ჩემი წიგნის გამოსვლის შემდეგ, მკითხველი თავად გააკეთებს ჩვენს შორის არჩევანს".

# ამერიკული ისტორია

### ამერიკული ოცნება

მაგდა ანიკაშვილი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს მთავრობა ქვეყნის აღმშენებლობას ორმაგი ძალებით შეუდგა. მიზანი კეთილმოწყობილი, ცივილიზებული, დემოკრატიის უწმინდეს პრინციპებზე დამყარებული ქვეყნის შექმნაა. 50-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკის საზოგადოება, როგორც ამბობენ გვიანი კაპიტალიზმის ეპოქაში შედის. სახეზეა ეკონომიკური აღმავლობა. ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ძლიერდება და მდიდრდება საშუალო ფენა. პოლიტიკაში მოსული დემოკრატიული ძალების ახალი ტალღა პირველ ნაბიჯს სოციალური რეფორმების მიმართულებით დგამს. სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მისი მოქალაქეების დაცვა და კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფაა. ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, შემოსავლის ზრდა მოსახლეობაში სამომხმარებლო ხარჯების გაზრდას იწვევს. სოციოლოგიური მონაცემები იცვლება. 50-იანი წლებიდან შემცირდა დანახარჯი კვების პროდუქტებზე და გაიზარდა ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, როგორებიცაა: სახლები, მანქანები, ტელევიზორები, სარეცხი მანქანები და სხვა. ამ ნივთებზე მოთხოვნის გაზრდა კი, წარმოების სტიმულირებაა. საშუალო ფენა კეთილმოწყობის უმაღლეს დონეს აღწევს. ქვეყანა აყვავების გზაზეა. 40-იან წლებში სოციოლოგებმა დემოგრაფიული აფეთქება დააფიქსირეს, რასაც "ბეიბი ბუმი" უწოდეს. სწორედ ეს "ბეიბი ბუმერები" მოგვიანებით საფრთხეს შეუქმნიან ამერიკის კეთილდღეობას.

ბუნებრივია, რომ ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოს თავისი მყარი იდეოლოგია უნდა ჰქონდეს. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სახელმწიფოსა და მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულება და მოვალეობანი, ქვეყნის როლი მსოფლიო პოლიტიკაში. ჩამოყალიბებული უნდა იყოს წარმატებული ფენის მსოფლმხედველობა და პრიორიტეტები. ამერიკის მოსახლეობისათვის განმსაზღვრელი შრომა, კაპიტალის დაგროვება და ამ გზით საზოგადოებაში საპატიო ადგილის მოპოვება გახდა. შეიქმნა ე.წ. ამერიკული ოცნება, რწმენა იმისა, რომ თუ პატიოსნად და თავდაუზოგავად იშრომებ, ძალას არ დაიშურებ საქმისა და ქვეყნისთვის, ვინც არ უნდა იყო, თუნდაც ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენელი, მაინც გაგიმართლებს და მდიდარი და დაფასებული მოქალაქე გახდები. რაც შეეხება სამშობლოს როლის გააზრებას პლანეტის ცხოვრებაში, ამ პერიოდიდან ჩნდება ამერიკის, როგორც მსოფლიოს მხსნელის, მესიის იერ-სახე. მოსახლეობას უნერგავენ, რომ ქვეყნის ჩარევა მეორე მსოფლიო ომში გადამწყვეტი გამოდგა ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. უკვდავია ხსოვნა პერლ ჰარბორისა, როგორც სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებისათვის გაღებული მსხვერპლისა. მიუხედავად იმისა, რომ მოვლენების ამგვარი ახსნა სრულიად მიუღებელია ევროპისა და საბჭოთა კავშირისათვის, ამერიკის მოსახლეობა იჯერებს, რომ საკუთარი ხელისუფლების აქტიურობა და ჩარევა მსოფლიო პროცესებში საპატიო და სავალდებულო მისიაა. ამერიკა იმ დროიდან იღებს საკუთარ თავზე მსოფლიო წესრიგის დამყარებას, როგორც ყველაზე განვითარებული ქვეყანა, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე უზრუნველყოფილნი და ბედნიერნი არიან მთელ დედამიწაზე და რომ დასახულია კეთილი მომავლის მიღწევის საიმედო და ზუსტი გზა, დემოკრატიის, ამ საოცნებო ილუზიის დამყარების სწორი კურსი.

ერთი შეხედვით მსოფლიო პოლიტიკა ძალზე რთული და რიგითი ადამიანისათვის ძნელად გასაგები რამ არის. სინამდვილეში კი ყველაფერი ისეთივე მარტივია, როგორც ზღაპარში, სადაც თუ არსებობს სამართლიანობისათვის მებრძოლი კეთილი ძალა, აუცილებლად უნდა არსებობდეს ბოროტიც. ვინმეს ხომ უნდა ებრძოდეს სიკეთე. მარადიული სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების უმარტივეს ენაზე უხსნის ამერიკის ხელისუფლება თავის მოსახლეობას საკუთარ როლს მსოფლიოში და რაც უფრო ნათელია ამ ქვეყნის კეთილშობილური მიზნები, მით უფრო ბნელ ფერებში იხატება ბოროტების იმჟამინდელი ბუდე საბჭოთა კავშირი თავისი კომუნისტური იდეოლოგიით, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

აშშ-სთვის მარქსისტული იდეოლოგია მართლაც დიდი საფრთხეა. ქვეყანას, რომლის ეკონომიკის საყრდენი კერძო კაპიტალია, არაფერში სჭირდება კოლექტივიზაცია. ამერიკა ბრძოლას საკუთარი ტერიტორიიდან ძალიან შორს იწყებს. გენერალ ჯორჯ მარშალის გეგმის მიხედვით 50-იანი წლების დასაწყისისთვის ევროპის ქვეყნების აღმშენებლობისათვის 17 მილიარდ დოლარამდეა გამოყოფილი. იქმნება ძლიერი ეკონომიკური ბარიერი აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის. ჯორჯ მარშალს კი 1953 წელს ნობელის პრემიას გადასცემენ მშვიდობისათვის ბრძოლაში მიღწეული წარმატებებისათვის. როგორც ჩანს, ხერხმა ძლიერ გაამართლა. მაგრამ ნათელი ხდება, რომ სახლშიც საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება. 1950 წელს ვისკონსინის შტატის სენატორი ჯოზეფ მაკარტი აცხადებს, რომ აქვს სია "კომუნიზმისადმი სიმპატიით განწყობილი" სახელმწიფო დეპარტამენტის 205 თანამშრომლისა. ეს განაჩენია. იწყება "ალქაჯებზე ნადირობა" საზოგადოების ნაწილი აღშფოთებულია, მაგრამ ყველაზე ლიბერალურად განწყობილნიც კი, ვერ ბედავენ პროტესტის გამოთქმას იმის შიშით, რომ თავად აღმოჩნდებიან ბრალდებულნი. "ცივი ომის" პირობებში იდეოლოგიური ზეწოლით გაბრუებული მოსახლეობის უმრავლესობა კი, მარქსიზმის მომხრეებს მართლაც ალქაჯებად აღიქვამს და მიესალმება შეუპოვარი სენატორის რადიკალურ ქმედებებს. ჯაშუშობა და დასმენა ყოველდღიურობა ხდება. ბევრი ნიჭიერი და თამამი ადამიანი კარგავს სამსახურს, ექმნება ცუდი რეპუტაცია, რაც კაპიტალისტური ქვეყნისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია. თუმცა, ეს განხორცის ისედაც ცნობილია თეატრალური ხელოვნების მოყვარულთათვის არტურ მილერის "სეილემის პროცესის" მიხედვით. მოვლენები, რომლებიც განვითარდა 60-იანი წლების ამერიკაში, დღესაც კულტუროლოგების კვლევის საგანია. ბევრისთვის ისინი აუხსნელია, ბევრისთვის კი კანონზომიერი. აკრძალული ხილი ხომ ყველაზე ტკბილია და ალბათ არ იყო გასაკვირი ახალგაზრდების ინტერესი იგივე კომუნისტური ლიტერატურის მიმართ. მაგრამ, საოცარი იყო ის, რომ ერთბაშად ამდენმა ადამიანმა გამოთქვა პროტესტი იმ პრინციპების მიმართ, რომელთაც მათ ბავშვობიდან უნერგავდნენ, რომელთა მოსაპოვებლად და დასაცავად იბრძოდნენ და შრომობდნენ მათი მშობლები. ამერიკელი პოეტი ჯონ ჩიარდი სტატიაში "ეპიტაფია ბითნიკებს" წერს: "ახალგაზრდებს სრული უფლება ჰქონდათ ამბოხებულიყვნენ ჩვენი მოწესრიგებული და აღმავლობის გზაზე დამდგარი საზოგადოების წინააღმდეგ. ყოველ დილით შვიდის ნახევარზე გაღვიძება, რვაზე სამსახურში გამოცხადება, ხუთზე სახლში დაბრუნება და იმ ტელევიზორის ყურება, რომელიც კრედიტით გაქვს გამოტანილი. განა შეიძლება ამ ცხოვრებამ ახალგაზრდა მოხიბლოს? მხოლოდ ამბოხი იყო გამოსავალი". ერთი შეხედვით, ყველაფრის ამგვარი ახსნა შეიძლება უბრალო სიზარმაცეს ჰგავდეს. რა თქმა უნდა, მიზეზები ასე მარტივი არ ყოფილა. თუმცა, ახალგაზრდობა პირველ რიგში მართლაც მათი ცხოვრების გარეგნულ ნაწილს, ამ მოწესრიგებულ და სტაბილურ ყოფას, მაღალანაზღაურებად სამსახურს და კომფორტულ სახლს, საკუთარ სახლს დაუპირისპირდა. ამერიკული საზოგადოების ეს გარეგნული სახე აღიზიანებდა მათ უპირველეს ყოვლისა. თანაც, ისინი თვლიდნენ, რომ ამ გარეგნული ნაწილის გარდა, სხვა არაფერი იყო მათ ცხოვრებაში. სამსახურში წასვლის, ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ სახლში დაბრუნების და ტელევიზორის წინ ხვალინდელი ნაყოფიერი მუშაობისათვის დამუხტვის გარდა სხვა არაფერი გააჩნდათ. უკმაყოფილება ოდნავ შენელდა ქვეყნის სათავეში ლიბერალური ძალის, ჯონ კენედის გამოჩენისას, რომელსაც მართლაც განსხვავებული პოლიტიკის წარმართვის მცდელობა ჰქონდა. ის პატრიოტიზმს ულვივებდა ამერიკელებს, ლიბანელი მწერლის ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სიტყვებს უმეორებდა იმის შესახებ, რომ მათ ის კი არ უნდა იკითხონ, თუ რა გაუკეთა სამშობლომ, არამედ - თავად რა გააკეთეს მისი გულისთვის. დალასის გასროლამ, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი იმედი გადაუწურა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც სჯეროდა ახალგაზრდა და ენერგიული პოლიტიკოსისა. კრიზისი გარდაუვალი გახდა. 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი კულტუროლოგი და პუბლიცისტი "ახალი მემარცხენეების" ერთ-ერთი იდეოლოგი ჩარლზ რაით მილსი წერდა: "ჩვენ ეპოქის დასასრულს ვუცქერთ, რომლის თანამდევიც გახლავთ ევროპული კულტურის ძირითადი იდეების კრიზისი, კრიზისი პროგრესის იდეისა, რომელიც გონებისა და მეცნიერების რწმენას ემყარება". მილსი თვლიდა, რომ დემოკრატიულმა წყობამ კაცობრიობას ვერ მოუტანა ბედნიერება და რომ მისი დრო დასრულდა.




*"ეპიტაფია ბითნიკებს" - "ახალგაზრდებს სრული უფლება ჰქონდათ ამბოხებულიყვნენ ჩვენი მოწესრიგებული და აღმავლობის გზაზე დამდგარი საზოგადოების წინააღმდეგ.*

ამგვარი იყო საყოველთაო განწყობა. ახალგაზრდები თვლიდნენ, რომ არ გაამართლა არსებულმა წყობამ, რომ ის შესაცვლელია და რომლის სანაცვლოდაც უნდა მოვიდეს ახალი იდეები, ახალი ცხოვრება, რომლის არსიც იქნება არა კაპიტალი, არამედ მშვიდობა და თანასწორობა. ამ იდეების განსახორციელებლად ისინი მზად იქნებიან, დაუპირისპირდნენ ნებისმიერ ძალას, მშობლების ჩათვლით. თუმცა ამბოხი 60-იანი წლების ბოლოს მოხდება, მაგრამ ჯერ კიდევ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან საზოგადოებაში იგრძნობა მოსალოდნელი ცვლილებები. არის დაძაბულობა, არის გაუგებრობა და კინო, როგორც მოსალოდნელი რევოლუციის ყველაზე მგრძნობიარე ამომცნობი, ქმნის გმირს, რომელმაც ჯერ თავად არ იცის თუ რა არის მისი ამბოხის მიზეზი.

*(გაგრძელება იქნება)*

რაგბი

# თასი "ლოკომოტივისაა"

პაატა თოთაძე

**საქართველოს თასი. ფინალი**

**ლოკომოტივი - ყოჩები 55:20**

**ლოკომოტივი:**
7 ლელო - კახიანი, გ. ჟღენტი, კობერიძე, გუგავა (2), ზ. მაისურაძე, ტრაპაიძე
4 გარდასახვა და 4 საჯარიმო - კვინიხიძე

**ყოჩები:**
2 ლელო - სოხაძე, ლობჟანიძე
2 გარდასახვა და 2 საჯარიმო - სოხაძე

რამდენიც არ უნდა გველაპარაკა, "ლოკომოტივი" წლეულს ისე ვერ გამოიყურება, როგორც ადრეო, გადამწყვეტი თამაშისთვის მობილიზებას ეს გუნდი ყოველთვის ახერხებდა და ახერხებს. შარშან რკინიგზელებმა ბათუმის "დათვები" დაამარცხეს გადამწყვეტ მატჩში (32:30), წლეულს კი "ყოჩებს" სძლიეს. სხვათა შორის, "ყოჩებსვე" მოუგეს ჩემპიონატის ფინალი, ოღონდ მაშინ ანგარიში უფრო მოკრძალებული იყო (15:12). თუ წლევანდელ მატჩებსაც გადავხედავთ, "ლოკომოტივს" ასეთი ანგარიშით ვერ უნდა მოეგო, თუმცა, მოიგო და ამაში "დამნაშავე" გამარჯვებულთან ერთად დამარცხებულიცაა. ვერ ითამაშა "ყოჩებმა" ისე, როგორც შეუძლია. მანამდე ეს გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობდა და, სიმართლე ითქვას, გუშინწინდელ ფინალშიც გამარჯვებას მას უფრო ბევრი უწინასწარმეტყველებდა.

უმთავრესი, რაც "ყოჩებს" აკლდა, აგრესიულობა იყო, სამაგიეროდ ის ჰქონდა "ლოკომოტივს", რომელმაც ეს უპირატესობა უმალ ასახა ანგარიშზე. უკვე მე-3 წუთზე კახიანმა მეტოქის შეცდომით ისარგებლა და მატჩში პირველი ლელო გაიტანა. ამ შემთხვევაში ყოჩთა მცველი შეცდა, შეგორებული ბურთი ვერ დაიჭირა. ტაიმის ბოლომდე რკინიგზელებმა კიდევ ერთი ლელო გაიტანეს, შანსი კი არაერთი ჰქონდათ. ჯერ მეტოქის ჩათვლის მოედანზე შესულ კობერიძეს გაუვარდა ბურთი ხელიდან. ეს შეტევა შერკინებიდან დაიწყო, ფაილოძემ სამხარაძისთვის შერკინებიდან ბურთის გატანაში ხელის შეშლა სცადა. ეს მთლად კარგად არ გამოუვიდა, თუმცა, მთავარი "ყოჩების" ათი ნომრის შეცდომა იყო, ასვლა და ზონის ჩახურვა ვერ მოასწრო, რის შედეგადაც განვითარდა შეტევა. მეორედ ყოჩები სამი წუთის შემდეგ შეცდნენ, მაგრამ ამჯერადაც რკინიგზელებმა ბოლო მომენტში შესცოდეს. ამ მომენტიდან ხუთ წუთში კი "ლოკომოტივის" მეორე ლელოც გავიდა - მეტოქის ჩათვლის მოედანთან ახლოს დანიშნული ჯარიმა კარგად გაითამაშეს რკინიგზელებმა და ჟღენტმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. დაახლოებით ანალოგიური ლელო "ლოკომოტივმა" "ლელოსთან" ნახევარფინალურ მატჩში გაიტანა.

ამ დროისთვის ანგარიში უკვე 17:3 იყო და გულშემატკივრები მთავარ ბრძოლას მეორე ტაიმში ელოდნენ, ყველა "ყოჩების" ათამაშებას ელოდა. "ყოჩების" გულშემატკივრებს იმედი იმანაც ჩაუსახა, რომ შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე თემურ სოხაძემ ლელო გაიტანა - მოლიდან გამოსული ბურთი მოძრაობაში აიღო და რკინიგზელებმა



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*თემურ ბენდიაშვილისთვის ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა უცხო არაა.*

ვერ მოახერხეს მისი შეჩერება.

გულშემატკივართათვის სამწუხაროდ, მათი იმედი არ გამართლდა, "ყოჩები" ვერ ათამაშდნენ, შესაბამისად, "ლოკომოტივს" მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია და შეხვედრამაც უკვე ტაიმის შუაწელში დაკარგა ინტრიგა. ერთადერთი, რაც ჭეიშვილისა და მალაღურაძის შეგირდებმა მოახერხეს, ერთი ლელოს გატანა იყო. იმ ეპიზოდში ასათიანი შეცდა, ვერ შეაჩერა ლობჟანიძე, თუმცა, ანგარიში უკვე 35:13 იყო. მანამდეც და ამის შემდეგაც რკინიგზელების უპირატესობა უდავო იყო. "ყოჩების" ლელომდე "ლოკომოტივმა" ორი ლელოს გატანა მოახერხა. პირველ შემთხვევაში ალანიამ ითამაშა კარგად და კობერიძე გაიყვანა ისეთ პოზიციაზე, ლელოს გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. მეორედ კი გუგავა გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე. მატჩის მიწურულს, როცა მიხვდნენ, რომ ვერ მოიგებდნენ, "ყოჩები" მოეშვნენ და "ლოკომოტივმა" შვიდწუთიან მონაკვეთში კიდევ სამი ლელო გაიტანა. ეს ჯერ მაისურაძემ გააკეთა, შემდეგ კი - ტრაპაიძემ და გუგავამ.

"ფინალი ისეთი რამაა, სადაც გამარჯვებას ორივე გუნდი იმსახურებს, თუმცა, მხოლოდ უძლიერესი აღწევს. დღეს ასეთი ჩვენ ვიყავით და ამის გამო უზომოდ ბედნიერი ვარ", - მატჩის შემდეგ განაცხადა რკინიგზელთა დამრიგებელმა თემურ ბენდიაშვილმა, რომელიც შეგირდებმა კარგა ხანს აბურთავეს ჰაერში.

ახლა ფინალის თემას გადავუხვიოთ და არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ. აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტის, ილია წულუკიძის დაჭერის შესახებ არაერთმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი ბათუმის "დათვები" ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ვარაუდის საფუძველს იძლეოდა ის ფაქტიც, რომ "დათვების" ყოფილმა მწვრთნელმა რამაზ სანებლიძემ შექმნა ახალი გუნდი, "ბათუმი", რომელშიც უკეთესი მომავლის იმედით "დათვების" რამდენიმე მოთამაშეც გადაბარგდა. როგორც გუშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი, "ბათუმი" დაიშალა და მოთამაშეებიც უკან, "დათვებში" დაბრუნდნენ. ამის მიზეზი უფულობაა. როგორც გაირკვა, კლუბის ხელმძღვანელობამ დანაპირები ვერ შეასრულა, მოთამაშეები უხელფასოდ იყვნენ, რამაც კლუბის დაშლა გამოიწვია. ჩვენი ინფორმაციით, კლუბის დაშლა მისი ხელმძღვანელობის, რბილად რომ ვთქვათ, არასპორტულმა საქციელმაც განაპირობა. ასეა თუ ისე, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი "დათვები" კვლავაც ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატში და, როგორც ამას წინათ აჭარის რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა მერაბ დანელიამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, გუნდი მაღალი მიზნებისთვისაც იბრძოლებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ აჭარულ კლუბს ლევან მგელაძე გაწვრთნის, ის კი თავის სათქმელს ყოველთვის ამბობს.

კალათბურთი

# როცა მეორეობა პირველობის ტოლფასია

პაატა თოთაძე

ესეც ასე, სამწლიანი პაუზის შემდეგ საერთაშორისო სარბიელზე გასულმა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა - პორტო სან ჯორჯოს საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა კალათბურთელებმა მეორე ადგილი დაიკავეს (წინ მხოლოდ მასპინძელი, იტალიის ნაკრები გაუშვეს). პირველად შეკრებილი გუნდისთვის პირველივე ტურნირზე ასეთი შედეგის ჩვენება, ბევრის აზრით, ჩინებული შედეგია, ისეთი, როცა მეორეობა პირველობის ტოლფასია.

პირველ შეხვედრაში რუსეთის ნაკრების დამარცხების შემდეგ (87:71) ქართველი კალათბურთელები მეორე მატჩში იტალიელებთან დამარცხდნენ (76:100). ბოლო, მესამე მატჩში ჩვენი მეტოქე შვედეთის ეროვნული გუნდი იყო. შვედებს აქამდე ორივე შეხვედრა წაგებული ჰქონდათ - იტალიელებთან 75:82 და რუსებთან 72:78. შვედები ქართველებთანაც დამარცხდნენ 71:91 და ტურნირი ისე დაასრულეს, არც ერთი მატჩი არ მოუგიათ. ბოლო მატჩში ქართველთაგან გიორგი ცინცაძე (25 ქ.) და შემონდ უილიამსი (17 ქ.) გამოირჩნენ.

"გახარებული ვარ ჩვენი გუნდის თამაშით. როგორც იქნა, გუნდი შეიკრიბა. მთავარი კი ის არის, რომ ცუდად არ გვითამაშია. ვფიქრობ, კარგი გუნდი გვყავს, რომელიც თამაშის ხარისხს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. უნდა გამოვყო ამერიკაში მოთამაშეები. ფაჩულია ჩინებულად გამოიყურებოდა, ულიამსიც ძალიან კარგი კალათბურთელია, გარდა ამისა, პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა", - განაცხადა ვოვა ბოისამ, რომელიც მომავალ სეზონს კვლავაც ლუბლიანის "ოლიმპიაში" გაატარებს, მერე კი ვნახოთო, თავად განაცხადა.

ტურნირი, როგორც ვთქვით, იტალიელებმა მოიგეს. ბოლო მატჩში მათი მეტოქე რუსეთის გუნდი იყო. იტალიელებმა ის მატჩი 94:74 მოიგეს. მასპინძელთაგან, როგორც ყოველთვის, 29 წლის ჯანლუკა ბაზილე გამოირჩა. მის ანგარიშზე 15 ქულაა. მეტოქის რიგებში კი ყველაზე შედეგიანად ტაპოროვმა (18 ქ.) და მონიამ ითამაშეს (15 ქ.).

ფეხბურთი

# განმეორებითი მატჩის წინ

**დინამო - ლოკომოტივი 2:0**

მიხეილ აბაიშვილი

სამ დღეში თბილისის "დინამოს" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრა ელის ბორისოვის "ბატესთან". ორი კვირის წინ ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც ბელორუსში გაიმართა, ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით (3:2) დასრულდა.

საპასუხო მატჩს "დინამო" სერიოზული საკადრო პრობლემებით ხვდება. ვარჯიშზე ტრავმა მიიღო ბორისოვის მატჩის გმირმა ლადო ახალაიამ - კოჭი გაუსივდა და, ექიმების თქმით, 29 ივლისს მისი თამაში თითქმის გამორიცხულია. ასეთივე პრობლემა აქვს ბრაზილიელ სეზარ რომეროსაც, რომელმაც ბორისოვში გამარჯვების გოლი გაიტანა. სამარას "კრილია სოვეტოვში" სინჯებზე მყოფი დინამოელი ფორვარდი სანდრო იაშვილი მშობლიურ კლუბში ჯერაც არ დაბრუნებულა და "ბატესთან" მატჩში მისი გამოჩენა საეჭვოა. ტრავმირებულია ლევან სილაგაძეც. თუმცა, არის სასიხარულო ამბავიც: როგორც იქნა, გიორგი ნემსაძემ საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა და ორი დღის წინ გამართულ ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ეს მატჩი "დინამოსთვის" გენერალური რეპეტიცია იყო უეფას თასის განმეორებითი თამაშის წინ. მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 23 ივლისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სუბიექტურ მიზეზთა გამო ეს ერთი კვირით გადაიდო. შესაბამისად, "დინამოს" მზადების პროცესში შეიქმნა ვაკუუმი, რომლის შევსებასაც მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე თბილისის "ლოკომოტივთან" სპარინგ-დაპირისპირებით შეეცადა. სხვათა შორის, "ლოკომოტივთან" ამხანაგური მატჩი "დინამოს" კარგად აქვს დაცდილი: ბორისოველებთან მატჩისწინა შეკრებაზე გამგზავრებამდე გეგუჩაძემ სპარინგ-პარტნიორად სწორედ რკინიგზელთა გუნდი აირჩია. ის შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა და მხოლოდ იმით გახდა დასამახსოვრებელი, რომ "დინამომ" თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა.

რაც შეეხება გუშინწინდელ მატჩს, ამჯერად "დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო, რასაც ლოგიკური ახსნაც მოეძებნება: გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებით თამაშისა და "ბატესთან" ოფიციალურ შეხვედრაში გამარჯვების წყალობით "დინამო" ოპტიმალურ ფორმაში შევიდა. "ლოკომოტივი" კი, რომელმაც მხოლოდ ხანმოკლე შეკრება გაიარა შუა აზიაში, სათანადოდ არ არის მომზადებული.

ამიტომ თამაშს ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. "დინამო" სრულ უპირატესობას ფლობდა. მატჩი, ძირითადად, "ლოკომოტივის" ნახევარზე მიმდინარეობდა და "სტუმრები" იშვიათად ახერხებდნენ კონტრიერიშის განხორციელებას. იმის თქმაც არ შეიძლება, თითქოს მასპინძლებმა საგრძნობლად დაჯაბნეს მეტოქე და ბათიაშვილის კართან საგოლე მომენტებს თვლა არ ჰქონია. ზაურ სვანაძის გუნდი, შეძლებისდაგვარად, კარგად იცავდა კარს. ამის მიუხედავად, "დინამომ" ორი საგოლე კომბინაცია მაინც გაითამაშა. პირველ შემთხვევაში, 27-ე წუთზე, ნემსაძის მოზომილი პასით ფლანგურ გარღვევაზე გავიდა შაშიაშვილი, რომლის ჩაწოდების შემდეგ გონჩაროვმა თავური დარტყმით ბურთი დაუბრკოლებლად გაიტანა რკინიგზელთა კარში. მეორე გოლი 79-ე წუთზე გავიდა - შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს თავი. სოლო-რეიდის შემდეგ მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეჭრილმა კაკალაძემ კარგი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ბურდული, რომელმაც ტექნიკურად, ასევე შეცვლაზე შემოსული გვარამაძის კარის "ცხრიანში" გაახვია ბურთი.

საინტერესოა, რომ გეგუჩაძეს არც ერთი ფეხბურთელი არ დაუტოვებია სათადარიგოთა სკამზე. გამონაკლისი იყო მხოლოდ "დინამოს" ძირითადი მეკარე ირაკლი ზოიძე, რომელიც ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო განაცხადში საერთოდ არ იყო შეყვანილი.

გეგუჩაძემ ამჯერადაც თავისი საყვარელი ტაქტიკური განლაგება, 4-3-3 აირჩია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სქემას ის არც "ბატესთან" განმეორებით მატჩზე უღალატებს.

TV-სპორტი

**ორშაბათი. 26 ივლისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "PHILADELPHIA 76 ERS" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. ფინალი. არგენტინა - ბრაზილია
14:00 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" - "შახტარი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "ვოლინი"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "აინტრახტი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 ამერიკის თასი. ფინალი. არგენტინა - ბრაზილია
21:35 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ტოტენჰემი"
00:20 00:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - სეზონის ხმები
04:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "DENVER NUGGETS" - "UTAH JAZZ"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:05, 18:45 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
13:35 მძლეოსნობა. "ევროპის ვარსკვლავები" ბირმინგემში. მატჩი დიდი ბრიტანეთი - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
15:35 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
16:20 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ხორვატიაში. ფინალი
17:50 "რკინის ფაქტორი". ევროპის ჩემპიონატი ბოდიბილდინგსა და ფიტნესში. უნგრეთი. მეორე ნაწილი
19:00 ტანვარჯიში. აშშ-ის საოლიმპიადო შესარჩევი ასპარეზობა. პირველი ნაწილი
19:55 "საუკუნის ათლეტები". "ფრანგი "გარსონის" ოლიმპიური ოქრო". ა. მიმუნი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
23:10 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
23:40 კანადის თასი 1976. "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
00:30 "რკინის ფაქტორი". ევროპის ჩემპიონატი ბოდიბილდინგსა და ფიტნესში. უნგრეთი. მეორე ნაწილი

**EUROSPORT**
10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 მოტორბოლები. დიდი ბრიტანეთის გრან-პრი
12:00 მძლეოსნობა. საერთაშორისო ასპარეზობა დიდ ბრიტანეთში
14:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი აშშ-ში. ფინალი
14:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ფინალი
15:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური პოლონეთში. ვაჟები. ფინალი
16:45 მძლეოსნობა. საერთაშორისო ასპარეზობა დიდ ბრიტანეთში
18:45 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. ფინალი
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. სეზონის მიმოხილვა
22:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
23:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი.
01:00 ახალი ამბები
01:15 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
01:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ესპანეთში
02:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება საფრანგეთში
03:00 TRUCK SPORTS. ევროპის თასი გერმანიაში

ფორმულა 1

# "შუმიმ", რა თქმა უნდა, მოიგო

გიგა გურასაშვილი

*აქვე გეტყვით: წერილი "გერმანიის დიდ პრიზზეა", ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მე-12 ეტაპზე. მაგრამ ვიდრე ჰოკენჰაიმზე გეტყოდეთ რამეს, პატარა გადახვევა. თუმცა, რაღა პატარა, როცა ანტიკურ ხანაში ამოვყოფთ თავს. ადგილიც ცნობილია, საუკუნეც და მიზეზიც - ოლიმპია, ქრისტეშობამდე 448 წელი, 83-ე ოლიმპიური თამაშები.*

1895 წელს ილიას "ივერია" ასე აღწერს ამ ამბავს: "უწინ საბერძნეთში ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე საზოგადოდ დღესასწაულებზედ და მომეტებულ ნაწილად ოლიმპის დღესასწაულზედ ჭიდაობის გამართვა. ერთმა მოჭიდავემ, რომელსაც დიაგარს ეძახდნენ, დიდი სახელი მოიპოვა მთელს საბერძნეთში. იგი ყოველთვის დაუმარცხებელი ბრუნდებოდა დღესასწაულიდან. როცა თვითონ დაბერდა, ახლა თავისი შვილები გაჰყავდა საჭიდაოზედ. ერთს ამისთანა დღესასწაულზედ მისმა შვილებმა დაამარცხეს საბერძნეთის ყველა მოჭიდავენი. დიდად გახარებულმა შვილებმა თავისი მამა, მხცოვანი მოჭიდავე, ხელში აიყვანეს და ასე დაჰყავდათ. ხალხი მათ უკან დასდევდა ტაშისცემით, "ვაშას" ძახილით და ყვირილით: "მოკვდი, დიაგარ, შენ მაგის მეტი აღარა გინდა-რაო!"

არ გეგონოთ, რომ ამით დასრულდა დიაგორიდთა წარმატებები. გარდა იმისა, რომ როდოსელი დიაგორის უფროსმა და შუათანა ვაჟებმა - დაგამეტოსმა და აკუსილაოსმა დაიდგეს ოლიმპიურ ჩემპიონთა გვირგვინები, 432 წელს უფროს ძმებს არც უმცროსი ძმა - დორიუსი ჩამორჩა და პანკრატიონში იმარჯვა. ყველაფერ ამას დაურთეთ ისიც, რომ ოლიმპიურ ჩემპიონთა "მოდგმას" დასაბამი დაუდო მამამ, დიაგორ როდოსელმა, ბეჭდაუდებელმა ფალავანმა.

ამხელა შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ გუშინ "ფერარის" გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა სრულიად მშვიდად, აუღელვებლად, პირველმა შემოუქროლა "ჰოკენჰაიმის" ტრასას 66-ჯერ და... ჩვეული სურათი - შუმახერი გამარჯვებულის შამპანურით ხელში. მიმდინარე სეზონის "სამეფო რბოლების" 12 ეტაპიდან მიხაელმა თერთმეტში გაიმარჯვა. მისი გადამკიდე




*მიხაელი, ფაქტობრივად, ჩემპიონია.*

ფორმულა 1 კი მოსაწყენ სანახაობად იქცა. შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ყველაფერი აბსოლუტური სიზუსტით მეორდება. მხოლოდ "დიდი პრიზების" დასახელებაა სხვადასხვა. ერთი სიტყვით, "შუმახერიადა" აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს. ამიტომაცაა, რომ ბევრი გერმანელს ფორმულა 1-დან წასვლას სთხოვს, ზოგიერთები მოითხოვენ კიდეც. ამ დროს კი ეს "შუმი" რას შვრება! მგონი, დაგვცინის კიდეც. BBC-სთან ინტერვიუში უთქვამს: ხანდახან საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი მეპარებაო! აკი გითხარით, დაგვცინის-მეთქი. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება მაშინ, როდესაც რბოლას რბოლაზე იგებს და მაყურებელს აიძულებს, მხოლოდ მის უკან მიმდინარე ორთაბრძოლებით დაკმაყოფილდეს, მეტოქეებს კი მეორე-მესამე საფეხურებს უტოვებს გასაყოფად. შედეგებს გადაავლეთ თვალი. უფროსი შუმახერი ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონია და მალე მეშვიდე ტიტულსაც მიულოცავენ. რა ხანია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მოგებულ დიდ პრიზებს ხომ თვლა არა აქვს - 81!

როდესაც შუმახერის წასვლა-არწასვლაზე ვსაუბრობთ, აქვე BBC-სთან საუბარში "ჯორდანის" შეფის ედი ჯორდანის სიტყვებიც უნდა მოვიშველიოთ, ჯორდანის, რომელის წყალობითაც 1991 წელს მიხაელმა "ბელგიის დიდ პრიზზე" ფორმულა 1-ის სამყაროში შეაბიჯა. ჯორდანი ურჩევს, პენსიაზე გავიდეს: "მგონია, რომ იგი უნდა შეჩერდეს. უბრალოდ, მეშინია, რომ რამე მოუვა. ნეტავ, რისთვის იკლავს თავს?"

დიაგორიდთა გვარის ისტორია შემთხვევით არ მოგვიყვანია. მართალია, მიხაელი არც დიაგორიდია და არც ანტიკურ ხანაში ვართ, მაგრამ მორალი ასეთია: ხომ ყველაფერი მოიგო, წავიდეს რაღა! ფაქტია, რომ ფორმულამ აზრი დაკარგა. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ არსადაც არ წავა. აი, დასტურიც: "ახლა არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. არა მგონია, არსებობდეს კიდევ სხვა რამ, რაც ამდენ სიამოვნებას მომანიჭებს".

და მაინც, ვინ შეიძლება მომავალში შუმახერის ადგილი დაიკავოს? არა, იმას კი არ ვამბობ, გინდა თუ არა, სხვა შუმახერებიც გამოჩნდებიან-მეთქი. უბრალოდ, პერსპექტივაა დამაინტრიგებელი. საინტერესოა, ვინ იქნება "შუმის" შემდგომი ჩემპიონი. ალბათ, ისინი, ვინც გუშინ გერმანელს ჩასდგომოდნენ კვალში და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს. მართალია, საკმაო ჩამორჩენით, მაგრამ მაინც. კვალში კი BAR-ის ბრიტანელი პილოტი ჯენსონ ბატონი და "რენოს" ესპანელი მრბოლი ფერნანდო ალონსო ედგნენ. სხვათა შორის, ესპანელი ერთი იმათგანია, ვინც არათუ მიხაელის, არამედ რბოლებიდან უმცროსი ძმის რალფის წასვლასაც მოითხოვს. ბატონი, ალონსო და კიმი რაიკონენი - აი, ისინი, ვისაც მომავალ ჩემპიონებად მოიაზრებენ. თუმცა, გუშინ ჰოკენჰაიმზე აშკარად არ გაუმართლა მაკლარენელ ფინელს. მე-13 წრეზე რაიკონენის ბოლიდის უკანა ანტიფრთა ჰაერში ფოთოლივით აფრიალდა, თავად კი, ტრაექტორიადაკარგული ჩიკორივით დაბზრიალებული, დამცავ ჯებირს შეასკდა. საბედნიეროდ, ფინელი ჯანმრთელი და უვნებელი, თუმცა, გაცოფებული ამოძვრა კოკპიტიდან. საერთოდ კი, გუშინ ამგვარი რამეები არაერთხელ ვიხილეთ. ჯერ "ტოიოტას" ფრანგ მრბოლს ოლივიე პანისს ბოლიდი ჩაუქრა და რესტარტი დაინიშნა. მერე "შუმის" თანაგუნდელმა რუბენს ბარიკელომ მეორე წრეზე წინა ანტიფრთა შოტლანდიელ დევიდ კულჰარდთან ("მაკლარენი") უკნიდან შეჯახებით დაკარგა. მე-12 წრეზე კი ჯორდანელ ჯორჯო პანტანოს საბურავი გაუსკდა. საერთოდ, გუშინ ჰოკენჰაიმის ტრასის სიმხურვალე 47 გრადუსს აღწევდა. რბოლის დასრულებამდე 27 წრით ადრე უკანა მარცხენა საბურავის გასკდომის გამო ასპარეზობას გამოეთიშა ტოიოტელი კრისტიანო და მატა...

წინ "უნგრეთის დიდი პრიზია".

# "საოჯახო ლოტო"-ს №68 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000005 | 1,5 |
| 000014 | 2,0 |
| 000025 | 3,5 |
| 000042 | 1,5 |
| 000064 | 1,0 |
| 000072 | 1,0 |
| 000084 | 2,0 |
| 000095 | 1,0 |
| 000125 | 1,5 |
| 000135 | 4,5 |
| 000138 | 4,5 |
| 000165 | 1,0 |
| 000167 | 5,0 |
| 000168 | 5,5 |
| 000171 | 1,0 |
| 000178 | 1,0 |
| 000198 | 1,5 |
| 000236 | 1,0 |
| 000247 | 2,0 |
| 000258 | 1,5 |
| 000274 | 2,0 |
| 000289 | 1,5 |
| 000300 | 2,0 |
| 000308 | 5,0 |
| 000326 | 1,5 |
| 000351 | 1,0 |
| 000363 | 2,0 |
| 000370 | 2,0 |
| 000374 | 1,0 |
| 000394 | 1,5 |
| 000412 | 1,0 |
| 000416 | 3,0 |
| 000419 | 2,0 |
| 000435 | 2,0 |
| 000450 | 1,0 |
| 000460 | 1,0 |
| 000461 | 2,0 |
| 000468 | 1,0 |
| 000483 | 4,5 |
| 000486 | 1,5 |
| 000487 | 1,0 |
| 000488 | 1,5 |
| 000502 | 1,5 |
| 000509 | 1,0 |
| 000521 | 2,0 |
| 000544 | 1,5 |
| 000552 | 1,5 |
| 000554 | 1,0 |
| 000558 | 1,5 |
| 000577 | 1,0 |
| 000585 | 3,0 |
| 000606 | 1,5 |
| 000629 | 1,0 |
| 000640 | 2,0 |
| 000642 | 2,0 |
| 000643 | 1,0 |
| 000646 | 2,0 |
| 000653 | 1,5 |
| 000662 | 1,5 |
| 000689 | 1,0 |
| 000708 | 2,0 |
| 000714 | 1,5 |
| 000738 | 2,5 |
| 000748 | 1,5 |
| 000762 | 2,0 |
| 000774 | 4,5 |
| 000778 | 2,0 |
| 000813 | 2,5 |
| 000824 | 1,5 |
| 000828 | 1,0 |
| 000831 | 1,0 |
| 000833 | 4,5 |
| 000850 | 1,5 |
| 000857 | 3,0 |
| 000858 | 1,0 |
| 000859 | 1,0 |
| 000869 | 2,0 |
| 000885 | 1,5 |
| 000893 | 1,5 |
| 000895 | 1,5 |
| 000914 | 2,0 |
| 000922 | 5,5 |
| 000932 | 1,0 |
| 000962 | 2,0 |
| 000966 | 2,5 |
| 000968 | 1,0 |
| 000970 | 1,0 |
| 000996 | 1,0 |
| 001007 | 2,5 |
| 001023 | 1,0 |
| 001040 | 3,0 |
| 001044 | 1,5 |
| 001058 | 1,0 |
| 001059 | 4,0 |
| 001063 | 1,5 |
| 001065 | 1,0 |
| 001068 | 2,0 |
| 001087 | 10,0 |
| 001089 | 5,0 |
| 001104 | 1,5 |
| 001114 | 1,0 |
| 001126 | 1,0 |
| 001134 | 1,0 |
| 001139 | 1,5 |
| 001146 | 1,0 |
| 001182 | 1,0 |
| 001187 | 1,0 |
| 001188 | 1,0 |
| 001215 | 1,0 |
| 001221 | 1,0 |
| 001273 | 1,0 |
| 001294 | 1,0 |
| 001304 | 1,5 |
| 001315 | 3,5 |
| 001324 | 1,0 |
| 001337 | 3,5 |
| 001355 | 1,0 |
| 001370 | 1,5 |
| 001382 | 1,5 |
| 001384 | 4,5 |
| 001385 | 1,0 |
| 001389 | 1,0 |
| 001395 | 1,0 |
| 001412 | 5,5 |
| 001413 | 1,5 |
| 001415 | 1,0 |
| 001429 | 2,5 |
| 001456 | 2,0 |
| 001495 | 1,0 |
| 001496 | 1,0 |
| 001511 | 1,5 |
| 001533 | 1,5 |
| 001539 | 1,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 001551 | 1,0 |
| 001552 | 3,0 |
| 001563 | 2,5 |
| 001583 | 2,5 |
| 001585 | 1,0 |
| 001597 | 1,5 |
| 001626 | 2,0 |
| 001633 | 1,0 |
| 001644 | 1,0 |
| 001654 | 2,0 |
| 001655 | 1,0 |
| 001656 | 1,0 |
| 001684 | 3,5 |
| 001688 | 4,0 |
| 001695 | 2,0 |
| 001749 | 1,5 |
| 001765 | 1,0 |
| 001776 | 3,0 |
| 001786 | 5,5 |
| 001800 | 3,0 |
| 001804 | 4,0 |
| 001822 | 2,0 |
| 001833 | 3,5 |
| 001852 | 1,0 |
| 001860 | 2,0 |
| 001867 | 4,0 |
| 001872 | 2,5 |
| 001882 | 2,5 |
| 001884 | 7,0 |
| 001887 | 6,5 |
| 001888 | 7,0 |
| 001890 | 3,0 |
| 001892 | 2,5 |
| 001949 | 1,5 |
| 001952 | 1,5 |
| 001983 | 5,0 |
| 001985 | 1,5 |
| 002011 | 1,5 |
| 002028 | 5,5 |
| 002043 | 1,0 |
| 002077 | 1,5 |
| 002107 | 1,0 |
| 002139 | 4,0 |
| 002153 | 1,5 |
| 002154 | 2,0 |
| 002180 | 1,0 |
| 002183 | 1,5 |
| 002200 | 1,0 |
| 002205 | 1,0 |
| 002212 | 1,0 |
| 002216 | 1,5 |
| 002225 | 1,5 |
| 002258 | 1,0 |
| 002261 | 1,5 |
| 002284 | 2,5 |
| 002313 | 1,0 |
| 002326 | 1,5 |
| 002332 | 1,5 |
| 002334 | 1,0 |
| 002337 | 1,0 |
| 002367 | 4,5 |
| 002379 | 2,0 |
| 002395 | 1,0 |
| 002412 | 6,0 |
| 002413 | 1,5 |
| 002420 | 1,0 |
| 002445 | 6,5 |
| 002460 | 1,0 |
| 002492 | 1,0 |
| 002511 | 5,0 |
| 002513 | 4,0 |
| 002517 | 1,0 |
| 002518 | 1,0 |
| 002530 | 1,5 |
| 002538 | 2,5 |
| 002540 | 1,0 |
| 002546 | 1,5 |
| 002556 | 1,0 |
| 002559 | 1,0 |
| 002562 | 2,0 |
| 002566 | 4,5 |
| 002594 | 1,5 |
| 002599 | 1,5 |
| 002608 | 12,5 |
| 002609 | 1,5 |
| 002631 | 2,0 |
| 002650 | 1,0 |
| 002666 | 1,0 |
| 002667 | 2,0 |
| 002697 | 5,0 |
| 002713 | 2,5 |
| 002716 | 1,5 |
| 002717 | 1,0 |
| 002727 | 2,0 |
| 002729 | 1,5 |
| 002739 | 2,0 |
| 002752 | 1,5 |
| 002761 | 1,5 |
| 002775 | 1,0 |
| 002782 | 3,0 |
| 002792 | 1,0 |
| 002793 | 1,0 |
| 002799 | 1,5 |
| 002816 | 1,0 |
| 002842 | 5,0 |
| 002849 | 4,5 |
| 002856 | 3,0 |
| 002867 | 4,5 |
| 002889 | 2,0 |
| 002906 | 1,0 |
| 002907 | 1,5 |
| 002916 | 1,5 |
| 002919 | 2,5 |
| 002934 | 3,5 |
| 002965 | 1,0 |
| 002980 | 2,0 |
| 002988 | 20,0 |
| 002997 | 1,5 |
| 003003 | 1,0 |
| 003019 | 1,5 |
| 003023 | 5,5 |
| 003033 | 1,0 |
| 003035 | 1,5 |
| 003038 | 1,0 |
| 003040 | 2,5 |
| 003056 | 2,0 |
| 003058 | 2,0 |
| 003086 | 1,5 |
| 003106 | 1,5 |
| 003109 | 6,5 |
| 003123 | 1,0 |
| 003128 | 1,0 |
| 003136 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003142 | 1,5 |
| 003159 | 3,5 |
| 003167 | 1,0 |
| 003169 | 6,5 |
| 003175 | 1,0 |
| 003181 | 1,0 |
| 003186 | 1,5 |
| 003189 | 2,0 |
| 003198 | 1,0 |
| 003207 | 1,0 |
| 003222 | 2,0 |
| 003242 | 2,0 |
| 003262 | 2,0 |
| 003266 | 4,5 |
| 003316 | 1,5 |
| 003332 | 3,0 |
| 003375 | 1,0 |
| 003382 | 3,0 |
| 003388 | 1,5 |
| 003390 | 2,0 |
| 003423 | 1,5 |
| 003425 | 2,0 |
| 003429 | 6,0 |
| 003431 | 1,5 |
| 003436 | 2,0 |
| 003450 | 2,0 |
| 003724 | 2,0 |
| 003731 | 2,0 |
| 003744 | 1,5 |
| 003769 | 3,0 |
| 003781 | 2,0 |
| 003803 | 3,5 |
| 003807 | 2,0 |
| 003812 | 1,5 |
| 003825 | 2,0 |
| 003830 | 2,0 |
| 003836 | 1,0 |
| 003847 | 1,5 |
| 003853 | 1,0 |
| 003859 | 1,5 |
| 003907 | 2,5 |
| 003908 | 3,5 |
| 003922 | 1,0 |
| 003939 | 2,0 |
| 003940 | 1,5 |
| 003955 | 1,0 |
| 003975 | 1,5 |
| 003977 | 1,5 |
| 004007 | 5,5 |
| 004014 | 1,0 |
| 004027 | 1,0 |
| 004035 | 1,0 |
| 004037 | 6,0 |
| 004038 | 2,0 |
| 004063 | 3,5 |
| 004080 | 1,0 |
| 004090 | 1,0 |
| 004095 | 3,0 |
| 004103 | 2,0 |
| 004106 | 1,0 |
| 004114 | 2,5 |
| 004116 | 5,0 |
| 004117 | 1,0 |
| 004119 | 5,0 |
| 004120 | 1,0 |
| 004125 | 1,0 |
| 004131 | 4,5 |
| 004132 | 1,5 |
| 004144 | 1,0 |
| 004164 | 2,0 |
| 004193 | 1,0 |
| 004196 | 1,0 |
| 004200 | 1,0 |
| 004213 | 1,5 |
| 004247 | 1,0 |
| 004262 | 1,5 |
| 004264 | 1,0 |
| 004265 | 1,0 |
| 004275 | 1,5 |
| 004308 | 1,5 |
| 004309 | 2,0 |
| 004311 | 1,0 |
| 004316 | 1,0 |
| 004331 | 1,0 |
| 004334 | 1,0 |
| 004349 | 1,5 |
| 004369 | 1,0 |
| 004416 | 4,5 |
| 004430 | 4,5 |
| 004452 | 2,5 |
| 004480 | 1,5 |
| 004488 | 3,0 |
| 004536 | 2,0 |
| 004561 | 2,0 |
| 004573 | 2,5 |
| 004592 | 1,0 |
| 004606 | 1,0 |
| 004611 | 1,5 |
| 004619 | 1,0 |
| 004633 | 1,5 |
| 004650 | 1,0 |
| 004663 | 4,5 |
| 004672 | 2,0 |
| 004691 | 1,0 |
| 004738 | 2,0 |
| 004741 | 3,0 |
| 004743 | 1,0 |
| 004754 | 2,5 |
| 004755 | 1,0 |
| 004779 | 1,5 |
| 004780 | 2,0 |
| 004808 | 2,0 |
| 004829 | 4,0 |
| 004834 | 2,0 |
| 004839 | 1,5 |
| 004844 | 1,5 |
| 004851 | 1,0 |
| 004859 | 1,0 |
| 004874 | 1,0 |
| 004900 | 1,5 |
| 004904 | 2,5 |
| 004908 | 2,5 |
| 004917 | 1,0 |
| 004943 | 1,5 |
| 004944 | 2,0 |
| 004951 | 1,0 |
| 004959 | 2,0 |
| 004983 | 1,0 |
| 004987 | 1,5 |
| 005015 | 4,5 |
| 005020 | 5,5 |
| 005022 | 2,0 |
| 005027 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 005035 | 1,5 |
| 005049 | 1,5 |
| 005062 | 2,0 |
| 005063 | 3,5 |
| 005071 | 1,0 |
| 005076 | 2,0 |
| 005081 | 2,0 |
| 005093 | 1,0 |
| 005101 | 3,5 |
| 005109 | 5,0 |
| 005118 | 5,0 |
| 005130 | 2,0 |
| 005138 | 2,0 |
| 005153 | 3,0 |
| 005174 | 1,5 |
| 005714 | 2,5 |
| 005761 | 1,0 |
| 005773 | 1,0 |
| 005812 | 2,0 |
| 005823 | 3,5 |
| 005835 | 4,5 |
| 005837 | 1,5 |
| 005839 | 2,0 |
| 005865 | 2,0 |
| 005892 | 1,0 |
| 005909 | 1,5 |
| 005922 | 1,5 |
| 005930 | 1,5 |
| 005939 | 1,5 |
| 005948 | 1,5 |
| 005972 | 1,0 |
| 005983 | 2,0 |
| 005995 | 1,0 |
| 006014 | 1,0 |
| 006015 | 1,0 |
| 006024 | 1,0 |
| 006043 | 3,0 |
| 006051 | 1,0 |
| 006054 | 2,0 |
| 006072 | 1,0 |
| 006080 | 1,0 |
| 006086 | 2,5 |
| 006089 | 1,5 |
| 006097 | 3,0 |
| 006109 | 3,5 |
| 006133 | 2,0 |
| 006149 | 1,5 |
| 006152 | 1,0 |
| 006156 | 1,0 |
| 006163 | 1,5 |
| 006185 | 12,5 |
| 006192 | 1,0 |
| 006195 | 1,0 |
| 006203 | 3,0 |
| 006204 | 2,0 |
| 006250 | 2,0 |
| 006261 | 1,5 |
| 006290 | 2,0 |
| 006297 | 3,5 |
| 006316 | 1,5 |
| 006325 | 5,0 |
| 006335 | 2,0 |
| 006340 | 1,5 |
| 006375 | 1,0 |
| 006388 | 2,5 |
| 006392 | 1,5 |
| 006399 | 3,5 |
| 006400 | 4,0 |
| 006404 | 1,0 |
| 006416 | 1250,0 |
| 006421 | 1,0 |
| 006425 | 1,5 |
| 006426 | 1,0 |
| 006431 | 2,0 |
| 006435 | 2,0 |
| 006457 | 1,0 |
| 006465 | 1,0 |
| 006478 | 1,5 |
| 006488 | 2,5 |
| 006518 | 1,5 |
| 006553 | 1,0 |
| 006555 | 2,5 |
| 006561 | 1,0 |
| 006576 | 2,0 |
| 006618 | 1,0 |
| 006621 | 1,0 |
| 006654 | 1,5 |
| 006660 | 1,0 |
| 006680 | 1,0 |
| 006694 | 1,0 |
| 006713 | 1,0 |
| 006739 | 3,5 |
| 006742 | 2,0 |
| 006746 | 2,0 |
| 006748 | 3,0 |
| 006756 | 1,5 |
| 006773 | 1,5 |
| 006776 | 1,0 |
| 006813 | 3,0 |
| 006823 | 3,0 |
| 006826 | 1,0 |
| 006827 | 1,0 |
| 006847 | 1,0 |
| 006868 | 1,0 |
| 006930 | 1,0 |
| 006935 | 1,5 |
| 006950 | 1,5 |
| 006954 | 1,5 |
| 006962 | 2,0 |
| 006972 | 1,0 |
| 006974 | 1,5 |
| 006987 | 1,5 |
| 006989 | 2,0 |
| 007007 | 1,0 |
| 007048 | 1,0 |
| 007067 | 1,0 |
| 007080 | 1,5 |
| 007082 | 1,0 |
| 007109 | 1,5 |
| 007115 | 4,5 |
| 007146 | 2,0 |
| 007173 | 1,0 |
| 007187 | 1,0 |
| 007199 | 2,0 |
| 007401 | 2,5 |
| 007407 | 1,5 |
| 007411 | 1,0 |
| 007412 | 7,0 |
| 007417 | 1,0 |
| 007421 | 1,0 |
| 007427 | 1,0 |
| 007439 | 4,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 007447 | 1,0 |
| 007456 | 1,5 |
| 007463 | 2,0 |
| 007469 | 2,0 |
| 007473 | 1,5 |
| 007487 | 2,0 |
| 007488 | 2,0 |
| 007515 | 1,0 |
| 007530 | 1,5 |
| 007552 | 1,5 |
| 007561 | 1,5 |
| 007572 | 7,0 |
| 007580 | 2,5 |
| 007595 | 1,5 |
| 007601 | 2,0 |
| 007614 | 1,5 |
| 007616 | 4,5 |
| 007619 | 1,0 |
| 007650 | 1,5 |
| 007655 | 1,5 |
| 007715 | 1,5 |
| 007722 | 1,0 |
| 007723 | 1,0 |
| 007730 | 2,0 |
| 007751 | 1,0 |
| 007772 | 2,0 |
| 007782 | 4,0 |
| 007783 | 2,0 |
| 007796 | 1,5 |
| 007822 | 5,0 |
| 007867 | 4,5 |
| 007881 | 1,0 |
| 007895 | 2,5 |
| 007935 | 2,0 |
| 007943 | 1,0 |
| 007953 | 3,0 |
| 007965 | 3,0 |
| 007999 | 1,0 |
| 008002 | 1,0 |
| 008039 | 1,0 |
